თქვენ იცით, რა ხდება ბანკისში? A3

ოჯახური ძალადობა - საზოგადოების გადაუჭრელი პრობლემა A8

ავტომობილი B6



www.24hours.ge

# 24 საათი

ყოველდღიური

© გაზეთი 24 საათი

პარასკევი, 5 ნოემბერი, 2004 წელი. №263 (812)

ფასი 50 თეთრი


ეკონომიკა

### „ბიპი" სახლში



ვიჩფარმის ნავთობმომპოვებელი კომპლექსი მსოფლიოში ცნობილი და სიძვირით პირველ ათეულში მყოფი საზღვაო კურორტის ტერიტორიაზე არის განთავსებული.

A4

უცხოეთი

### ამერიკის ამოცანა



გთავაზობთ აშშ-ს ყოფილი სახელმწიფო მდივნის ჰენრი კისინჯერის მიერ ამერიკულ გაზეთ "ნიუსვიქ"-ში გამოქვეყნებული სტატიის მოკლე მიმოხილვას, რომელშიც აშშ-ს მომავალი ოთხი წლის ამოცანები და პერსპექტივებია განხილული.

A5

საზოგადოება

### ეკონომისტი მთავარ არქიტექტორად



რამდენიმე თვის წინათ ხმაურით დანიშნული გოგი სულაბერიძე ე.წ "სამკუთხედს" გადააყოლეს. გუშინ ამ თანამდებობაზე ახალი კანდიდატი, 28 წლის ბიზნესმენი, მიხეილ სვიმონიშვილი დაამტკიცეს.

A6


იურიდიული ოფისი „ბაპი" და გაზეთი "24 საათი"

ახორციელებენ პროექტს, რომლის მიზანსაც წარმოადგენს მოსახლეობისათვის სამართლებრივი დახმარება.

B6-B7


ამინდი

| | 5/11 | 6/11 |
| --- | --- | --- |
| თბილისი | 11 | 13 |
| ქუთაისი | 17 | 20 |
| ბათუმი | 16 | 19 |
| სოხუმი | 16 | 19 |
| ფოთი | 17 | 20 |
| თელავი | 9 | 11 |
| ზუგდიდი | 17 | 21 |
| გორი | 9 | 11 |
| ახმეტა | 10 | 12 |
| ჭიათურა | 14 | 16 |
| გაგრა | 15 | 17 |

უცხოური ვალუტის ოფიციალური კურსი ლართან მიმართებაში

| | |
| --- | --- |
| აშშ დოლარი | 1.8250 |
| ევრო | 2.3172 |
| გირვანქა სტერლ. | 3.3544 |
| რუბლი | 0.0634 |

# „ნატო-ს ვუახლოვდებით ოღონდ, დროს ნუ მკითხავთ"



იააპ დე ჰოოპ სხეფერი: "მთავარია, საქართველომ წარმატებით შეასრულოს საშინაო დავალება - პარტნიორობის გეგმა და ნატო მას ყოველმხრივ დაეხმარება."

ვერიკო თევზაძე

*მიხეილ სააკაშვილი ნატო-ში საქართველოს გაწევრიანებას თავისი პრეზიდენტობის პერიოდში აპირებს, ოღონდ, გასაგები მიზეზების გამო, თარიღს არ აკონკრეტებს. ეს განცხადება სააკაშვილმა გუშინ, ნატო-ს გენერალური მდივნის თბილისში ვიზიტისას გააკეთა: "ჩვენ ვუახლოვდებით ნატო-ს, ოღონდ, დროს ნუ მკითხავთ – პასუხს მაინც ვერ მიიღებთ.*
*ნატო-ში შევალთ ბევრად უფრო ჩქარა, ვიდრე ბევრს მიაჩნია. და როცა ეს მოხდება, შეიძლება, ამ ოთახში ვიჯდე."*

ნატოს-ს გენერალური მდივნის პოზიციაც იგივეა. იგი თარიღებზე არ საუბრობს, თუმცა დარწმუნებულია, რომ საქართველო მალე მიაღწევს წარმატებას ჩრდილოატლანტიკურ სივრცეში გასაწევრიანებლად. **"თარიღებზე ლაპარაკს არ ვაპირებ, -** განუცხადა გუშინ სხეფერმა საქართველოში მოქმედ მასმედიის საშუალებათა წარმომადგენლებს, **- მთავარია, საქართველომ წარმატებით შეასრულოს საშინაო დავალება - პარტნიორობის გეგმა და ნატო მას ყოველმხრივ დაეხმარება."**

პრეზიდენტმა ხელსაყრელი შემთხვევით ისარგებლა და სხეფერის ვიზიტისას კიდევ ერთხელ გაიხსენა ნატო-ს მიერ რამდენიმე დღის წინ დამტკიცებული ინდივიდუალური პარტნიორობის გეგმა, ხოლო ამ გეგმის დამტკიცების ფაქტი უშუალოდ დაუკავშირა ბოლო პერიოდში საქართველოში განხორციელებულ რეფორმებს: **"საქართველო პირველი ქვეყანაა, რომელსაც ნატო-მ ინდივიდუალური პარტნიორობის გეგმა დაუმტკიცა. ეს არის ნატო-ს მიერ დანახვა იმ პროგრესისა, რომელსაც საქართველომ ბოლო პერიოდში მიაღწია."**

როგორც გუშინ საქართველოს პრეზიდენტმა განაცხადა, სამშვიდობო ოპერაციებში მონაწილეობის საპასუხოდ, ამერიკა

გაგრძელება A3 გვერდზე

## "ნიუკასლის" მასტერკლასი "დინამოს"



შირერმა "დინამოს" პირველი გოლი გაუტანა.

## ხაჯიმბა არჩევნებისთვის ემზადება, ბაღაფში - ინაუგურაციისთვის

სოფო ბუკია

აფხაზეთის არაღიარებული რესპუბლიკის უზენაესმა სასამართლომ 3 ოქტომბრის საპრეზიდენტო არჩევნები გუშინ ოფიციალურად ცნო ჩატარებულად და სერგეი ბაღაფშის გამარჯვება აღიარა, თუმცა ამ გადაწყვეტილებას აფხაზეთის ერთი ნაწილი არ ცნობს და კვლავინდებურად ხელახალ არჩევნებს ითხოვს.

აფხაზეთის პარლამენტი, უკვე მეოთხე დღეა, პარალიზებულია. პრეზიდენტობის ერთ-ერთი კანდიდატის რაულ ხაჯიმბას მომხრეები პარლამენტის შენობასთან მორიგეობენ და დეპუტატებს სხდომების ჩატარების საშუალებას არ აძლევენ. გუშინ კი გავრცელდა ინფორმაცია, ხაჯიმბას მომხრეთა მიერ შენობაში შეჭრისა და პარლამენტის დაკავების შესახებ.

მიუხედავად იმისა, რომ პრეზიდენტობის ორივე კანდიდატი – ბაღაფშიც და ხაჯიმბაც მოსკოვში ვიზიტს ნაყოფიერს უწოდებენ, დათმობაზე წასვლას არც ერთი არ აპირებს. **"მე დამოუკიდებელი აფხაზეთის მომხრე ვარ, რომელსაც რუსეთთან მჭიდრო კავშირი ექნება. რაც შეეხება საქართველოსთან ურთიერთობას, ვფიქრობ, რომ ჩვენი ქვეყნის საშინაო საქმეები საქართველოსთან არავითარ კავშირში არ არის,"** – აღნიშნა ხაჯიმბამ გუშინ გამართულ პრესკონფერენციაზე.

**"არჩევნები უკვე იყო. 7 დეკემბერს მე უკვე პრეზიდენტის კაბინეტში ვიჯდები,"** – პასუხობს ბაღაფში.

მისი თქმით, უნდა აღსრულდეს პრეზიდენტ არძინბას გადაწყვეტილება და ხელახალი არჩევნები უნდა დაინიშნოს.

როგორც "24 საათთან" საუბარში აფხაზმა ჟურნალისტმა (იგი გვარის დასახელებას, გასაგები მიზეზების გამო, ერიდება) განაცხადა, საკუთარი პოზიციის შეცვლა მოსკოვში ვიზიტიდან ერთი დღის შემდეგ საკმაოდ წამგებიანია თითოეული კანდიდატისთვის. **"თუ რაზე შეთანხმდნენ მოსკოვში, ეს, ალბათ, ცოტა ხანში, დაახლოებით 6-10 დღეში გამოჩნდება. ამ პერიოდის განმავლობაში მოვლენები ისე განვითარდება, რომ რომელიმე კანდიდატი, სცენარის თანახმად, თავის გადაწყვეტილებას შეცვლის. ორივე კანდიდატს დათმობებზე წასვლა ძალიან გაუჭირდება, ამიტომ, არ არის გამორიცხული, რომ ამ პერიოდის განმავლობაში რაიმე გადაწყვეტილება მიიღოს ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ ან უზენაესმა სასამართლომ, რათა კანდიდატები კომპრომისებისგან დაიცვას,"** – უთხრა "24 საათს" აფხაზმა ჟურნალისტმა.

ვითარება სოხუმში კვლავინდებურად დაძაბული რჩება. გუშინ მიტინგები და სახალხო გამოსვლები აფხაზეთის დედაქალაქში არ ყოფილა, თუმცა, როგორც აფხაზმა ჟურნალისტმა აღნიშნა, **"ხალხი მოვლენების განვითარებას ელოდება და კვლავ მზადაა, ქუჩაში გამოვიდეს."**

უკვე მეოთხე დღეა, აფხაზეთის პარლამენტის შენობასთან მისული დეპუტატები სახლებში ბრუნდებიან. **"თქვენ აქ არაფერი გესაქმებათ,"** – ეუბნებიან მათ ხაჯიმბას მომხრეები.

გაგრძელება A3 გვერდზე

## მიუხედავად დაფარვის მცდელობისა, მაინც გაშიშვლებული პრობლემები

*ეკომიგრანტების (ანუ სტიქიური უბედურებებით დაზარალებული და ამის გამო ქვეყნის ერთი რეგიონიდან მეორეში იძულებით გადაადგილებულების) თემა, პარლამენტსა თუ სახელმწიფო კანცელარიაში, არც თუ აქტუალურია. ამ საკითხს არც საზოგადოება აქცევს განსაკუთრებულ ყურადღებას, რადგან საკუთარი პრობლემები თავზესაყრელად აქვს. ეკომიგრანტების პრობლემების მოუგვარებლობა კი ცხადყოფს, რომ საქართველოს ცენტრალური თუ ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებს საკითხის გადასაჭრელად ან ძალები არ ჰყოფნით, ან, უარეს შემთხვევაში, მისი მოგვარებისთვის პოლიტიკური ნება არ არსებობს.*

თამარ მჭედლიშვილი

გუშინ პარლამენტის რეგიონული პოლიტიკის, თვითმმართველობისა და მთიანი რეგიონების კომიტეტის წევრებს, ლტოლვილთა და განსახლების მინისტრმა ეთერ ასტემიროვამ, ეკომიგრანტებთან დაკავშირებული პრობლემები გააცნო.

თავის მოხსენებაში მინისტრმა ბიუჯეტიდან გამოყოფილი თანხების ათვისებისა და ადგილებზე წარმოქმნილი ზოგადი პრობლემების თაობაზე ისაუბრა. აშკარა იყო, რომ მას არ სურდა ყურადღების გამახვილება იმ რეალურ მიზეზებზე, თუ რატომ ფერხდება ან, სულაც, შეწყვეტილია აჭარის ან სვანეთის მოსახლეობის ჩასახლების პროცესი ქვემო ქართლში. უფრო კონკრეტულად კი, წალკის რაიონში და რატომ ეწინააღმდეგებიან გარკვეული ჯგუფები იქ ქართველების დამკვიდრებას.

მოგვიანებით მინისტრმა მაინც გააკეთა რამდენიმე საკმაოდ მნიშვნელოვანი მინიშნება - ასტემიროვას თქმით, ამ რაიონში მოქმედებენ "კონკრეტული ჯგუფები, რომლებიც საზღვრისპირა რეგიონში ღიად ეწინააღმდეგებიან ქართველების ჩასახლებას".

კამათმა, რომელიც მესტიელი დეპუტატის თემურ ჯაფარიძის გამოსვლას მოჰყვა, საკმაოდ სერიოზული პრობლემები გააშიშვლა. ჯერ ერთი, წალკის რაიონულ პოლიციაში კვლავაც ინარჩუნებენ თანამდებობებს ის პოლიციელები, რომლებმაც ბერძნების მიერ დაჭრილი სვანის ახლობლებს დაზარალებულის საავადმყოფოში მიყვანის საშუალება არ მისცეს. ამასთან, ეთერ ასტემიროვას იმის აღიარებაც მოუხდა, რომ წალკის არაქართველმა მოსახლეობამ რამდენჯერმე შეგნებულად გადაწვა ის სახლები, რომლებიც სამინისტროს თანამშრომლებს ეკომიგრანტებისათვის ჰქონდათ შერჩეული.

მართალია, ქვემო ქართლში პრეზიდენტის რწმუნებული სოსო მაზმიშვილი აცხადებს, რომ რეგიონში მეტ-ნაკლებად სიმშვიდეა, მაგრამ ფაქტი ფაქტად რჩება - წალკაში და თეთრიწყაროში ადგილობრივი მოსახლეობა, როგორც დეპუტატები ეჭვობენ, კარგად ორგანიზებული

გაგრძელება A2 გვერდზე


A2 ამბები A3 პოლიტიკა A4 ეკონომიკა A5 უცხოეთი A6 საზოგადოება A7 სამართალი A8 პროექტი

B2 რევიუ B3 რევიუ B4 სპორტი B5 სპორტი B6 ავტომობილი B7 ქვირის TV პროგრამა B8 სხვადასხვა

## სამი პრიორიტეტი ქვეყნისათვის



ლევან ხერხეულიძის ფოტო

*გუშინ სასტუმრო "შერატონ მეტეხი პალასში" საქართველოს სადაზღვევო ასოციაციის, საქართველოს გადამხდელთა კავშირის, საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატისა და საქართველოში ამერიკის სავაჭრო პალატის წარმომადგენლები შეიკრიბნენ. ისინი ჩვენს ქვეყანაში სოციალური სტაბილურობის ხელშეწყობის ინიციატივით გამოვიდნენ. მოლაპარაკების თანახმად, მაქსიმუმ, ექვს თვეში პროფესიული და საზოგადოებრივი შეთანხმება უნდა მოხდეს ჯანდაცვის სისტემის ხელმისაწვდომობის, საპენსიო რეფორმისა და შრომითი კანონმდებლობის შემუშავების მიმართულებით.*

თამარ დვალი

მოსახლეობის სოციალური უსაფრთხოებისა და ქვეყნის მდგრადი განვითარებისათვის კერძო სექტორსა და სახელმწიფო სტრუქტურებს შორის თანამშრომლობა აუცილებელია. ამას მოწმობს ის ხელშეკრულებაც, რომელსაც გუშინ ხელი მოაწერეს საქართველოს სადაზღვევო ასოციაციის, საქართველოს გადამხდელთა კავშირის, საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატისა და საქართველოში ამერიკის სავაჭრო პალატის ხელმძღვანელებმა.

გეგმის მიხედვით, პირველ ყოვლისა, შესამუშავებელია ჯანდაცვის დაფინანსების მოდელი, რაც სამედიცინო მომსახურებას ხელმისაწვდომს გახდის; საჭიროა, მომზადდეს საპენსიო რეფორმა, რომელიც უზრუნველყოფს მოქალაქის ღირსეულ სიბერეს და განსაზღვრავს მიმდინარე ვალდებულებების დაფარვის გზებსა და რესურსებს. ამ საკითხზე მუშაობა უკვე დაწყებულია და გარკვეული პროექტიც არსებობს.

ქვეყანაში არ არსებობს თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისი შრომითი კანონმდებლობა, რომლის შექმნაც უახლოეს მომავალში უნდა მოხდეს. იგი არ უნდა წარმოადგენდეს ბარიერს შრომითი ურთიერთობების ლეგალიზაციისათვის, რის წინაპირობასაც ახალი საგადასახადო კოდექსის პროექტი ქმნის.

**"ნურავის ექნება იმის ილუზია, რომ საგადასახადო კოდექსი, როგორი კარგიც უნდა იყოს იგი, ყველა პრობლემას გადაწყვეტს. ისევე, როგორც ბიზნესს, სოციალურ სფეროსაც სჭირდება პროგნოზირებადი გარემო. თუ ჩვენ ექვსი თვის განმავლობაში მთავრობასთან ერთად ისეთ ნორმატიულ ბაზას შევქმნით, რომელიც სოციალური სფეროს რეფორმას შეუწყობს ხელს, ამაზე კარგი არაფერი იქნება. ახალი ინიციატივის შედეგად ქვეყანაში გვექნება თანამედროვე საპენსიო სისტემა, სადაც ხანდაზმულები აღარ ილაპარაკებენ 14, 20-ლარიან პენსიებზე; ხელმისაწვდომი გახდება სამედიცინო მომსახურება და, რაც მთავარია, შრომითი კანონმდებლობა დარეგულირდება ისე, რომ არავინ გაიშვერს ხელს ბიზნესისკენ",** – აღნიშნა "24 საათთან" საუბრისას საქართველოს გადამხდელთა კავშირის ხელმძღვანელმა გიორგი ისაკაძემ.

სავარაუდოდ, 2006 წლისთვის ახალ სისტემაზე გადასვლა შესაძლებელი იქნება. პროექტის ინიციატორებს მთავრობის აქტიურობის დიდი იმედი აქვთ. **"ამ საკითხებზე ბევრია ნაფიქრი როგორც სამთავრობო, ასევე, არასამთავრობო წრეებშიც. ახლა უნდა მოხდეს ამის კონსოლიდირება. ეს რეფორმა მოგვცემს შესაძლებლობას, ეფექტურად გამოვიყენოთ სახელმწიფო და კერძო სექტორში არსებული რესურსები, მოვიზიდოთ საჭირო საერთაშორისო ექსპერტები და დავნერგოთ სოციალური უსაფრთხოების ნოვატორული მიდგომები",** – აცხადებენ პროექტის ინიციატორები.

## ნუ გეშინიათ, გავფრინდებით

თამარ ჭაჭანიძე

*"ჩვენ მათ უნდა დავეხმაროთ, არა იმიტომ, რომ მათ ეს სჭირდებათ, არამედ იმიტომ, რომ ისინი გვჭირდებიან ჩვენ", – თქვა ქუჩის ბავშვების თაობაზე აშშ-ს ელჩის მოვალეობის შემსრულებელმა საქართველოში, ქალბატონმა პატრიცია მოლერმა გუშინ მოსწავლე ახალგაზრდობის სასახლეში პროექტის - "ახალი ცხოვრების დასაწყისი – ქუჩის ბავშვები" - ოფიციალურ გახსნაზე.*



*პატრიცია მოლერი: "ჩვენ მათ უნდა დავეხმაროთ, არა იმიტომ, რომ მათ ეს სჭირდებათ, არამედ იმიტომ, რომ ისინი გვჭირდებიან ჩვენ".*

ამ სამწლიანი პროექტის განხორციელებისთვის USAID-ის ლტოლვილ და ობოლ ბავშვთა ფონდმა (DCOF) 2,1 მილიონი აშშ დოლარი გამოყო. ეს DCOF-ის პირველი ინიციატივაა საქართველოში, რომელიც ქუჩის ბავშვების პრობლემების გადაჭრისკენ იქნება მიმართული. ამ პროექტს ორგანიზაცია Save the Children ადგილობრივ ორგანიზაციებთან - "ბავშვი და გარემო" და "ბილიკთან" ერთად თბილისში, გორში, ჭიათურაში, ტყიბულსა და ზუგდიდში განახორციელებს. მისი მთავარი მიზანია ქუჩის ბავშვებისთვის, ქუჩაში ცხოვრების სანაცვლოდ, საზოგადოებრივად სასარგებლო ალტერნატივების განვითარება და პოპულარიზაცია და, ამ თვალსაზრისით, მთავრობის სტრატეგიებისა და მაკოორდინირებელი ფუნქციების გაუმჯობესება. Save the Children-ის მონაცემებით, საქართველოში ქუჩაში ცხოვრობს და მუშაობს ხუთი ათასზე მეტი ბავშვი, რომელთაც ფიზიკური, შემეცნებითი, ემოციური და ფსიქოსოციალური კეთილდღეობისთვის ხელშეწყობა სჭირდებათ.

**"დაუცველი ბავშვი ნიშნავს დაუცველ საზოგადოებას, რომელიც უმწეოა ამ მდგომარეობაში. ეს დაუცველობა თითოეული ადამიანის ძალისხმევით უნდა გადაილახოს. თუმცა, მეორე მხრივ, მსოფლიოს დონორი ორგანიზაციების ხელშეწობის გარეშე ამ პრობლემის გადალახვა შეუძლებელი იქნება",** - განაცხადა საქართველოს განათლების მინისტრის მოადგილემ ქალბატონმა ბელა წიფურიამ.

ოფიციალურ მხარეს წინ გორის დღის სასწავლო-შემოქმედებითი სტუდიის "ბილიკისა" და ბავშვთა სარეაბილიტაციო ცენტრ "ბელურების" აღსაზრდელთა ნამუშევრების გამოფენის გახსნა უსწრებდა. მიუსაფარმა ბავშვებმა მუსიკალურ-თეატრალური დადგმებიც წარმოადგინეს. თავი ბავშვთა ფოლკლორულმა ანსამბლმაც გამოიჩინა. ბავშვების წარმოდგენები და გამოფენილი ნამუშევრებიც მხოლოდ ერთ, მომავლის იმედიან მოლოდინს გამოხატავდა. მომავალი მათ თავისუფლების, არსებული ხაფანგისგან თავის დაღწევის გზად წარმოუდგენიათ.

სწორედ ამაზე მეტყველებდა ვაჟა-ფშაველას მოთხრობის "სათაგურის" ინსცენირების მოკლე ნაწყვეტი და ფრაგმენტი "ბელურების" სიმღერიდან, სადაც "მარგალიტის გალიაში" მყოფნი შველას ითხოვენ და ნატრობენ: "ნეტავ დაგვრთონ ნება, ფრთები რომ ფართოდ გავშალოთ". მღერიან ბავშვები გალიაში მყოფ ბელურებზე და ერთმანეთს თავადვე ანუგეშებენ, - ნუ გეშინიათ, გავფრინდებითო. ბავშვებს ისიც სწამთ, რომ "თუ სწავლობ, თუ ცდილობ, ყველაფერი გამოგივა მაშინ".

მოსწავლეთა სასახლეში გამართულ პრეზენტაციაზე დონორმა ორგანიზაციებმა, სამინისტროებისა და ბიზნეს-საზოგადოების წარმომადგენლებმა ბავშვებს ერთხმად აღუთქვეს "ფრთების გაშლასა" და ცხოვრებისეული სირთულეების გადალახვაში დახმარება.

## მოკლედ

### კონფლიქტის ზონაში გუშინ გზა ორმხრივად გადაიკეტა

ლიახვის ხეობაში ვითარება უკიდურესად დაიძაბა. ვითარების დაძაბვა სოფელ კეხვის მკვიდრის, 22 წლის გიორგი კახნიაშვილის გატაცებამ გამოიწვია. იგი გუშინწინ საღამოს ოსური მხარის კონტროლირებად ტერიტორიაზე არსებულ პოზიციებზე დისლოცირებულმა ფორმიანებმა მაშინ გაიტაცეს, როდესაც შეშას აგროვებდა.

გუშინ მთელი დღის მანძილზე საავტომობილო გზა გადაკეტილი იყო როგორც ქართული, ისე ოსური მხრიდან. კეხვის მოსახლეობა, რომელიც ქართული მხრიდან გზის გადაკეტვაში მონაწილეობდა, გატაცებულის დაუყოვნებლივ გათავისუფლებას ითხოვდა, წინააღმდეგ შემთხვევაში ოსი ეროვნების მოქალაქეების მძევლად აყვანით იმუქრებოდა. სწორედ ამ მუქარამ აიძულა ოსური მხარე, გზა გადაეკეტათ, რომ ქართველების მხარეს ოსი ეროვნების მოქალაქეების გადასვლა არ დაეშვათ.

თავად გატაცებულის ადგილსამყოფელი გუშინ გვიან საღამომდე უცნობი გახლდათ.

შიდა ქართლის სამხარეო პოლიციის უფროსის ალექსანდრე სუხიტაშვილის განცხადებით, ერთ-ერთი ვერსიით, კახნიაშვილი იმ ტერიტორიაზე გადაიყვანეს, სადაც საქართველოს იურისდიქცია არ ვრცელდება

*24 საათი*

## მიუხედავად დაფარვის მცდელობისა, მაინც გაშიშვლებული პრობლემები

პირველი გვერდიდან

ჯგუფების წაქეზებით, აშკარად ეწინააღმდეგება ქართველების ჩასახლებას. ეს ფაქტი კი განსაკუთრებულ კონტროლზე უნდა იყოს აყვანილი, რაც, ჯერჯერობით, არ მომხდარა.

ამასობაში, სვანეთიდან და აჭარიდან წალკაში სტიქიურად ჩასახლებული ეკომიგრანტები და ადგილობრივი მოსახლეობა სულ უფრო უპირისპირდება ერთმანეთს. "რომელიღაც დიასპორა" (სწორედ ასე მოიხსენიეს გუშინ პარლამენტში ის ადამიანები, რომლებიც ადგილობრივ მოსახლეობას ქართველების წინააღმდეგ ამხედრებენ) კი, ეთნოკონფლიქტების გარღმავებას ღიად უწყობს ხელს.

ეს კი ნიშნავს, რომ საქართველოს ხელისუფლებას ამ საზღვრისპირა რეგიონში, ეროვნული უსაფრთხოების თვალსაზრისით, აშკარად შეექმნა პრობლემები. აქედან გამომდინარე, სოსო მაზმიშვილის განცხადებები უფრო თავის დამშვიდებას და სხვების მოტყუებას ჰგავს. ცენტრალური ხელისუფლება და, კონკრეტულად, უშიშროების სამინისტრო კი ამ პრობლემაზე, როგორც ჩანს, ჯერჯერობით, რეაგირებას არ აპირებს.

## მექრთამეები და ექს-ჩინოვნიკები ამნისტიის "ზონაში" არ უნდა მოხვდნენ

### უმრავლესობასა და ოპოზიციას ერთნაირი პოზიცია აქვთ

*საპარლამენტო უმრავლესობისა და ექს-ნაციონალ კობა დავითაშვილის მოსაზრებები, როგორც წესი, რადიკალურად განსხვავებულია. მაგრამ კანონპროექტმა, რომელიც არადეკლარირებული ქონების ლეგალიზებას ისახავს მიზნად, ეს ორი "სუბიექტი" მოკავშირეებად აქცია. ხელისუფლების მხარდამჭერები და ოპოზიციონერი დეპუტატი ფინანსური ამნისტიის მთავრობისეულ გეგმას ერთნაირი კატეგორიულობით ეწინააღმდეგებიან.*

გიორგი ასანიშვილი

კანონპროექტის ტექსტში დეპუტატებს ყველაზე მეტად ის აღიზიანებთ, რომ ამნისტია მექრთამეებსა და იმ ყოფილ მაღალჩინოსნებზეც ვრცელდება, რომლებმაც ქონება თანამდებობის ბოროტად გამოყენების გზით დააგროვეს. გიგა ბოკერიას აზრით, დიდი შეცდომაა იმის მტკიცება, რომ მექრთამეებისა და კრიმინალი ექს-ჩინოვნიკების სამართლებრივი დევნის შეწყვეტა, თითქოს, საზოგადოების მოთხოვნას წარმოადგენდეს.

იმ ადამიანების შეწყალება, ვინც ქვეყანა კატასტროფულ მდგომარეობამდე მიიყვანა, იურიდიული კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილეს დაუშვებლად მიაჩნია და აცხადებს, რომ მათი სამართლებრივი დევნა კვლავაც უნდა გაგრძელდეს, ოღონდ, - პროცესუალური ნორმების სრული დაცვით. გიგა ბოკერია მთავრობას ურჩევს, ამნისტია მხოლოდ კერძო მეწარმეებზე გაავრცელოს და არა მათზე, ვინც ბიზნესმენებს დანაშაულებრივი გარემო შეუქმნა.

მექრთამეებს არც პარლამენტარი ნიკა გვარამია წყალობს. იგი შიშობს, რომ თუ ფინანსური ამნისტია ამ კატეგორიის დამნაშავეებზეც გავრცელდება, ამით მექრთამეების პოლიტიკური რეაბილიტაცია მოხდება.

**"მექრთამეებისთვის ხელის დაფარებას მხარს არ დავუჭერ, როგორი ეკონომიკური სარგებლიანობითაც არ უნდა გაამართლონ ეს. თუ მთავრობაში თვლიან, რომ ქვეყნის ეკონომიკური წინსვლა ამ კანონის მიღებაზეა დამოკიდებული, მაშინ ძალიან უსუსური აღმასრულებელი ხელისუფლება გვყოლია,"** - აცხადებს გვარამია და იქვე გამოთქვამს ვარაუდს, რომ კანონპროექტი ვიღაცებისთვის არის დაწერილი და ცალკეულ პიროვნებებზეა მორგებული.

მთავრობისკენ იშვერს ხელს კობა დავითაშვილიც. მისი თქმით, აღმასრულებელ ხელისუფლებაში არსებულ ჯგუფს თავისი წარსულისთვის ფარდის ჩამოფარება სურს. ექს-ნაციონალი კონკრეტულ გვარებსაც ასახელებს და გამოთქვამს ვარაუდს, რომ ფინანსური ამნისტია კახა ბენდუქიძეს თავისი აქციების "გასათეთრებლად" სჭირდება. დავითაშვილს გული სწყდება, რომ **"ამნისტიის შემთხვევაში, უკანონო გზებით ნაშოვნი ფულისა და ქონების 99 პროცენტი დამნაშავეებს დედის რძესავით შეერგებათ."**

იურიდიულ საკითხთა კომიტეტში გუშინ გამართული მოსმენის დროს, დეპუტატები იმის გამოც გამოთქვამდნენ პროტესტს, რომ კანონპროექტის მიხედვით, პიროვნებას, რომელიც მოპარულ ქონებას მალავს, დანაშაული ეპატიება, იმას კი, ვინც თავისი ქონების წარმომავლობასთან დაკავშირებით სასამართლო დავას აწარმოებს - არა.

**"ხდება მათი წახალისება, ვინც სახელმწიფოს "წარმატებით" დაუმალა შემოსავლები, ხოლო იჩაგრებიან ისინი, ვინც შემოსავლების დეკლარირება პატიოსნად მოახდინა, მაგრამ გადასახადების გადახდა ვერ შეძლო,"** - აცხადებენ იურიდიულ საკითხთა კომიტეტის წევრები. მათი თქმით, "საამნისტიო ციებ-ცხელება" იმით დაიწყო, რომ საწარმოებს არ შეეძლოთ დაგროვილი დავალიანებების გადახდა და მიზანშეწონილად ჩაითვალა მათთვის ფინანსური ამნისტიის გამოცხადება, მაგრამ შემდეგ მოხდა ამ იდეის დისკრედიტაცია და **"მთავრობამ პარლამენტს სულ სხვა სოუსი შესთავაზა."**

გიგა ბოკერიას თქმით, აღმასრულებელი ხელისუფლების წარმომადგენელთა მხრიდან ბევრ საკითხზე დამაჯერებელი არგუმენტები ვერ მოისმინა და მიაჩნია, რომ კანონპროექტს სერიოზული გადახედვა სჭირდება.

რით დასრულდება ფინანსური ამნისტიის კანონპროექტით პარლამენტში "ბურთაობა", საპარლამენტო უმრავლესობის სხდომაზე გაირკვევა, რომელიც ორშაბათს გაიმართება.

## ორი სიტყვით

**ზესტაფონი.** გუშინ დილით ზესტაფონში საპატრულო პოლიციის თანამშრომლებმა "ЗИЛ"-ის ტიპის სატვირთო მანქანა დააკავეს, რომელშიც უკანონოდ მოპოვებული წიაღისეული, ე.წ. "წიდა" აღმოჩნდა. სილიკომანგანუმის ქერქეული ნარჩენების საერთო წონა 6 ტონას შეადგენს. 1 ტონის ფასი "შავ ბაზარზე" 120-დან 130 აშშ დოლარამდე მერყეობს. მეორადი სილიკომანგანუმის, როგორც სახელმწიფოს კუთვნილი წიაღისეულის მოპოვება კანონით აკრძალულია. როგორც გაირკვა, ტვირთის მფლობელი ზესტაფონელი გიული კაპანაძეა.

ავტომანქანა უკანონო ტვირთითურთ ზესტაფონის პოლიციაში გადაიყვანეს. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** საქართველოს უშიშროების სამინისტროს კონტრტერორისტულმა დეპარტამენტმა საქართველო-აზერბაიჯანის საზღვარზე განსაკუთრებით დიდი ოდენობით ნარკოტიკული ნივთიერება ამოიღო. როგორც გუშინ უშიშროების სამინისტროში გამართულ ბრიფინგზე მინისტრის მოადგილემ ბათო ქუთელიამ განაცხადა, 3 ნოემბერს, დაახლოებით 9.00 საათზე დედოფლისწყაროს რაიონის სოფელ ფიროსმანში დააკავეს აზერბაიჯანის მოქალაქე, 30 წლის რამო არზუმოვი, რომელსაც 1,255 გრამი ნარკოტიკული ნივთიერება "ოპიუმი" აღმოაჩნდა. ქუთელიას თქმით, მან საზღვარი მდინარე ალაზნით, რეზინის ნავის მეშვეობით გადმოკვეთა. დაკავების ოპერაციის დროს მძიმე ფიზიკური დაზიანება მიიღო კონტრტერორისტული დეპარტამენტის ერთ-ერთმა თანამშრომელმა, თუმცა ამჟამად მის სიცოცხლეს საფრთხე არ ემუქრება. აღძრულია სისხლის სამართლის საქმე. მიმდინარეობს გამოძიება. სისხლის სამართლის კოდექსის თანახმად, არზუმოვს 20 წლამდე ან უვადო პატიმრობა ემუქრება. ასევე მიმდინარეობს მუშაობა მის თანამზრახველთა დასაკავებლად. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** ჩრდილოეთ კავკასიაში კონტრტერორისტული ოპერაციის მართვის რეგიონული ოპერატიული შტაბის ინფორმაციით, ჩეჩნეთში დაკავებული დაქირავებული მებრძოლი საქართველოს მოქალაქე აღმოჩნდა. შტაბის განცხადებაში ნათქვამია, რომ ფედერალურმა ძალებმა ორი "ბოევიკი" ჯერ კიდევ მიმდინარე წლის იანვარში დააკავეს, თუმცა, იმის დადგენა, რომ ერთი მათგანი დაქირავებულია, მხოლოდ ახლა მოხერხდა.

"ეს საქართველოს მოქალაქე, 1982 წელს დაბადებული სოფელ ჯანკალოს მკვიდრია. არსებული მონაცემებით, ის 2002 წლიდან უკანონო შეიარაღებულ ფორმირებაში ირიცხება", - აღნიშნულია განცხადებაში.

მასთან ერთად ფედერალებმა ამავე ბანდის წევრი, რაიონული ცენტრის ურუს-მარტანის მკვიდრი დააკავეს. "ორივე ბანდიტი ურუს-მარტანის რაიონის ტერიტორიაზე მოქმედი იაკუბ ბასნუკაევის ბანდიტური ჯგუფის მონაწილეა, რომელმაც არაერთი ტერორისტული აქტი განახორციელა სამართალდამცველი ორგანოების თანამშრომლების წინააღმდეგ", - ნათქვამია განცხადებაში. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** პოლიციის აკადემია ორ კვირაში საპატრულო პოლიციის თანამშრომელთა ახალ ნაკადს გამოუშვებს. პოლიციის აკადემიის რექტორის ლევან იზორიას განცხადებით, გასაუბრების წესით შერჩეული პრეტენდენტები 1 თვიანი სპეცმომზადების კურსს ამჟამადაც გადიან პოლიციის აკადემიაში და პარალელურად რამდენიმე ნორმატივისა და ჩათვლის ჩაბარებაც შეძლეს. ამ ხნის მანძილზე დისციპლინარული დარღვევებისა და არასათანადო მომზადების გამო თავდაპირველად შერჩეული 735 პირიდან 70 დაითხოვეს. დარჩენილებს კი კიდევ ორი გამოცდა აქვთ ჩასაბარებელი საცეცხლე მომზადებასა და თეორიულ კურსში. ამასთან, უახლოეს მომავალში რუსთავისა და თელავის საპატრულო პოლიციის დასაკომპლექტებლად ახალი გასაუბრება ჩატარდება. ახალი მანქანებით, ფორმებითა და ტექნიკით აღჭურვილმა საპატრულო პოლიციამ ფუნქციონირება მიმდინარე წლის აგვისტოდან დაიწყო. **პრაიმ-ნიუსი**

## მოქალაქეებს ინფორმაციის მიღება გაუადვილდებათ

იუსტიციის სამინისტროში გუშინ მოქალაქეთა განახლებული მისაღები განყოფილების პრეზენტაცია გაიმართა. ღონისძიებას პრემიერ-მინისტრი ზურაბ ჟვანია, აშშ-ს საელჩოს და საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლები დაესწრნენ.

საზოგადოებრივი მისაღები ახალი მატერიალურ-ტექნიკური საშუალებებით აღიჭურვა. გარდა ამისა, განყოფილებას სამინისტროს რამდენიმე თანამშრომელი დაემატა.

განყოფილების განახლებისთვის თანხები სააქციო საზოგადოება "თბილავიამშენმა", აშშ-ს საელჩომ და გაეროს განვითარების პროგრამამ გაიღეს.

როგორც პრეზენტაციაზე იუსტიციის მინისტრმა გიორგი პაპუაშვილმა განაცხადა, საზოგადოებრივი მისაღები ამჯერად უფრო ხარისხიანად, სწრაფად და გამჭვირვალედ მოემსახურება მოქალაქეებს. პრემიერ-მინისტრ ზურაბ ჟვანიას განცხადებით კი, იუსტიციის სამინისტროს მისაღები განყოფილება შეიძლება, მაგალითი გახდეს ყველა სახელმწიფო დაწესებულებისთვის. **"მოქალაქეებს არ უნდა ექმნებოდეთ ბარიერები სახელმწიფო უწყებებისგან დახმარების მიღებაში, იუსტიციის სამინისტრომ კი ამ კუთხით ეფექტური სისტემის ჩამოყალიბება ძალზე სწრაფად მოახერხა,"** - აღნიშნა მან.

ამიერიდან მოქალაქეები ინფორმაციას გამარტივებული წესით მიიღებენ და მათ ამ საქმეში სამინისტროს 12 თანამშრომელი დაეხმარება.

"მოქალაქეთა მისაღები საშუალებას აძლევს მოქალაქეებს, ინფორმაცია გამარტივებული პროცედურით მიიღონ. გარდა ამისა, მისაღებში გამოკრულია სხვადასხვა სპეციფიკური ინფორმაცია, რაც ხელს შეუწყობს მოქალაქეების დროულ ინფორმირებას", - განაცხადა იუსტიციის მინისტრის მოადგილემ კოტე ვარძელაშვილმა.

*ინტერ-პრესი*

## ფოთის საკრებულომ სასამართლო პროცესი მოიგო

ქეთევან ჭაკობია

3 ნოემბერს, ფოთის საქალაქო სასამართლოს კოლეგიამ განიხილა ქ. ფოთის მერის ვახტანგ ალანიას სარჩელი, ადგილობრივი საკრებულოს 2004 წლის 20 აგვისტოსა და 17 სექტემბრის დადგენილებების გაუქმების თაობაზე. გამომდინარე იქიდან, რომ ფოთის მერმა მთავრობის წევრები თვითმმართველობის ორგანოს დამტკიცების გარეშე, ერთპიროვნული განკარგულებით დანიშნა, საკრებულომ გამოიყენა ორგანული კანონით მინიჭებული უფლებამოსილება და დადგენილებით გააუქმა აღმასრულებელი ხელისუფლების პირველი პირის მიერ მიღებული სამართლებრივი აქტი. სასამართლო პროცესზე დავის საგანი სწორედ აღნიშნული ფაქტი გახლდათ: ჰქონდა თუ არა საკრებულოს მერის განკარგულების გაუქმების უფლება.

ვლადიმერ სანიკიძე, ქ. ფოთის მერის წარმომადგენელი: **"საკრებულოს დადგენილება არ არის ის სამართლებრივი აქტი, რომლის გამოცემის უფლებაც მას ჰქონდა. ეს გამომდინარეობს არა მარტო ადგილობრივი თვითმმართველობისა და მმართველობის შესახებ ორგანული კანონიდან, არამედ, საერთოდ - მოქმედი კანონმდებლობიდან. ორგანული კანონის მე-12 და მე-13 მუხლებში, სადაც საკრებულოს კომპეტენციაზეა საუბარი, ცალკე პუნქტად არ არის მითითებული, თუ რა შემთხვევაში შეუძლია საკრებულოს, სასამართლოს გვერდის ავლით, ბათილად ცნოს მერის განკარგულება. რადგან ანალოგიური რამ არც ზოგადადმინისტრაციულ კოდექსში წერია, მაშინ მერის განკარგულების გაუქმება შეუძლია მხოლოდ მიმღებ ორგანოს, ზემდგომს ან სასამართლოს. საკრებულო კი არც ერთი მათგანი არ არის."**

ბერდია ბუსკანძე, ქ. ფოთის საკრებულოს წარმომადგენელი: "ადგილობრივი თვითმმართველობისა და მმართველობის შესახებ ორგანული კანონის 26-ე მუხლის I პუნქტის ბ ქვეპუნქტის შესაბამისად, საკრებულო ამტკიცებს მთავრობის პერსონალურ შემადგენლობას. ამდენად, ქ. ფოთის მერი ვალდებული იყო, საკრებულოსთვის დასამტკიცებლად წარედგინა მთავრობის წევრობის კანდიდატები. ფოთის მერმა ერთპიროვნულად, საკრებულოს წევრებთან შეთანხმების გარეშე, დანიშნა მთავრობის შემადგენლობა. ორგანული კანონის 52-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, საკრებულომ გააუქმა მერის ხსენებული დადგენილება".

სასამართლო კოლეგიის გადაწყვეტილებით, არ დაკმაყოფილდა ქ. ფოთის მერის სარჩელი საკრებულოს დადგენილების ბათილად ცნობის თაობაზე. მოსარჩელე მხარე აპელაციის უფლებას იტოვებს და საქალაქო სასამართლოს განაჩენის საოლქოში გასაჩივრებას გეგმავს.

გამომცემელი რუსთავი 2 პრინტი. მთავარი რედაქტორი მამუკა ფაჩუაშვილი. პაატა ვეშაპიძე (მმართველი რედაქტორი), ვახტანგ ნადირაძე (გამომშვები რედაქტორი), ირაკლი ლეჟავა (პასუხისმგებელი რედაქტორი). დამატებები: დედაქალაქი - დავით მაღრაძე, ლიტერატურა - მალხაზ ხარბედია, სამყარო - ქეთევან სადღობელაშვილი, სამართალი - ნიკოლოზ რურუა, სტილი - ბიძინა მაყაშვილი, მედიცინა - ზაზა ფაჩუაშვილი, ბიზნესი - ნინო ნარჩემაშვილი, საბავშვო - ვალერი ჯინჭარაძე. ფოტო: ბესო გულაშვილი (მენეჯერი). დიზაინი: გიორგი ხმალაძე, ავთო შარვაშიძე
კომპიუტერული ცენტრი: თამაზ ჩხაიძე (მენეჯერი), მაია ყიასაშვილი, ლელა წიქარიშვილი, დავით გეგეჭკორი, დიმიტრი შალუტაშვილი, თენგიზ ქირია, პაატა ქორიძე. სტილი: ნანა ჯოხარიძე, ნინო სვანიძე, თამარ კვაჭანტირაძე, ხათუნა გოგიშვილი, ძიძია ძნელაძე, ლია თოფურია. რეკლამა - ზურაბ ჯაოშვილი.

# „ნატო-ს ვუახლოვდებით, ოლონდ დროს ნუ მკითხავთ"

პირველი გვერდიდან



გოგიტა ბუხაიძის ფოტო

*მიხეილ სააკაშვილი, ნატო-ს გენერალური მდივნის თანდასწრებით, ამაყია, რომ საქართველო პირველი ქვეყანაა, რომელსაც პარტნიორობის ინდივიდუალური გეგმა დაუმტკიცეს.*

ჩვენს ქვეყანას სამხედრო სფეროში სოლიდურ დახმარებას გაუწევს. **"ახალი სამხედრო პროგრამა წინანდელს – "წრთვნისა და აღჭურვის პროგრამას" მოცულობით ორჯერ აღემატება,"** - დასძინა პრეზიდენტმა და იმედი გამოთქვა, რომ ყოველივე ეს ხელს შეუწყობს ქართული არმიის ძირითადი ბირთვის საბოლოო ჩამოყალიბებას.

მიხეილ სააკაშვილმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ საქართველოს, ნატო-ს პარალელურად, მეზობლებთან, მათ შორის რუსეთთან, კეთილმეზობლური თანამშრომლობა სწადია. სააკაშვილის თქმით, ჩვენი ქვეყანა, შესაძლოა, გარკვეულ საკითხებში კომპრომისზეც წავიდეს, **"ოღონდ არანაირი კომპრომისი იქ, სადაც იწყება საქართველოს ტერიტორიული მთლიანობა და საქართველოს თითოეული მოსახლის არჩევანის თავისუფლება."**

**"ძალიანაც ცდება, თუ ვინმეს ჰგონია, რომ ზეწოლის მეთოდებით შეძლებს ჩვენი ფუნდამენტური კურსის შეცვლას!"** - აცხადებს საქართველოს პრეზიდენტი და იქვე დასძენს, რომ **"ამ ფუნდამენტურ კურსში რუსეთთან კარგი ურთიერთობაც შედის."**

პრეზიდენტ სააკაშვილის განცხადებით, იგი იააპ დე ჰოოპ სხეფერს მესამედ ხვდება. სხეფერმა სააკაშვილს დაოსში გამართული რიგით მეოთხე შეხვედრაც გაუხსენა... **"ნატო ყოველმხრივ მხარს უჭერს და მიესალმება საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობას... ნატო-ს აზრით, მოიძებნება პოლიტიკური გამოსავალი იმ პრობლემებიდან, რომლებიც საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობას უკავშირდება,"** - განაცხადა გუშინდელ ბრიფინგზე სხეფერმა.

როგორ ესახება სხეფერს საქართველოს პერსპექტივა?

**"მე რეალისტი გახლავართ, მე ოპტიმისტი ვარ. მე ვიცი, რომ საქართველოს ნატო-ში გასაწევრიანებლად დიდი გზაა გასავლელი. მაგრამ დარწმუნებული ვარ, რომ საქართველოს ხელისუფლების და ქართველი ხალხის ძალისხმევა ევროატლანტიკურ სივრცეში მოკლე დროში გაწევრიანების საშუალებას მოგვცემს."**

სხეფერი საგანგებოდ განმარტავს, რომ **"ნატო რეგიონში იმისთვის არ ჩამოსულა, რომ კონკურენცია გაუწიოს რომელიმე ქვეყანას ან ორგანიზაციას"** და დასძენს: **"ჩვენ აქ ვართ იმიტომ, რომ ფართოდ გავუღოთ კარი იმ ქვეყნებს, რომლებიც დასავლურ ღირებულებებს აღიარებენ."**

იააპ დე ჰოოპ სხეფერი გუშინ საქართველოს პრეზიდენტის გარდა, პრემიერ-მინისტრ ზურაბ ჟვანიას, საგარეო საქმეთა მინისტრ სალომე ზურაბიშვილს, თავდაცვის მინისტრ გიორგი ბარამიძეს შეხვდა. სხეფერის თქმით, ნატო-ს პარტნიორობის საბჭოში უახლოესი მომავლისათვის დაგეგმილია სამიტი და მისი ვიზიტიც ამ ღონისძიებისათვის ერთგვარი სამზადისი იქნება.

**"რა როლს შეასრულებს ნატო რუსეთ-საქართველოს ურთიერთობების დარეგულირებაში, ანუ როგორ შეიძლება, ნატო-მ რუსეთს აიძულოს სტამბულის სამიტის დებულებათა შესრულება, მათ შორის, საქართველოდან რუსეთის სამხედრო ბაზების გაყვანა?"** - ქართველი ჟურნალისტის ამ შეკითხვას ნატო-ს გენერალური მდივანი ამგვარად პასუხობს: **"რუსეთის ფედერაციას კარგად აქვს გაცნობიერებული ნატო-ს პოზიცია. არანაირი ეჭვი არ არსებობს... რუსეთმა სტამბულის სამიტზე გადაწყვეტილი დებულებები უნდა შეასრულოს!"**

# ხაჯიმბა არჩევნებისთვის ემზადება, ბაღაფში - ინაუგურაციისთვის

პირველი გვერდიდან

როგორც დეპუტატი ვლადიმერ ნაჩაჩ-ოღლი ამბობს, საპარლამენტო სხდომების სხვა შენობაში ჩატარება გამორიცხულია. **"გამოდის, რომ პარლამენტი იატაკქვეშეთში უნდა წავიდეს? ჩვენ ლეგიტიმური ხელისუფლება ვართ და დამალვას არ ვაპირებთ,"** – განაცხადა მან.

სააგენტო "აფსნი-პრესის" ცნობით, აფხაზეთის სახელმწიფო ტელერადიოკომპანია ჩვეულებრივად მაუწყებლობს. გუშინ ეთერში საინფორმაციო პროგრამა "ამშეიკუშარა" გავიდა, რომელიც რამდენიმე დღის განმავლობაში შეჩერებული იყო.

ხაჯიმბასა და ბაღაფშს არა მარტო საკუთარი მიტინგები და პრესა აქვთ, არამედ - ცალ-ცალკე ტელევიზიებიც. სახელმწიფო არხზე ბაღაფში ბატონობს; სამაგიეროდ, ხაჯიმბას საარჩევნო შტაბში ალტერნატიული ტელევიზიაა გახსნილი, რომელიც სამოყვარულო კამერისგან, ორი გასანათებელი მოწყობილობისგან და ერთი დიქტორი გოგონასგან შედგება. შემდეგ ჩაწერილი კასეტები ბიჭვინთაში მიაქვთ, იქაური ტელეანძა კი ხაჯიმბას წარმატებებს ნახევარ აფხაზეთს გადასცემს.

რუსი პოლიტიკოსების თუ პარლამენტარების განცხადებებიდან აშკარად ჩანს, რომ კრემლი ხელახალი არჩევნების მომხრეა. **"ხელახალი არჩევნები აუცილებელია აფხაზეთისთვის. მოსკოვი დღეს მხოლოდ და მხოლოდ შუამავლის როლში გამოდის და სტაბილური აფხაზეთის მომხრეა. სხვადასხვა ნაწილებად გახლეჩილი აფხაზეთი, როდესაც რესპუბლიკის ერთი ნაწილი ებრძვის მეორეს – ეს რუსეთის პროექტი არ არის. შეიძლება ეს ქართული პროექტია, მაგრამ არავითარ შემთხვევაში - რუსული,"** – აცხადებს რუსეთის სახელმწიფო დუმის დსთ-სთან ურთიერთობის კომიტეტის წევრი ზატულინი. მისი თქმით, რაულ ხაჯიმბა გაცილებით უფრო კეთილგონივრულად იქცევა, ვიდრე მისი ოპონენტი.

**"აფხაზეთის სტაბილიზაციისთვის ხაჯიმბა მზად იყო, საკუთარი კანდიდატურაც კი მოეხსნა, იგი დიდ მზრუნველობას იჩენს საკუთარი ხალხისადმი. ბაღაფშის გუნდში კი პირიქითაა..."** – აღნიშნა ზატულინმა.

აფხაზეთის მოვლენებთან დაკავშირებით კომენტარებს აკეთებენ რუსი პოლიტოლოგებიც.

**"საქართველოს ხელისუფლების მხრიდან პირდაპირი სამხედრო ჩარევის შიში აფხაზეთში არ უნდა ჰქონდეთ. არა მგონია, საქართველოში მოსწონდეთ ის, რაც დღეს აფხაზეთში ხდება. არ არის გამორიცხული, საქართველომ რაიმე ფარულ ხერხებს მიმართოს. რუსეთის როლი აფხაზეთის მოვლენებში საკმაოდ სპეციფიკურია. მსოფლიო ისტორიაში არის ასეთი ცნება - fleet in being, რომელიც სამხედრო-საზღვაო ფლოტთან მიმართებაში გამოიყენება და ნიშნავს იმას, რომ ამგვარი ფლოტის არსებობა ზემოქმედებს მოწინააღმდეგეზე მხოლოდ საკუთარი არსებობითაც კი. ასევეა რუსეთიც. მხოლოდ რუსეთის არსებობა, თუნდაც ყოველგვარი ჩარევის გარეშე, ზემოქმედებს აფხაზეთში მიმდინარე პროცესებზე,"** – აღნიშნავს რუსეთის პოლიტიკურ მეცნიერებათა ასოციაციის ვიცე-პრეზიდენტი იგორ იაკოვლევი.

**"თუ სააკაშვილი გამოვა და ხმამაღლა მოუწოდებს აფხაზებს წესრიგისკენ, ამან შეიძლება, გააერთიანოს აფხაზი ერი. დღეს აფხაზეთი საქართველოსთან დიალოგისთვის მზად არ არის, ხოლო ის ფაქტი, რომ ორივე კანდიდატი - ხაჯიმბაც და ბაღაფშიც მოსკოვში ჩავიდნენ, საკმაოდ ბევრ რამეზე მეტყველებს.**

**აფხაზეთში განვითარებული მოვლენები კარგი გაკვეთილი გახდა რუსეთისთვის – არ შეიძლება ყველაფრის თვითდინებაზე მიშვება. თუ რუსეთი საკუთარი ყურის ძირში ვერ უმკლავდება პროცესებს, ხვალ შეიძლება, მოვიდეს ნატო-ს მშვიდობისმყოფელი და ეს მისია იკისროს,"** – აცხადებს პოლიტოლოგი სერგეი კაზენნოვი.

# ბაღაფში გამარჯვებაში დარწმუნებულია

## ინტერვიუ ჩაწერილია მოსკოვიდან სოხუმში გამგზავრების წინ

რუსუდან ნიკურაძე
საქ. კორ. მოსკოვში

**- რუსი დეპუტატები ასე მკითხაობდნენ: თუ ბაღაფში პირველად მოსკოვში ჩამოვა, მოსკოვის კაციაო. ეთანხმებით საკითხის ასე დაყენებას?**

- არ მესმის, აბა, სად უნდა წავსულიყავი პირველად? რა თქმა უნდა, თუ მომეცა ამის საშუალება, პირველად პუტინს შევხდები და მერე საქართველოს პრეზიდენტს. სხვანაირად არც შეიძლება იყოს. რაც შეეხება იმას, თუ ვისი კაცია ბაღაფში, ამის შესახებ აფხაზი ხალხი და ჩვენი ამომრჩეველი ლაპარაკობს.

**- მოსკოვში გამოგიძახეს თუ საკუთარი ინიციატივით ჩამოხვედით?**

- მოსკოვში ჩამოვედი რუსული მხარის აზრის მოსასმენად. შევეცდები, მათი მოსაზრებები სოხუმში ჩავიტანო და ჩემს შტაბსა და საკუთარ ამომრჩეველს შევუთანხმო. არის საკითხები, რაც ჩვენი გუნდის ერთობლივი განხილვის გარეშე არ წყდება.

**- კმაყოფილი ხართ იმით, რაც მოსკოვში მოისმინეთ?**

- არ ვარ კმაყოფილი. აფხაზეთში საპრეზიდენტო არჩევნებზე ჩვენმა ხალხმა თავისი ნება გამოხატა, არსებობს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება, არ მესმის, რა სურთ კიდევ? მაშფოთებს აფხაზეთში დესტაბილიზაციის საფრთხე, ეს დღეს არავის სჭირდება.

**- მოსკოვში კონსულტაციების შემდეგ როგორია ხაჯიმბას პოზიცია?**

- ხაჯიმბა და ბევრი მისი მხარდამჭერი ფიქრობენ, რომ არჩევნების შედეგებს გააყალბებენ. ჩვენ გავიმარჯვეთ. აფხაზეთის პრეზიდენტის ბრძანება ხელმეორე არჩევნების ჩატარებაზე კანონის უხეში დარღვევაა. მე ხაჯიმბას აქაც ვუთხარი: არის გამარჯვებული მხარე და ამას უნდა შეეგუოს. ჩვენს გუნდში ადგილი ყველასათვის მოიძებნება, ვისაც მუშაობა უნდა.

**- პრემიერის კანდიდატურის ირგვლივ ხომ არ მოხდა რაიმე შეთანხმება?**

- ჩვენი თანამოაზრეები ვისთან იმუშავებენ და ვინ იქნება პრემიერი ჩვენი გუნდიდან, ამაზე გადაწყვეტილებას ჩვენვე მივიღებთ. თავზე ვერავინ ვერაფერს მოგვახვევს. აფხაზი ხალხი, უკვე გაკეთებული არჩევანის შემდეგ, არ დაუშვებს ვილაცის დიქტატს. თუ ვითარება გართულდება, ჩვენ უხუცესთა საბჭოს მოვიწვევთ.

**- ე.ი. თქვენ საკუთარ გამარჯვებაში დარწმუნებული ხართ?**

- აბსოლუტურად.

**- როგორ პოლიტიკას გაატარებთ თბილისთან?**

- როგორი ურთიერთობაც შეიძლება იყოს ორ დამოუკიდებელ სახელმწიფოს შორის.

# წინ ზიგზაგებია

რუსუდან ნიკურაძე
საქ. კორ. მოსკოვში

რუსული და ქართული მხარეები მოსკოვში, როგორც ჩანს, მივიდნენ შეთანხმებამდე, რომ ბაღაფშისა და ხაჯიმბას მოსკოვში ყოფნა პოზიტიური მოვლენაა, თუკი რუსეთი სიტუაციის დარეგულირებას შეეცდება. ამის შესახებ განცხადება გააკეთა მოსკოვში საქართველოს ახალმა ელჩმა ვალერიან ჩეჩელაშვილმა. და რადგანაც ელჩი უცხო ქვეყანაში საკუთარი სახელმწიფოს ხელისუფლების პოზიციის გამხმოვანებელია, უნდა ვივარაუდოთ, რომ ალბათ, ასეთია ოფიციალური თბილისის პოზიციაც.

ნინო ბურჯანაძის განცხადებით, არის გარკვეული ეჭვიანობის მომენტიც, როცა მსგავს ფაქტებს საქართველოს ხელისუფლებასთან შეუთანხმებლად აქვს ადგილი. ისეთი შთაბეჭდილება რჩება, რომ ქართულ და რუსულ მხარეებს შორის ამ ფაქტზე ნამდვილად არსებობს კონფიდენციალური შეთანხმება. რუსი ანალიტიკოსები კი საქართველოს მხრიდან კომპრომისზე მიანიშნებენ. აი, რას ამბობს რუსი პოლიტოლოგი, პროფესორი ვლადიმირ ვინოგრადოვი: **"სერგეი ბაღაფშისა და რაულ ხაჯიმბას კონსულტაციები რუსეთის დედაქალაქში მოსკოვის ინიციატივა ნამდვილად არ არის. პრეზიდენტობის კანდიდატებმა თავად მოითხოვეს რუსეთის ხელისუფლებასთან შეხვედრები. თუ იმას გავიხსენებთ, რომ ოდესღაც აფახაზეთიცა და საქართველოც ერთი ქვეყნის შემადგენლობაში იყვნენ, ერთი საერთო სახლი იყო, ადამიანურად შეიძლება კიდეც მათი ვიზიტის არსის გაგება."**

ანალიტიკოსთა კომენტარების გარდა, არსებობს ოფიციალური ხელისუფლების პოზიციაც. იგი ასე ჟღერს: აფხაზეთში განვითარებული პროცესების გამო მოსკოვს არ შეუძლია უმოქმედოდ ყოფნა, როცა არჩევნების მიზეზით მოსალოდნელ უწესრიგობებში შეიძლება რუსეთის მოქალაქეებიც იქნენ ჩათრეული. ამიტომაც რუსეთის უშიშროების საბჭოში ჯერ ბაღაფშს გაესაუბრნენ, შემდეგ ხაჯიმბას. იქვე მოხდა მათი "შერიგებაც."

როგორც ჩანს, პროტესტის მიუხედავად, ქართულ მხარეს მაინც უწევს იმ აზრთან შეგუება, რომ მოსკოვი აფხაზეთს საკუთარი სტრატეგიული ინტერესების სფეროდ მიიჩნევს. ამაში ქართული მხარისათვის მოულოდნელი არაფერია. მოსკოვში აფხაზეთის ლიდერებთან კონსულტაციებითა და ქართულ ოფიციოზთან წარმოებული ნახევრად კონფიდენციალური საუბრებით კრემლი ძველ და ნაცად ხერხს მიმართავს - მხარეთა "დაშორიშორებით" კონფლიქტის მოწესრიგებას განუსაზღვრელი ვადით წელავს.

მოსკოვში უკვე ამბობენ, რომ ხაჯიმბას დამარცხებით თბილისს სახარბიელო პოზიციები არ შერჩება, რადგანაც სერგეი ბაღაფში საკუთარი სურვილით ჩავიდა მოსკოვში, რითიც საბოლოოდ გააქარწყლა მითი პროქართულობის შესახებ. მეორე მხრივ, ხაჯიმბა-ბაღაფშის ვიზიტმა კიდევ ერთხელ დაამტკიცა, რომ ორმაგი სტანდარტებისა და აფხაზეთის კონფლიქტის დარეგულირების პოლიტიკური ნების არქონის ფონზე, რუსეთთან საქართველოს დაახლოების გზას წინ არაერთი ზიგზაგი შეხვდება.

# თქვენ იცით, რა ხდება პანკისში?

ნინო გომართელი

ჩეჩნეთის რესპუბლიკის ვიცე-პრემიერმა რამზან კადიროვმა, ჩეჩნეთის პრობლემების "მოგვარების" შემდეგ, საკუთარი უძვირფასესი დრო გამონახა საქართველოში წესრიგის დასამყარებლად. როგორც მან გუშინ განაცხადა, მზადაა ანტიტერორისტული ოპერაცია ჩაატაროს პანკისის ხეობაში.

**"ჩვენ ჩეჩნეთში უკვე ყელში ამოგვივიდა უხმოდ ყურება იმისა, თუ როგორ წვრთნიან, აძლევენ იარაღს და ჩეჩნეთში აგზავნიან ტერორისტებს პანკისიდან. ამას ჩვენ წერტილს დავუსვამთ, თუ უმაღლესი ხელისუფლება ბრძანებას გასცემს. ტერორისტებს მათსავე ბუნაგში გაანადგურებენ და არ მისცემენ ნებას, საკუთარი ბუდეები რუსეთის გარშემო აშენონ. თუ იქნება ბრძანება პანკისის ხეობაში ტერორისტების ლიკვიდირების შესახებ, ის დაუყოვნებლივ შესრულდება,"** – განაცხადა ჩეჩნეთის ვიცე-პრემიერმა.

რამზან კადიროვს, თურმე, ისიც ესმის, რომ საქართველოს ტერიტორიაზე მსგავსი ქმედების განხორციელება, კრემლის ნებართვის გარეშე, არ შეიძლება, რადგან ოპერაცია თავის მხრივ რუსეთ-საქართველოს შორის არსებულ პოლიტიკურ კრიზისს კიდევ უფრო დაძაბავს. თუმცაღა, იგი დარწმუნებულია, რომ ამ შემთხვევაში რუსეთს მორალური უფლება აქვს, შეუტიოს საქართველოს.

**"ნუ უქნევს თავს საქართველოს ხელისუფლება საერთაშორისო თანამეგობრობას, თავად დაამყარონ წესრიგი, თუ არ სურთ, რომ ეს სხვამ გააკეთოს,** – ხაზი გაუსვა კადიროვმა და იქვე მიანიშნა, - **ტერორიზმის ცენტრი ჩრდილოეთ კავკასიაშია – ჩეჩნეთსა და მის ახლომდებარე რეგიონებში. ასე რომ, სწორედ ამ ტერიტორიებზე ვიმუშავებ."**

გუშინვე რუსულმა საინფორმაციო საშუალებებმა, ჩრდილოეთ კავკასიაში კონტრტერორისტული ოპერაციების სამმართველოს რეგიონული ოპერატიული შტაბის ცნობაზე დაყრდნობით, გაავრცელეს ინფორმაცია, რომ ჩეჩნეთში დააკავეს დაქირავებული მებრძოლი საქართველოდან.

როგორც დოკუმენტშია აღნიშნული, ჯერ კიდევ მიმდინარე წლის იანვარში, ფედერალურმა ძალებმა მოახერხეს ორი ბოევიკის დაკავება, თუმცა იმის დადგენა, რომ ერთი მათგანი დაქირავებული იყო, მხოლოდ ცოტა ხნის წინ მოხდა.

"ის არის საქართველოს მოქალაქე, 1982 წელს დაბადებული, სოფელ ჯანკალოს (ალბათ ჯოყოლოს – აზუსტებენ რუსული მედიის წარმომადგენლები) მკვიდრი. არსებული მონაცემებით, იგი 2002 წლიდან უკანონო შეიარაღებული ფორმირების წევრია," – ნათქვამია ცნობაში.

მასთან ერთად დააკავეს იმავე ბანდის წევრი – ურუს-მარტანის რაიონული ცენტრის მცხოვრები. "ორივე ბანდიტი იაკუბ ბასნუკაევის ბანდფორმირების წევრია. ბანდა ურუს-მარტანის რაიონის ტერიტორიაზე მოქმედებს," – მითითებულია ჩრდილოეთ კავკასიაში კონტრტერორისტული ოპერაციების სამმართველოს რეგიონული ოპერატიული შტაბის ცნობაში.

მათივე მონაცემებით, აღნიშნულ ბანდას ადგილობრივი მოსახლეობის არაერთ დაყაჩაღებას და ძარცვას მიაწერს და სამართალდამცავი ორგანოების წინააღმდეგ ტერორისტული აქტებიც აქვს ჩადენილი.

"ოპერატიული-საგამოძიებო ჯგუფი დაკავებული ბანდიტების იმ დანაშაულებებთან კავშირის დადგენას ცდილობს, რომლებიც ბასნუკაევის ბანდიტურმა დაჯგუფებამ ჩაიდინა," – აღნიშნულია ოპერატიული შტაბის განცხადებაში.

*თვალსაზრისი*

# ოსანა, ოსამა!

## ჯორჯ ბუშის დამაჯერებელი გამარჯვება

ირაკლი კაკაბაძე
ვაშინგტონიდან

საპრეზიდენტო არჩევნებამდე სამი დღით ადრე "ალ ქაიდას" ლიდერმა ოსამა ბინ ლადენმა ამერიკელ ხალხს მიმართა. ამ მიმართვის ტონი უჩვეულოდ რბილი და შემრიგებლური იყო. მან ამერიკელ ხალხს შეახსენა, რომ მათი ბედი მათივე ხელშია, თითქოს ამის შესახებ არავინ იცოდა და მოუწოდა, ჯორჯ ბუშის წინააღმდეგ მიეცათ ხმა. ბევრმა კომენტატორმა იწინასწარმეტყველა, რომ ეს გამოსვლა ბუშს დაეხმარებოდა არჩევნების დღეს. ამის შემდგომ ამომრჩეველთა არაჩვეულებრივად დიდმა ნაწილმა მიიღო მონაწილეობა 2 ნოემბრის საპრეზიდენტო არჩევნებში. მიუხედავად იმისა, რომ დემოკრატი ჯონ კერის მომხრეებმა მრავალი მხარდამჭერის მობილიზება მოახერხეს, ბუშის მომხრეებმა სარეკორდო მაჩვენებელი აჩვენეს. საბოლოო ჯამში კი ბუშმა სამნახევარ მილიონზე მეტი სხვაობით გაიმარჯვა, რაც უდავოდ დიდი უპირატესობაა. ომის პრეზიდენტმა ომის პირობებში დამაჯერებლად დაამარცხა მეტოქე, რომელმაც ვერაფერი განსხვავებული ვერ შესთავაზა ამომრჩეველს. ომის პარტიამ მოიგო არჩევნები, თუმცა ომის მოგებას ეს სულაც არ ნიშნავს. ოსამა ბინ ლადენი კი საკუთარი ოჯახის მეგობარ ბუშს, ნებით თუ უნებლიედ, დაეხმარა, რათა ამერიკელი ხალხის ნდობა მოეპოვებინა. ბინ ლადენის ძმა და ბუშის მამა ხომ "კარლაილის" იარაღის მწარმოებელი კორპორაციის დირექტორთა საბჭოს წევრები არიან და დღეს დილით "კარლაილის", ისევე როგორც "ჰალიბარტონის", "ექსონის", "ლოკჰედის" და სხვა შეიარაღებისა და ნავთობის კომპანიების აქციების ფასმა უოლ სტრიტზე მნიშვნელოვნად იმატა. მათი ბიზნესი ხომ კიდევ 4 წლით გაგრძელდა, შემოსავლიანი შეკვეთები პენტაგონიდან და ერაყის მთავრობიდან პრაქტიკულად გარანტირებულია. ასე რომ, ომის კორპორაციებმაც კიდევ ერთი გამარჯვება მოიპოვეს. თუმცა, ამერიკა ასეთი გაყოფილი და დაპირისპირებული დიდი ხანია არ ყოფილა. მიუხედავად ასეთი დამაჯერებელი გამარჯვებისა, 50 მილიონზე მეტმა ადამიანმა ბუშის წინააღმდეგ მისცა ხმა და მათი შემორიგება ადვილი არ იქნება. აგრეთვე ადვილი არ იქნება მსოფლიოს და ევროპის საზოგადოებრივი აზრის შემორიგება. ბოლო მონაცემების მიხედვით, თითქმის ყველა ევროპული ქვეყანა ბუშის წინააღმდეგი იყო, გარდა პუტინის რუსეთისა, ჩინეთის კომპარტიის ლიდერებისა, ისრაელის მთავრობისა და, რაღა თქმა უნდა, ოსამა ბინ ლადენის ტრანსნაციონალური "ალ ქაედასი".

მაინც, რატომ უნდა უხაროდეს ბინ ლადენს ბუშის გამარჯვება? მათს ოჯახებს შორის კავშირი ხომ ბევრს არაფერს ნიშნავს ახლა. მაგრამ თუ საქმეს კარგად დავაკვირდებით, ბინ ლადენისათვის ბუში იდეალური პრეზიდენტია, თუმცა არც კერი იქნებოდა ცუდი. საქმე ის არის, რომ ტერორიზმის დამარცხება შესაძლებელია, მაგრამ ტერორისტების - არა. სხვაობა ის არის, რომ ტერორიზმთან ომი ბევრად უფრო რთულია, ვიდრე ნებისმიერი კონვენციური საომარი მოქმედების წარმოება. კონვენციური ომისას რაც შეიძლება მეტი მტრის ჯარისკაცის მოკვლა წარმატებად ითვლება – ტერორისტებთან ბრძოლისას კი პირიქით. 1 მოკლული ტერორისტი 10 ცოცხალს შობს, და 10 კი 100-ს. ეს პროპორცია, საბოლოო ჯამში, იმ ქვეყნის წინააღმდეგ მოქმედებს, რომელიც კონვენციური ხერხებით ებრძვის ტერორიზმს. საბოლოო ჯამში, სანამ ჩვენ ირგვლივ ყველას არ ამოვხოცავთ, წყნარად ვერ ვიქნებით, რადგანაც ყველა დაზარალებული პოტენციური კამიკაძეა. თითო მოკლულს უამრავი ნათესავი თუ თანამგრძნობი ჰყავს. ერაყში უკვე 100 ათასი ადამიანია მოკლული. ეს იმას ნიშნავს, რომ ამ ქვეყანაში ომის დაწყების შემდეგ პოტენციურად მილიონი ახალი თვითმკვლელი ტერორისტი გაჩნდა. მართალია, "კარლაილის" კორპორაციამ საკმაოდ დიდი ფული გააკეთა სხვა მისნაირ კორპორაციებთან ერთად და ის მოახერხა, რომ 100 ათასი ერაყელი და 1 100 ამერიკელი უკვე შეეწირა ამ ბიზნესს, ეს სულაც არ ნიშნავს იმას, რომ დღეს ტერორიზმის საშიშროება ნაკლებია. სამწუხაროდ, ასეთი მეთოდებით ბრძოლას ყოველთვის უარესი შედეგი მოაქვს.

ლიბერალებმა კი აშკარად ვერ შეძლეს მომხრეთა იმედების გამართლება. ჯონ კერიმ ვერაფერი განსხვავებული ვერ გვითხრა. ისიც ტერორისტების მოკვლას აპირებდა და არა ტერორიზმის და მისი გამომწვევი მიზეზების. ისიც ჩუმად იყო იმ კორპორატიულ და მატერიალისტურ სიხარბეზე, რომელმაც დასავლური სამყარო ასეთ დღეში ჩააგდო. თავის დროზე სამოქალაქო უფლებათა მოძრაობის ერთ-ერთმა ლიდერმა მალკოლმ-მა თქვა: ისევ კონსერვატორი მგელი სჯობია ლიბერალ მელიასო. 2 ნოემბრის არჩევნებმა მისი სიტყვების სიმართლე დაადასტურა.

ბუშის ადმინისტრაციის კიდევ 4 წლის პერიოდში კი ოსამა ბინ ლადენის პოპულარობა ისლამურ სამყაროში კიდევ უფრო გაიზრდება. ბუში ტერორიზმის მაგივრად, ალბათ, გააგრძელებს ტერორისტების დევნას. ამ დევნის პერიოდში ბავშვები და ქალებიც იხოცებიან და ბევრად მეტი ექსტრემისტი და ტერორისტი ევლინება ისედაც პოლარიზებულ მსოფლიოს.

ამერიკის პოლიტიკურ ისტებლიშმენტს არ აღმოაჩნდა ჯორჯ ბუშზე უფრო ეფექტური პასუხი მსოფლიო ტერორიზმის საფრთხეზე. იმედია, სხვა წრეებში მაინც მოიძებნება ეს პასუხი. იმედია, მსოფლიო ბინ ლადენზე და იარაღის კორპორაციებზე უფრო დიდ სულიერ კაპიტალს ფლობს.

EPRC
Economic Policy and Research Center

მონიტორინგი

# ფინანსთა სამინისტროს ბიუჯეტის მეოთხედი ისევ დასახარჯი აქვს

ფინანსთა სამინისტროს სახაზინო სამსახურის მონაცემებით, ოქტომბრის თვის სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავლების საპროგნოზო მაჩვენებელი - 129,38 მილიონი ლარი შესრულებულია 12 მილიონი ლარის გადაჭარბებით. ეს, ძირითადად, ოქტომბრის თვის ბოლო სამუშაო დღეს - 29 ოქტომბრის სარეკორდო მაჩვენებლის (12 მილიონი ლარი) მობილიზებით გახდა შესაძლებელი. სახელმწიფო ბიუჯეტის 10 თვის შესრულებამ შეადგინა 1322,68 მილიონი ლარი. სახელმწიფო ბიუჯეტის წლის პარამეტრის შესრულებას (1655 მილიონი ლარი) აკლია 332,32 მლნ. ლარი.

საინტერესოა, რომ სახელმწიფო ბიუჯეტის ნოემბრის თვის პარამეტრი დაგეგმილია მხოლოდ 134 მილიონი ლარით, რაც ნიშნავს, რომ 11 თვის გეგმაა 1 მილიარდ 371 მილიონი 83 ათასი. ანუ, ფაქტობრივად, 50 მილიონი ლარის მობილიზებაა საჭირო, რომ ფინანსთა სამინისტრომ 11 თვის გეგმას გადააჭარბოს, რაც არანაირად არ წარმოადგენს სირთულეს. მეტიც - ჩვენი პროგნოზით მოხდება 155-160 მილიონი ლარის მობილიზება, რითაც ფინანსთა სამინისტრო დაიმსახურებს ქებას მიმდინარე თვისა და 11 თვის საპროგნოზო მაჩვენებლების გადაჭარბებისათვის.

მაშინ, დეკემბრის თვეში საჭირო გახდება 170 მილიონი ლარის მობილიზება იმისათვის, რომ შესრულდეს კანონით დადგენილი პარამეტრი. თუ გავითვალისწინებთ, რომ წელს მაქსიმალური თანხა არის მობილიზებული სექტემბერში - 163,71 მილიონი დეკემბერში, ამ პარამეტრის შესულება არ უნდა გაჭირდეს. მაგრამ, ერთი ნიუანსია საინტერესო: თუ დავაჯამებთ ფინანსთა სამინისტროს საპროგნოზო მაჩვენებლებს, მივიღებთ კანონით გათვალისწინებულზე 113 მილიონით ნაკლებ მაჩვენებელს. (იხ. ცხრილი N 1.) ჩვენი აზრით, ბიუჯეტის შესრულებას დიდი საფრთხე არ ემუქრება, მაგრამ იბადება კითხვა - რისთვის სჭირდება ფინანსთა სამინისტროს ბიუჯეტის დაგეგმვის ეს საეჭვო მეთოდი?

ასევე საყურადღებოა ერთი ფაქტი: რაც შეეხება სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილს, კანონის თანახმად, დასახარჯია 1 მილიარდ 926 ათასი ლარი. დღეის მონაცემებით, ბიუჯეტიდან გაწეულია 1 მილიარდ 411 მილიონი ლარის ხარჯი, ანუ წლის ბოლომდე დასახარჯია 515 მილიონი (85 მილიონი ხაზინის ანგარიშზეა) - ფაქტობრივად მთელი ბიუჯეტის მეოთხედი, რასაც შესაძლებელია, ინფლაციური რყევები მოჰყვეს.

| | პროგნოზი |
|---|---|
| იანვარი | 74,50 მლნ |
| თებერვალი | 86,28 მლნ |
| მარტი | 107,92 მლნ |
| აპრილი | 133,030 მლნ |
| მაისი | 103,610 მლნ |
| ივნისი | 131,130 მლნ |
| ივლისი | 171,43 მლნ |
| აგვისტო | 154,330 მლნ |
| სექტემბერი | 146,21 მლნ |
| ოქტომბერი | 129,38 მლნ |
| ნოემბერი | 134,01 მლნ |
| დეკემბერი | 170 მლნ |
| **წლიური** | **1 541,83 მლნ** |
| **კანონით** | **1655 მლნ** |
| **სხვაობა** | **113 მლნ** |




# საქართველოში FAO-ს ოფისი გაიხსნა

*გუშინ საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროში გაეროს სურსათისა და სოფლის მეურნეობის ორგანიზაციის FAO-ს ოფისი გაიხსნა. როგორც ოფისის გახსნის ცერემონიაზე სოფლის მეურნეობის მინისტრმა დავით შერვაშიძემ აღნიშნა, FAO ის ორგანიზაციაა, რომელსაც არაერთხელ გაუწევია საქარველოსთვის დახმარება. 2000 წელს გვალვის გამო კატასტროფის წინაშე მდგარ საქართველოს სწორედ ხსენებული ორგანიზაცია დაეხმარა.*

დიანა ჩაჩუა

საქართველოში გაეროს განვითარების პროგრამის წარმომადგენლის მარკ კლარკის განმარტებით, გაეროს სურსათისა და სოფლის მეურნეობის ორგანიზაციის FAO-ს ოფისის გახსნა ხელს შეუწყობს საქართველოში არსებულ გაეროს 11 სააგენტოს ერთმანეთთან დაახლოებას.

**"საქართველოში FAO-ს ოფისის გახსნა იმაზე მეტყველებს, რომ საქართველოში სოფლის მეურნეობის სექტორი მნიშვნელოვანია, გაეროს სურსათისა და სოფლის მეურნეობის ორგანიზაციასთან ურთიერთობა საერთაშორისო თანამეგობრობას იმედს აძლევს, რომ საქართველო ერთ-ერთი საიმედო პარტნიორია,"** – განაცხადა კლარკმა.

სოფლის მეურნეობის მინისტრმა FAO-ს წარმომადგენელს მარია კანდლეჩიკოვასა და გაეროს განვითარების პროგრამის წარმომადგენელს საქართველოში მარკ კლარკს საქართველოში ისეთი რეგიონული ოფისის გახსნა შესთავაზა, რომელიც გაეროს სურსათისა და სოფლის მეურნეობის ორგანიზაცია FAO-ს ბუდაპეშტში გააჩნია. შერვაშიძეს მიაჩნია, რომ ასეთი ოფისის გახსნას მხარს დაუჭერენ აზერბაიჯანელი და სომეხი კოლეგები.

ცნობისათვის: აგრარულ სფეროში FAO ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი სტრატეგიული დონორია. მას საქართველოში უკვე განხორციელებული აქვს გადაუდებელი დახმარებისა და სექტორული რეაბილიტაციის რამდენიმე პროექტი. რაც შეეხება ორგანიზაციის წარმომადგენლობას, ის საქართველოში 2004 წლის მარტიდან მოქმედებს.

სოფლის მეურნეობის სამინისტრომ FAO-ში დასამტკიცებლად უკვე წარადგინა საპროექტო წინადადებები, მათ შორის, მდგრადი განვითარება სოფლად FAO-ს სასურსათო უსაფრთხოების სპეციალური პროგრამის (SPFS) ფარგლებში და სხვა.

აღსანიშნავია, რომ დღემდე FAO-ს წარმომადგენლობა დსთ-ის ქვეყნებიდან მხოლოდ საქართველოში და სომხეთშია გახსნილი.

მოკლედ

## გერმანიის მთავრობა საქართველოს 26 მილიონ ევროს გამოუყოფს

გერმანიის მთავრობა საქართველოს 2004-2005 წლებში 26 მილიონ ევროს გამოუყოფს. როგორც გუშინ გამართულ პრესკონფერენციაზე გერმანიის ელჩმა საქართველოში უვე შრამმა განაცხადა, 26 მილიონი ევროდან 18 შეღავათიანი კრედიტია, ხოლო 8 მილიონი - ტექნიკური დახმარება. მისივე თქმით, საქართველოსა და გერმანიის მთავრობების შეთანხმებით, 10,5 მილიონი ევროს მოცულობის კრედიტი ბათუმში სასმელი წყლის ქსელისა და ჩამდინარე წყლის კანალიზაციის რეაბილიტაციისთვის გამოიყოფა, 3,5 ევრო - ანაბრების დაცვის ფონდის შექმნისთვის. გარდა ამისა, შრამის განცხადებით, გეგმაზომიერად გაგრძელდება გასულ წელს დაწყებული პროექტები. ტექნიკური დახმარება ძირითადად სამართლის სფეროში საქართველოსა და გერმანიის სპეციალისტების თანამშრომლობას ითვალისწინებს. **ინტერ-პრესი**

## "ივერია" იყიდება

ქობულეთის სასტუმრო "ივერია" 9 დეკემბერს აუქციონის წესით გაიყიდება. როგორც "ინტერ-პრესს" ეკონომიკური განვითარების მინისტრის პირველმა მოადგილემ ნათია თურნავამ განუცხადა, სამინისტრო აჭარის რეგიონში ტურისტული ობიექტების პრივატიზებას განაგრძობს. ბათუმის "ინტურისტის" გაყიდვის შემდეგ, სამინისტრომ ტენდერი სასტუმრო "თანამგზავრზე", შემდეგ კი "ივერიაზე" გამოაცხადა.

მისივე თქმით "ივერიის" საწყისი გასაყიდი ფასი 850 000 დოლარია. ობიექტი 10-სართულიან კორპუსს წარმოადგენს, რომელიც 78 ოთახისგან შედგება.

სამინისტროს ინფორმაციით, 9 დეკემბერს აუქციონზე სასტუმროს ის შეიძენს, ვინც ობიექტში მაქსიმალურ ფასს გადაიხდის. **ინტერ-პრესი**

# წვრილ ბანკებს საშიშროება ემუქრებათ

*"საფოსტო ბანკს" ლიკვიდაცია ემუქრება, თუკი ის ეროვნული ბანკის მოთხოვნას არ შეასრულებს. კომერციულ ბანკს თავის გადასარჩენად ვადა წლის ბოლომდე აქვს. "საფოსტო ბანკის" მსგავსი საფრთხის წინაშე ყველა ის წვრილი ბანკი შეიძლება აღმოჩნდეს, რომელიც 31 დეკემბრამდე 6 მილიონ 400 ათასი ლარის მობილიზებას ვერ შეძლებს.*

ეთერ მამულაშვილი

"საფოსტო ბანკს" პრობლემები არ ელევა. ჯერ იყო და წლის დასაწყისში ბანკი გადასახადების დამალვასა და საბიუჯეტო თანხების მითვისებაში ამხილეს, რის გამოც გენერალურ დირექტორზე სერგო იაკობიძეზე ამჟამადაც ძებნა მიმდინარეობს.

შეგახსენებთ, რომ კომერციულ ბანკს, რომელიც გასულ წლებში დევნილთა შემწეობებს არიგებდა, სამართალდამცავები ამ თანხების გაფლანგვაში სდებენ ბრალს.

მოგვიანებით აღმოჩნდა, რომ კომერციული ბანკი ეროვნული ბანკის მიერ დადგენილ გრაფიკს არღვევდა და საჭირო თანხების მობილიზებას ვერ უზრუნველყოფდა.

მას შემდეგ, რაც "საფოსტო ბანკის" აქციონერებმა საბიუჯეტო და ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროს დავალიანებები გაისტუმრა, ბანკის საზედამხედველო კაპიტალი მნიშვნელოვნად შესუსტდა.

**"მაისში "საფოსტო ბანკში" ეროვნულმა ბანკმა დროებითი ადმინისტრაცია დანიშნა, რის საფუძველზეც კომერციულ ბანკზე სპეციალური რეჟიმი დაწესდა. მაშინ "საფოსტო ბანკმა" პირობა მოგვცა, რომ ეტაპობრივად უზრუნველყოფდნენ ამ თანხის შევსებას, თუმცა ბანკმა ეს გრაფიკი დაარღვია, ამიტომ იძულებულები გავხდით, დროებითი ადმინისტრაცია მეორედ დაგვენიშნა",** - აღნიშნა "24 საათთან" საუბრის დროს ეროვნული ბანკის საბანკო ზედამხედველობისა და რეგულირების სამმართველოს უფროსმა მურთაზ კიკორიამ. მისი ვარაუდით წლის ბოლომდე დარჩენილ დროში "საფოსტო ბანკი" 6 მილიონ 400 ათასი ლარის მობილიზებას ვერ მოახერხებს.

ეროვნული ბანკის ვიცე-პრეზიდენტის განკარგულებით, "საფოსტო ბანკის" ადმინისტრაციული მართვა უკვე მეორედ დროებით ადმინისტრაციას გადაეცა. დროებითი ადმინისტრაცია "საფოსტო ბანკში" 1 დეკემბრამდე იმუშავებს. ორკაციან ადმინისტრაციას მთავარ ამოცანად ბანკის ფინანსური მდგომარეობის გაჯანსაღებისთვის აუცილებელი ზომების გატარება განესაზღვრა. "საფოსტო ბანკის" ყველა ორგანოს უფლებამოსილება შეუჩერდა და ის დროებით ადმინისტრაციას გადაეცა, რის გამოც დაუშვებელია ბანკის სახელით და მის ხარჯზე ნებისმიერი მოქმედება. დროებით ადმინისტრაციას დაევალა ბანკის ფილიალებისა და შვილობილი საწარმოებისათვის უმოკლეს ვადაში დროებითი ადმინისტრაციის განხორციელების პირობები განსაზღვროს, გააფრთხილოს ბანკის კლიენტები ანაბრებისა და ნებისმიერი სხვა სახსრების შესაძლო გაყინვის ან ბლოკირების შესახებ. დროებით ადმინისტრაციას გადაეცა ბანკის ყველა ბეჭედი, ბუღალტრული და სხვა დოკუმენტაცია. "საფოსტო ბანკის" წარმომადგენლებს ეროვნული ბანკის ვიცე-პრეზიდენტის განკარგულების გასაჩივრება თბილისის საოლქო სასამართლოში ექვსი თვის განმავლობაში შეუძლიათ.

ბანკების გამსხვილებისა და სექტორის გაჯანსაღების მიზნით, საქართველოს ეროვნულმა ბანკმა კომერციული ბანკებისთვის საზედამხედველო კაპიტალის მინიმალური ოდენობა მიმდინარე წლის დასაწყისში გაზარდა. ეროვნული ბანკის თავმჯდომრის ირაკლი მანაგაძის დადგენილება, რომელიც კომერციული ბანკებისთვის საზედამხედველო კაპიტალის გაზრდას გულისხმობს, წლის ბოლოდან შედის ძალაში. ახალი წლიდან ბანკის საზედამხედველო კაპიტალი 5 მილიონიდან 6 მილიონ 400 ათას ლარამდე იზრდება.

ევროკავშირის წევრი სახელმწიფოებისათვის კომერციული ბანკების საზედამხედველო კაპიტალი მინიმუმ 6 მილიონი ევრო უნდა იყოს. ამ სტანდარტთან მიახლოებას საქართველოს ეროვნული ბანკი 2008 წლისთვის გეგმავს. მანაგაძის დადგენილების თანახმად კომერციულ ბანკებს საზედამხედველო კაპიტალი 2008 წლისთვის 12 მილიონ ლარამდე ეზრდებათ – ყოველ წელს მილიონ 400 ათასი ლარით.

ის ვინც ეროვნული ბანკის ამ მოთხოვნებს არ შეასრულებს, დახურვა ემუქრება.

# „ბიპი" სახლში

### ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენის მეპატრონის ბრიტანული გამოცდილება საქართველოში განსჯისათვის

თამარ ხორბალაძე

*"ნავთობსადენის უსაფრთხოება ბიპი-ს პრესტიჟის საგანია," - ასეთი პასუხი გასცა ქართველ ჟურნალისტებს ბიპი-ს აღმასრულებელმა დირექტორმა ლორდმა ჯონ ბრაუნმა ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენის უსაფრთხოებაზე პასუხისმგებლის თაობაზე დასმულ შეკითხვაზე. საკუთარ პრესტიჟზე ზრუნვა ევროპის ნომერ პირველ და მსოფლიოში ნომერ მეორე კომპანიას საქართველოში, ცხადია, არ დაუწყია - კომპანიამ საკუთარ ქვეყანაში შექმნა იმის მაგალითი, თუ როგორ შეიძლება აწარმოო საზოგადოდ მეტად სახიფათო (როგორც გარემოს დაბინძურების პოტენციური საშიშროების, ისე - იგივე ტერორიზმის სამიზნის თვალსაზრისით) ნავთობბიზნესი და მოახერხო როგორც საკუთარი პრესტიჟის, ისე - ბუნების დაცვა, წარმატებული და მომგებიანი კომპანიის შექმნა.*

ქართველ ჟურნალისტებს, რომლებიც, როგორც წესი, ძალიან ბევრ კითხვას სვამენ ხოლმე სწორედ ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენის უსაფრთხოებასთან, გარემოსთვის მოსალოდნელ ზარალთან და, განსაკუთრებით - ბორჯომის ხეობასთან დაკავშირებით, ბიპიმ გასულ კვირას საკუთარი "ბრიტანული" გამოცდილების გაზიარების საშუალება და შანსი მისცა - ნანახი მართლაც შთამბეჭდავი გახლდათ თუნდაც იქედან გამომდინარე, რომ ნავთობსადენი, რომელიც ევროპის 40 პროცენტს ნავთობით ამარაგებს, მიწის ზედაპირზე პრაქტიკულად არ ჩანს და იმ მიწაზე, რომელშიც იგი გადის, ბრიტანელ ფერმერებს სასოფლო-სამეურნეო პროდუქცია, თითქოს არც არაფერიო, ისე მოჰყავთ.

ქართველ ჟურნალისტებს დიდ ბრიტანეთში ბიპი-ს სათაო ოფისის მონახულებისა და ლორდ ჯონ ბრაუნთან დაგეგმილზე ნახევარი საათით ხანგრძლივი ინტერვიუს გარდა, (რომლის თაობაზეც "24 საათი" ერთი კვირის წინ წერდა), ორი უმსხვილესი ობიექტის ნახვის საშუალება მიეცათ. ორივეს ფუნქციონირებაში არის ნიუანსები, რომლებიც მეტად საინტერესო უნდა იყოს ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენთან გარკვეული პარალელების გასავლებად.

პირველი ობიექტი ვიჩფარმის ნავთობმომპოვებელი კომპლექსი გახლავთ, რომელიც სამხრეთ ინგლისში, მსოფლიოში ცნობილი და სიძვირით პირველ ათეულში მყოფ საზღვაო კურორტის ტერიტორიაზე არის განთავსებული.

ამ სპეციფიკიდან გამომდინარე, ობიექტის ხელმძღვანელების მთავარი მიზანი საკუთარი მოღვაწეობის მაქსიმალურად შეუმჩნევლად წარმოებაა, რისთვისაც კომპანიამ ამ მხარეში ტყეებიც გააშენა, ნავთობსაბადოსთვის ტრადიციული გაზის ლამპარიც ისე გადახურა, რომ რამოდენიმე მეტრშიც კი ვერ შეამჩნევ და მიმდებარე ტერიტორიაზე დაცული ტერიტორიაც შექმნა. მეტიც - წარმოება აბსოლუტურად უხმაუროდ მუშაობს.

საინტერესოა ისიც, რომ ბიპი-ს მეზობლებთან ანუ ადგილობრივ მოსახლეობასთან ურთიერთობის დალაგების მიზნით ამ ტერიტორიაზე გზების გაყვანა და, საერთოდ – 400 მილიონამდე დოლარის ინვესტირებაც მოუხდა ადგილობრივ ინფრასტრუქტურაში.

მეორე მაგალითი, რომელიც კიდევ უფრო ახლოსაა ქართულ სინამდვილესთან ბიპი-ბიპლაინ-სისტემსია, რომელიც შოტლანდიაში, ჩრდილოეთ ზღვის ნავთობმომპოვებელი პლატფორმიდან გრინჩმაუსამდეა გადაჭიმული და 350 კილომეტრიან ნავთობსადენს, ნავთობგადამამუშავებელ ქარხანას და ტერმინალებს აერთიანებს. ეს კომპლექსი უდიდესია ევროპაში და ევროპის მოთხოვნილებას ნავთობზე 40 პროცენტით აკმაყოფილებს. ნავთობსადენი კი ურთულეს გეოგრაფიულ ზონას გადაჭრის (ზღვაში იღებს სათავეს და ფსკერზე გადის, ხმელეთზე კი რამოდენიმე ტბას და მთას გაივლის) და, რაც განსაკუთრებულად მნიშვნელოვანია - ფუნქციონირების თითქმის ოთხი ათწლეულის თავზე კომპანიას არც ერთი მნიშვნელოვანი, ყოველ შემთხვევაში გახმაურებული გაჟონვა არ ჰქონია. საინტერესოა კიდევ ერთი დეტალი - ნავთობსადენი გადის ტერიტორიაზე, სადაც შოტლანდიაში ცნობილი მინერალური წყალი მოიპოვება და არც ამ მიმართულებით შექმნილა დღემდე პრობლემები. ამასთან, ზემოთ როგორც აღვნიშნეთ, თავად ნავთობსადენის მილების ნახვა პრაქტიკულად შეუძლებელია, ისინი ხმელეთზე 1 მეტრის სიღრმეზეა ჩადებული და 300 ფერმერს, რომელთა კუთვნილ ტერიტორიაზეც ეს ნავთობსადენი გადის, აქ საკუთარი მეურნეობა - ძირითადად მებოსტნეობა, მეცხოველეობა აქვს გაჩაღებული.



*ვიჩფარმის ნავთობმომპოვებელი კომპლექსი მსოფლიოში ცნობილი და სიძვირით პირველ ათეულში მყოფი საზღვაო კურორტის ტერიტორიაზე არის განთავსებული.*

აქვე უნდა ითქვას, რომ ბიპი-ბიპლაინ-სისტემსის შემთხვევაში კომპანიას არ უცდია ნავთობგადამამუშავებელი ქარხნის "დამალვა" ან "შენიღბვა" - ქარხანა პრაქტიკულად დასახლებული პუნქტის მიმდებარე ტერიტორიაზე ფუნქციონირებს და იქაურობა ძალზე ჰგავს ტრადიციულ ინდუსტრიულ ქალაქს. თუმცა ამ ტერიტორიაზე, ანუ - ფოლკინგში ბიპი ადგილობრივ მეწარმეთა ერთობასთან და ქალაქის ადმინისტრაციასთან ერთად ერთობლივ სოციალური ინვესტირების პროექტს ახორციელებს სახელწოდებით "ჩემი მომავალი ფოლკინგში", რომელიც ამ ერთი შეხედვით უსახური ქალაქის ტერიტორიაზე სერიოზული ტურისტული ინფრასტრუქტურის შექმნას და სხვა წარმოებების შემოყვანის წახალისებას გულისხმობს, რამაც ადგილზე დამატებითი სამუშაო ადგილები, დამატებითი სოციალური გარანტიები და ზოგადად საერთაშორისო სტანდარტების შესაფერისი ინფრასტრუქტურა უნდა შექმნას. ფოლკინგის პროექტი უდავოდ საინტერესო უნდა გახლდეთ საქართველოში, სადაც იგივე ტურისტული ინფრასტრუქტურის განვითარების თვალსაზრისით ბევრის გაკეთებაა შესაძლებელი. სხვათა შორის, როგორც "24 საათისთვის" გახდა ცნობილი, მსგავს იდეას ბიტისი-ში ბორჯომის ხეობასთან მიმართებაში ამუშავებენ.

რა თქმა უნდა, ყველაფერი ზემოთქმული არ ნიშნავს, რომ ბიპის დიდ ბრიტანეთში მოწინაღმდეგეები არ ჰყავს, ან მათ არგუმენტები არ აქვთ. ბიპის, ისევე, როგორც ყველა ძლიერ კომპანიას მსოფლიოში, ჰყავს ძლიერი კრიტიკოსები. თუმცა ფაქტია ისიც, რომ ბიპის აქციების ფასი ქართველი ჟურნალისტების ბრიტანეთში ყოფნის პერიოდში რამდენიმე პუნქტით გაიზარდა და ისიც, რომ ვიჩფარმი და ბიპი-ბიპლაინ-სისტემსი საუკეთესო მაგალითია იმის დასადასტურებლად, რომ ბიპის უდაოდ ძალუძს საკუთარი ბიზნესის საკურორტო ზონაშიც და ინდუსტრიულ ქალაქშიც, ბუნებასთან და მეზობლებთან ჰარმონიაში წარმოება, ანუ - უსაფრთხოების გარანტიების და სოციალური ინფრასტრუქტურის შექმნა, უბრალოდ, იმ სტანდარტების და მოთხოვნების ზუსტად და სკრუპულოზურად განსაზღვრაა საჭირო ქვეყანაში, რომლის დაკმაყოფილებაც მსგავსი დონის კომპანიებისგან უნდა მოითხოვო.

ამასთან ერთად კი აუცილებელია ქვეყანაში არსებობდნენ პარტნიორები, თუნდაც ხელისუფლების და სხვადასხვა სამეწარმეო თუ სხვა კავშირების სახით, რომლებსაც შეუძლიათ, ბიპისთან ერთად მცირე თუ დიდი პროექტები ისე განახორციელონ, რომ მათ ირგვლივ უფრო მეტი კითხვა არ გაჩნდეს, ვიდრე – კონკრეტული შედეგი.

# ბუშის გამარჯვება ამერიკის ეკონომიკას ახალ სტიმულს აძლევს

თორნიკე შარაშენიძე

ევროკავშირის ლიდერები აშკარად ვერ ასრულებენ თავიანთ დანაპირებს. 2000 წელს ლისაბონში საზეიმოდ გაკეთებული განცხადება, რომ 2010 წლისათვის ძველი კონტინენტი მსოფლიოს წამყვან ეკონომიკურ ძალად იქცეოდა, რეალობას მოკლებულია და მისი შესრულება, ალბათ, უკვე ფანტაზიის სფეროს განეკუთვნება. დაახლოებით ამგვარი შინაარსის განცხადება გააკეთა ჰოლანდიის ყოფილმა პრემიერმა ვიმ კოკმა, რომელიც ევროკავშირის დავალებით ლისაბონის პროგრამის განხორციელებას სწავლობს. კოკის მოხსენებითმა დოკუმენტმა, რომელიც ხუთშაბათს უნდა განეხილათ ევროკავშირის სამიტზე ბრიუსელში, პრესაში გაჟონა და სერიოზულ განსჯის საგნად იქცა.

კოკი ევროკავშირს ურჩევს, მეტი ყურადღება დაუთმონ დასაქმების საკითხს და გააკონტროლონ ის ქვეყნები, სადაც ეკონომიკური რეფორმები ნორმალურად არ ხორციელდება. კოკის თქმით, ევროკავშირი სერიოზულად ჩამორჩება არა მხოლოდ აშშ-ს, არამედ აზიასაც. ძველ კონტინენტზე სერიოზულად კონკურენტუნარიანები მხოლოდ სკანდინავიის ქვეყნები არიან. კოკი ევროპას გადასახადების შემცირებას, საპენსიო სისტემის რეფორმას და კომპანიებისათვის თანამშრომელთა აყვანა-დათხოვნაში მეტი უფლებების მიცემას ურჩევს. მოკლედ, მისი რეკომენდაციები ტიპური მემარჯვენული ხასიათისაა.

ის ფაქტი, რომ ევროპის ეკონომიკა ჩამორჩა, კოკის მოხსენებამდეც ყველასთვის კარგად იყო ცნობილი. განსაკუთრებულ პრობლემებს კონტინენტის ძველი წამყვანი ძალა, გერმანია განიცდის. მხოლოდ ოქტომბერში გერმანელ უმუშევართა რიცხვი 12 ათასით გაიზარდა და ახლა 4,457 მილიონს შეადგენს. ეს ზედიზედ მეცხრე ზრდაა და სპეციალისტთა აზრით, იგი კვლავაც გაგრძელდება. მართალია, ბოლო წლის განმავლობაში ქვეყნის ეკონომიკური მოცულობა 1,8 პროცენტით გაიზარდა, რაც ბოლოდროინდელი ჩავარდნების გათვალისწინებით, ერთობ დამაიმედებელი მაჩვენებელია, მაგრამ ახალი სამუშაო ადგილების შესაქმნელად იგი საკმარისი არ აღმოჩნდა. აშკარაა, რომ შრიოდერის ზედმეტად მემარცხენეულმა რეფორმებმა (უმუშევართა კომპენსაციის ზრდა, გადასახადების აწევა) ევროპის უდიდესი ქვეყანა მეტად სერიოზული პრობლემების წინაშე დაყენა. საერთოდ კი, მემარცხენეები ბოლო ხანს მთელ ძველ კონტინენტზე დომინირებენ - ევროპა ხომ ერთიან "ლიბერალურ სამოთხეს" აშენებს და ეკონომიკაზე ესეც ახდენს გავლენას.

ამასობაში კი ბუშის გამარჯვებამ აშშ-ის ბირჟებზე ნამდვილი ბუმი გამოიწვია. ინვესტორები მიესალმნენ რესპუბლიკელი კანდიდატის გამარჯვებას, რომლის ეკონომიკური პოლიტიკაც ბიზნესისათვის ხელისშემწყობადაა მიჩნეული. საქმიანი სამყაროსათვის ბუშის პროგრამა (და ასევე მის მიერ უკვე განხორცილებული რეფორმები გადასახადების შემცირების მიმართულებით) გაცილებით უფრო მისაღები იყო, ვიდრე მისი დემოკრატი ოპონენტის, კერის გეგმები.

ეჭვს არ იწვევს, რომ ბუშის ტრიუმფში აშშ-ის ეკონომიკურმა წარმატებებმაც ითამაშა დიდი როლი. ქვეყანა გასაოცრად მალე გამოვიდა 11 სექტემრის შოკიდან და კლინტონისეული ეკონომიკური ბუმის შემდგომი ჩავარდნიდან. ამერიკის ეკონომიკა ყოველ კვარტალში 3-4 პროცენტიან ზრდას უჩვენებს, რაც ასეთი განვითარებული ქვეყნისათვის მართლაც რომ მისასალმებელი მაჩვენებელია. ეკონომიკის მაღალი ტემპით ზრდა ხომ უფრო ჩამორჩენილ და მზარდ ქვეყნებს ახასიათებს, სადაც განვითარებას ბევრი სფერო საჭიროებს და მარტივად რომ ვთქვათ, ზრდისთვის უფრო მეტი ადგილია.

# ბელორუსი თეთრ სახლს არჩევნების არადემოკრატიულად ჩატარებაში „ამხელს"

ოფიციალური მინსკის მხრიდან ვინმეს არადემოკრატიულობაში დადანაშაულება, ცოტა არ იყოს, კურიოზულად ჟღერს. საყოველთაოდ ცნობილია, თავად ბელორუსის პრეზიდენტი ალექსანდრ ლუკაშენკო ქვეყნის მართვისას როგორი "დემოკრატიული" პრინციპებით ხელმძღვანელობს. ასეთი განცხადების "უტიფრობა" კიდევ უფრო იზრდება, როდესაც იგი მესამე სამყაროს რომელიმე "მეორეხარისხოვანი" ქვეყნის მიმართ კი არა, მსოფლიოს ერთადერთი ზესახელმწიფოსა და "დემოკრატიის ყველაზე დიდი ექსპორტიორის", ამერიკის შეერთებული შტატების მისამართით გამოითქმება. თუმცა, ამ შემთხვევაში, ბელორუსის ქმედება არა ამერიკელი ხალხის უფლებების დაცვისადმი მისწრაფებას, არამედ დიპლომატიურ ურთიერთობებში ტრადიციულ ნაცვალგების (reciprocity) პრინციპით მოქმედებას უფრო ჰგავს.

ბელორუსის საგარეო საქმეთა სამინისტრო ხუთშაბათს განცხადებით გამოვიდა, სადაც აშშ-ში ახლახანს გამართული საპრეზიდენტო არჩევნების დემოკრატიულობა და გამჭვირვალობა ეჭვქვეშ დააყენა. შეგახსენებთ, უფრო ადრე, აშშ-მ გააკრიტიკა 19 ოქტომბერს ბელორუსში გამართული საპარლამენტო არჩევნები და რეფერენდუმი. ამის კვალდაკვალ შეერთებულმა შტატებმა ბელორუსის წინააღმდეგ ეკონომიკური სანქციები დააწესა, მიზეზად კი ქვეყნის ხელისუფლების მიერ დემოკრატიისა და ადამიანის ძირითადი უფლებების არაერთგზის დარღვევა დაასახელა.

ბელორუსის საგარეო უწყება აღნიშნავს, რომ დამოუკიდებელი დამკვირვებლებისა და მედიის წარმომადგენელთა გავრცელებული ინფორმაციით, წინასაარჩევნო პროცესიცა და არჩევნების დღეც, აშშ-ს მიერ ნაკისრი საერთაშორისო ვალდებულებების დარღვევებით აღინიშნა, მათ შორის ისეთების, რომლებიც ეუთო-ს 1990 წლის კოპენჰაგენის დოკუმენტით არის გარანტირებული. კერძოდ, ბელორუსის საგარეო საქმეთა სამინისტროს პრეს-მდივნის განცხადებაში ნათქვამია, რომ აშშ-ს ხელისუფლებამ არ მიიღო საკმარისი ზომები აშშ-ს საარჩევნო სისტემის ხარვეზების აღმოსაფხვრელად. "ამიტომ ჩვენ სულაც არ გვიკვირს ცნობები წინასწარ ფოსტით გაგზავნილი ბიულეტენების დიდი ოდენობით დაკარგვის, ელექტრონული ხმის მიცემის სისტემის შეფერხებების, ამომრჩევლის დაშინების, სარეგისტრაციო სიებში ამომრჩეველთა არარსებობის, საუბნო და საოლქო კომისიების მიერ ინფორმაციის გაცემის შეზღუდვის, პროცედურისა და ხმის მიცემის ადგილის შესახებ," - აღნიშნულია განცხადებაში.

დაბოლოს, ბელორუსის დიპლომატიური უწყება იმედს გამოთქვამს, რომ ეუთოს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებათა ბიუროს საერთაშორისო დამკვირვებელთა მისია "რეალურად და ობიექტურად ასახავს საარჩევნო კამპანიის მიმდინარეობას და აშშ-ს არჩევნებს შესაბამის შეფასებას მისცემს."

*24 საათი*

# მშენებლობის ტექნიკური ზედამხედველი

კომპანია BP-ს მილსადენების პროექტების ფარგლებში და BP-ს უშუალო ხელმძღვანელობით, შპს "IRA" კონკურსზე იწვევს სათანადო კვალიფიკაციის მქონე პირებს **მშენებლობის ტექნიკური ზედამხედველის** თანამდებობის დასაკავებლად. **მშენებლობის ტექნიკური ზედამხედველი** წარმოადგენს საქართველოში BP-ს მილსადენების პროექტების კონტრაქტორ მესამე მხარეს და იმუშავებს BP-ს ზედამხედველობის ქვეშ.

**მოვალეობები და პასუხისმგებლობები:**

- იმუშავებს კონტრაქტორის *ხარისხის კონტროლის ინსპექტორის* საქმიანობის თანამიმდევრულად და მეთვალყურეობას გაუწევს მილსადენის თხრილის გაყვანის, მილის ჩადების, გრუნტით დაფარვის, ბოჭკოვან-ოპტიკური კაბელის ჩადების და შესრულებული სამუშაოს საბოლოო შემოწმების სამუშაოებს.
- უზრუნველყოფს, რომ კონტრაქტორმა თავის საქმიანობაში დაიცვას მისივე შედგენილი მშენებლობის მეთოდოლოგია და "სამუშაოების წარმოების ნებართვით" დადგენილი პროცედურები;
- სათანადო გულმოდგინებით მოეპყრობა კონკრეტულ სამუშაოსთან დაკავშირებულ ჯანმრთელობის, უსაფრთხოების და გარემოს დაცვის (HSE) საკითხებს და მყარად დაიცავს კომპანიის HSE წესებს თავის სამუშაო ადგილზე.
- გააკონტროლებს, რომ მშენებლი კონტრაქტორის მხრიდან სამუშაო შესრულდეს მილსადენის კომპანიის მიერ დამტკიცებული დოკუმენტაციის მოთხოვნების დაცვით;
- მოეთხოვება მიმართულების მენეჯმენტის წინაშე ყოველდღიური ზუსტი ანგარიშების წარდგენა ობიექტზე სამუშაოების მიმდინარეობის შესახებ.

**მოთხოვნები:**

- ფართო მასშტაბის მიწის სამუშაოებზე, განსაკუთრებით დიდ სირღმეებზე გათხრის სამუშაოებზე მუშაობის გამოცდილება, ან საგზაო მშენებლობის და ტერიტორიის პირვანდელ მდგომარეობაში აღდგენის მეთოდოლოგიის გამოყენების გამოცდილება, ან დროებითი დამხმარე ნაგებობების და მოშორებულ ადგილებამდე კომუნიკაციების მიყვანის სამუშაო გამოცდილება;
- ინგლისური და ქართული ენების თავისუფლად ფლობა;
- MS Office-ის მყარი ცოდნა;
- საჭიროებისამებრ სხვა სფეროს ზედამხედველების ჩანაცვლების შესაძლებლობა;
- მილსადენის სამშენებლო დერეფნის მომზადების, გრუნტის ზედა ფენის მოხსნის და დასაწყობების და შემდგომში მიწის საფარის აღდგენის ოპერაციებთან დაკავშირებულ სამუშაოებზე ზედამხედველობის გასაწევად საჭირო კვალიფიკაცია;
- მრავალ-დისციპლინური და მრავალეროვანი სამშენებლო ბრიგადის შემადგენლობაში მუშაობის უნარი;
- კონკრეტულ სამუშაოსთან დაკავშირებული ჯანმრთელობის, უსაფრთხოების და გარემოს დაცვის (HSE) საკითხების და სამუშაო ადგილზე კომპანიის HSE წესების მყარად დაცვის უნარი;
- კომუნიკაციის დადებითი უნარი.

**განაცხადის შემოტანის წესი / დამატებითი ინფორმაცია**
თუ თვლით, რომ გაგაჩნიათ საჭირო კვალიფიკაცია და გამოცდილება ზემოთ აღწერილი თანამდებობის დასაკავებლად, გთხოვთ მოგვაწოდოთ თქვენი Curriculum Vitae ქვემოთ მითითებულ მისამართზე და შეავსოთ შესაბამისი განაცხადის ფორმა, რომელსაც იმავე მისამართზე მიიღებთ. განაცხადების მიღების საბოლოო ვადაა **2004 წლის 12 ნოემბერი, პარასკევი.**

კანდიდატი უნდა იყოს საქართველოს მოქალაქე.

**ყველა მიღებული განაცხადი განიხილება, რაც არ გულისხმობს იმას, რომ ყველა კანდიდატი გაივლის გასაუბრებას და მიიღებს სამუშაოს შემოთავაზებას.**

**კადრების განყოფილება**

**ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის მილსადენის კომპანია**
**BP-საქართველო**
**საქართველო, თბილისი**
**საბურთალოს ქუჩა N 38**

# სერტიფიკაციის ინჟინრის ასისტენტი

კომპანია BP-ს მილსადენების პროექტის ფარგლებში და BP-ს უშუალო ხელმძღვანელობით, შპს "IRA" კონკურსზე იწვევს სათანადო კვალიფიკაციის მქონე პირებს **სერტიფიკაციის ინჟინრის ასისტენტის** თანამდებობაზე. **სერტიფიკაციის ინჟინრის ასისტენტი** წარმოადგენს საქართველოში BP-ს მილსადენების პროექტების კონტრაქტორ მესამე მხარეს და იმუშავებს BP-ს ზედამხედველობის ქვეშ.

**სამუშაოს დახასიათება:**
**სერტიფიციკაციის ინჟინრის ასისტენტი** გააკონტროლებს აზერბაიჯანი-საქართველო-თურქეთის მილსადენების პროექტის საქართველოს მონაკვეთზე არსებული საქაჩი სადგურებისა და მილსადენის კონტრაქტების მონაცემთა ბაზას, უზრუნველყოფს რა სერტიფიკაციის ზუსტ აღრიცხვას

მოვალეობები:
**სერტიფიკაციის ინჟინრის ასისტენტი** მოვალეა:

- დაეხმაროს სერტიფიკაციის ინჟინერს ბი-პის საქმიანობის საინჟინრო სამუშაოების მონიტორინგში
- დაეხმაროს სერტიფიკაციის ინჟინერს ტექნიკურ ინტეგრაციაში
- ითანამშრომლოს კონტრაქტორთან პროექტის ტექნიკური მახასიათებლების შესაბამისობაში მოყვანის მიზნით.
- განიხილოს სერტიფიკაციის მექანიკური დასრულების მონაცემები და გადასცეს საექსპლუატაციო გუნდს განსახილველად
- მოამზადოს და ადგილობრივ ხელმძღვანელობას წარუდგინოს ყოველკვირეული და ყოველთვიური მოხსენებები
- გაეცნოს ტექნიკურ დოკუმენტაციასა და პროცედურებს, რათა განსაზღვროს ინსპექტირებისა და ტესტირების პირობები
- სერტიფიკაციის ინჟინრის არყოფნის პერიოდში იყოს პასუხისმგებელი პროექტის მიზნების სრულყოფასა და მათ შესრულებაზე
- შეასრულოს სამუშაო სპეციფიკიდან გამომდინარე სხვა მოვალეობები

**განათლება და სამუშაო გამოცდილება:**

კანდიდატს უნდა გააჩნდეს:

- უმაღლესი განათლება (სასურველია ელექტროტექნიკურ, საზომი ხელსაწყოების და ტელეკომუნიკაციების დარგში)
- მინიმუმ 5 წლის სამუშაო გამოცდილება ნავთობისა და გაზის მრეწველობის დარგში
- რუსული და ინგლისური ენების სრულყოფილად ფლობა
- ტექნიკური კომპიუტერული სისტემის ცოდნა
- კომპიუტერთან მუშაობის გამოცდილება (MS Access, Microsoft Excel, Word & PowerPoint)
- გუნდური მუშაობის უნარი და კარგი
- მრავალეროვან გარემოში მუშაობა
- სამუშაოს დადგენილ ვადაში შესრულება
- ზედამხედველობის გარეშე მუშაობის უნარი

კანდიდატი უნდა იყოს საქართველოს მოქალაქე.

**განაცხადის შემოტანის წესი / დამატებითი ინფორმაცია**
თუ თვლით, რომ გაგაჩნიათ საჭირო კვალიფიკაცია და გამოცდილება ზემოთ აღწერილი თანამდებობის დასაკავებლად, გთხოვთ მოგვაწოდოთ თქვენი Curriculum Vitae ქვემოთ მითითებულ მისამართზე და შეავსოთ შესაბამისი განაცხადის ფორმა, რომელსაც იქვე მიიღებთ. განაცხადების მიღების საბოლოო ვადაა **2004 წლის 10 ნოემბერი, ოთხშაბათი.**

**ყველა მიღებული განაცხადი განიხილება, რაც არ გულისხმობს იმას, რომ ყველა კანდიდატი გაივლის გასაუბრებას და მიიღებს სამუშაოს შემოთავაზებას.**

**კადრების განყოფილება**
BP საქართველო
საბურთალოს ქუჩა 38
თბილისი, საქართველო

# ამერიკის ამოცანა

*გთავაზობთ აშშ-ს ყოფილი სახელმწიფო მდივნის ჰენრი კისინჯერის მიერ ამერიკულ გაზეთ "ნიუსვიქ"-ში გამოქვეყნებული სტატიის მოკლე მიმოხილვას, რომელშიც აშშ-ს მომავალი ოთხი წლის ამოცანები და პერსპექტივებია განხილული.*

არც ერთი პრეზიდენტი იმდენ გამოწვევას და წინააღმდეგობას არ შეხვედრია, როგორც ჯორჯ ბუში. ეს გადაჭარბებული სულაც არ არის, უბრალოდ ეს ის ბანქოა, რომელიც ბედისწერამ თანამედროვეობას შესთავაზა. ადრე არასოდეს ყოფილა საჭირო ისეთი ომის წარმოება, რომელსაც არ ექნებოდა არც ფრონტის ხაზი და არც გეოგრაფიული საზღვრები. თუ მეორე მსოფლიო ომის შემდეგ რეალური საფრთხის წყაროს საბჭოთა კავშირი წარმოადგენდა, დღევანდელი საფრთხე ორი უპრეცედენტო წყაროდან იღებს სათავეს, ესენია ტერორი, რომელიც სამართალდამცავთა სამუშაოდ მიიჩნეოდა და არა საერთაშორისო პოლიტიკის სფეროდ და მეორე - სამეცნიერო მიღწევები და მასობრივი განადგურების იარაღის გავრცელება. თუ ტრუმენს იმდროინდელ საერთაშორისო სისტემაზე შეეძლო დაყრდნობა, ახალ პრეზიდენტს ახალი კონცეფციის შემუშავება მოუწევს ახალი საერთაშორისო სისტემისთვის, რომელიც ახალ რევოლუციურ განწყობებს ასახავს.

### შემდეგი ნაბიჯი ერაყში

დღეს აშშ საერთაშორისო სტაბილურობის გარანტს წარმოადგენს, მაგრამ შიდა გარემოებები ხელს უშლის მას, სხვა ქვეყნებში არსებული რეალიები აღიაროს. თუმცა ეს, სავარაუდოდ, დიდხანს ვერ გაგრძელდება, რადგან სხვა ქვეყნების ინტერესებშივე შედის პასუხისმგებლობის გაზიარება. ერაყული ძალების ეფექტიანობა დამოკიდებულია არა მარტო მათი სამხედრო მომზადების დონეზე, არამედ ქვეყნის შიგნით ლეგიტიმურობის ხარისხზეც. მომავალი წლის იანვარში დაგეგმილი ერაყის პირველი ეროვნული არჩევნები მხოლოდ დასაწყისია და არა კულმინაცია. დემოკრატიის განვითარებას დასავლეთში საუკუნეები დასჭირდა, ამისათვის კი ჯერ ეკლესია გახდა სახელმწიფოსაგან დამოუკიდებელი, შემდეგ რეფორმაციის ხანა დადგა, მომდევნო ეტაპი განმანათლებლობა იყო, შემდეგ კი აღმოჩენების ეპოქა, და ბოლოს, კაპიტალიზმის ხანა. ასეთი რამ კი, ჯერჯერობით, არ ახასიათებს ისლამურ სამყაროს. ნაცვლად ამისა, ხდება პოლიტიკისა და რელიგიის შერევა და მტრული პლურალიზმის ჩამოყალიბება. დასავლეთში თუ დემოკრატიის განვითარება ჰომოგენურ საზოგადოებაში ხდებოდა, ერაყში განსხვავებული ეთნიკური და პოლიტიკური ვითარებაა...

სავარაუდოდ, იანვრის არჩევნების შემდეგ ერაყის საშინაო სტაბილურობაში თავის მოკრძალებულ წვლილს ინტერნაციონალიზაციაც შეიტანს. წარმატებული ინტერნაციონალიზაციისათვის სასურველია არჩევნების შემდეგ გაერო-ს ეგიდით საერთაშორისო საკონტაქტო ჯგუფის ყოლა, რომელიც ერაყის ხელისუფლებას კონსულტაციებს გაუწევს. საკონტაქტო ჯგუფის წევრები კი ის ქვეყნები იქნებიან, რომელთაც მებრძოლ ისლამთან ურთიერთობის გამოცდილება აქვთ. აშშ კი თავისი სამხედრო და ფინანსური როლის გათვალისწინებით წამყვან პოზიციებს შეინარჩუნებს. რაც შეეხება სხვა ქვეყნების სამხედრო წვლილს ნატო-ს ჩათვლით, მოგვიანებით, უკეთესი პოლიტიკური პირობების ჩამოყალიბებისთანავე დადგება დღის წესრიგში ეს საკითხი.

### გაფრთხილება

მეოცე საუკუნის საერთაშორისო სისტემა 1648 წლის ვესტფალიის ზავს ემყარებოდა. 21-ე საუკუნის 11 სექტემბრის მოვლენებმა კი ყველაფერი შეცვალა. დღეს საფრთხეები არა მარტო კონკრეტული სახელმწიფოებისაგან, არამედ სუვერენული სახელმწიფოების ტერიტორიაზე მოქმედი კერძო დაჯგუფებებისგანაც მომდინარეობს. უკვე მიუღებელია "ცივი ომის სტრატეგიაც". დიპლომატია ველარ მუშაობს, როცა მოწინააღმდეგის მიზანს საზოგადოების განადგურება წარმოადგენს. ამდენად, ახალი რეალიების პირისპირ ამერიკის საგარეო პოლიტიკის მიზანს დომინანტური გავლენის ერთობლივ პასუხისმგებლობად გარდაქმნა წარმოადგენს. ეს ისეთი პოლიტიკის გატარებას გულისხმობს, როგორსაც ავსტრალიელი მეცნიერი კორალ ბელი აღწერდა, როგორც მრავალი ცენტრისაგან შექმნილ საერთაშორისო წესრიგს, სადაც არა აქვს მნიშვნელობა, ვის მხარსაა სტრატეგიული უპირატესობა.

### გრძელვადიანი გამოწვევა

რეგიონული კრიზისების – ერაყსა და ჩრდილოეთ კორეაში – მნიშვნელობის მიუხედავად, ისინი არაფერია მსოფლიო სისტემაში ძალთა ფუნდამენტალურ ცვლილებასთან შედარებით. ჩვენს ერაში ჩინეთის, როგორც ზესახელმწიფოს აღზევებას დიდი ისტორიული მნიშვნელობა აქვს, რადგან ამ შემთხვევაში ცენტრის გადანაცვლება მსოფლიო სისტემაში ატლანტიკიდან წყნარი ოკეანის აუზში ხდება. თუმცა, გრძელვადიან პერსპექტივაში ჩინეთთან სტრატეგიული დაპირისპირება მოსალოდნელი ნამდვილად არაა. ხშირად აშშ-სა და ჩინეთის დიპლომატიურ სტილს მათივე ინტელექტუალურ თამაშებს ადარებენ – დასავლურ ჭადრაკსა და ჩინურ ნეიჯის, რომელიც უფრო იაპონური გოს სახელწოდებითაა ცნობილი. თუ ჭადრაკის შედეგი ორგვარია: ქიში და შამათი, იაპონური გოს მიზანი უპირატესობის მოპოვებაა. მისი მთავარი ამოცანა მოწინააღმდეგის დამარცხება კი არა, მუდმივი სტრატეგიული პროგრესის მიღწევაა. ჯერჯერობით კი, არავის შეუძლია იმის პროგნოზირება, როგორ გადაწყვეტილებას მიიღებენ ლიდერები ათი წლის შემდეგ. ამჟამად კი ჩინეთსა და აშშ-ს უმაღლეს დონეზე პერმანენტული სტრატეგიული დიალოგის წარმოება სჭირდება, რაც კონფრონტაციის საფრთხეს შეამცირებს. თუ ატლანტიკურ ურთიერთობებს დავუბრუნდებით, უნდა აღინიშნოს, რომ აუცილებელია ატლანტიკის ორივე მხარის დიალოგის გაღრმავება. ჯიჰადის სამყაროში, ძალთა ბალანსისა და დემოგრაფიული ცვლილებების, მასობრივი მიგრაციისა და ეკონომიკური გლობალიზაციის ფონზე ალიანსის ამოცანა ერთიანი მიზნების ძიება ხდება. პალესტინაისრაელის კონფლიქტს უნდა დაემატოს ერაყთან და ირანთან დიალოგიც. სწორედ ამიტომ, საჭიროა უნილატერალიზმსა და მულტილატერალიზმთან დაკავშირებული უთანხმოების დაძლევა. ახალი მსოფლიო წესრიგის დამყარების შესაძლებლობა ყველა თაობას ეძლევა. ჩვენი საუკუნის დილემა ყველაზე უკეთ, ვფიქრობ, ჯერ კიდევ 200 წლის წინ ემანუელ კანტის შრომაში "Perpetual Peace" ("მუდმივი მშვიდობისათვის") იყო აღწერილი. იგი წერდა, რომ ჩვენი პლანეტა მშვიდობისათვისაა განწირული. ეს შესაძლებელი იქნება ან კაცობრიობის წინასწარგანჭვრეტის, ან კატასტროფათა სერიის შედეგად, რომელიც სხვა არჩევანს, უბრალოდ, აღარ დატოვებს. ხოლო ის, თუ რომელი მათგანის რეალიზება მოხდება, ახალი პრეზიდენტის უმთავრესი ამოცანაა.

## ორი სიტყვით

**უკრაინა.** ვიქტორ იანუკოვიჩი თავის კონკურენტთან ტელედებატებში მონაწილეობაზე უარს აცხადებს. ხელისუფლების კანდიდატი ვიქტორ იუშენკოს მომხრეებს პირად შეურაცხყოფაში ადანაშაულებს და აცხადებს, რომ მისი პასუხი გაკეთებული საქმით გამოჩნდება. როგორც "ინტერფაქს-უკრაინა" იუწყება, ამის შესახებ იანუკოვიჩმა ხუთშაბათს კიევში განაცხადა. "ჩემი ოპონენტები, რომლებიც საკუთარ თავს დემოკრატებს უწოდებენ, პირველივე დღიდან, ჯერ კიდევ წინასაარჩევნო კამპანიის დაწყებამდე, ტალახში მსვრიდნენ, პირადად მე. ახლა კი მთავაზობენ მათთან ერთ მაგიდას მივუჯდე – რას ამბობთ? რათა მეც მათსავე ენაზე ვუპასუხო? მე შემიძლია ამის გაკეთება, მაგრამ ცალკე. მე არასოდეს ჩავიდენ ამას, რომ ეს მთელი ქვეყნის გასაგონად ვაკეთო, ისე როგორც ისინი აკეთებენ", – აცხადებს უკრაინის პრემიერ-მინისტრი. აღსანიშნავია, რომ დღემდე ორ კონკურენტს შორის ტელედებატები არ გამართულა. არჩევნების პირველი ტურის შემდეგ იუშენკომ ტელედებატებში მონაწილეობის სურვილი გამოთქვა, თუმცა ამავდროულად, პირდაპირი ეთერი, ნეიტრალური წამყვანი და ორივე კანდიდატისთვის თანაბარი პირობები მოითხოვა. ამ ეტაპზე იანუკოვიჩის გუნდმა მოწინააღმდეგესთან "საქმეებით გაჯიბრება" და არა ტელედებატებით ქვეყნის წინაშე გამოსვლა არჩია. აქამდე ხელისუფლების კანდიდატის მხრიდან ტელედებატებში მონაწილეობაზე უარი არ ყოფილა. გუშინდელმა განცხადებამ ოპოზიციას კიდევ ერთი საბაბი მისცა ამტკიცოს, რომ იანუკოვიჩს ტელედებატების ეშინია. **უკრაინსკაია პრავდა**

■ ■ ■

**გაერო.** გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ადამიანის უფლებათა ექსპერტებმა მკაცრად გააკრიტიკეს რუსეთის გენპროკურორის ვლადიმირ უსტინოვის ტერორიზმთან ბრძოლის გეგმა. როგორც გაერო-ს უკანონო დაკავებასთან ბრძოლის ჯგუფის უფროსმა ლეილა ზერუტიმ და გაეროს იძულებით გაუჩინარებასთან ბრძოლის ჯგუფის ხელმძღვანელმა სტივენ ტუპმა განაცხადა, ასეთი წინადადება "კატეგორიულად ეწინააღმდეგება საერთაშორისო სამართლის ნორმებს". "უდანაშაულო ადამიანების მძევლად აყვანა, გატაცებებისა და ტერორიზმთან ბრძოლის საბაბით, ადამიანის უფლებათა ელემენტარულ საერთაშორისო ნორმებს ეწინააღმდეგება", - ნათქვამია ექსპერტთა ერთობლივ განცხადებაში. შეგახსენებთ, გასულ კვირას რუსეთის გენერალურმა პროკურორმა სახელმწიფო სათათბიროში საგანგებო ანტიტერორისტული კანონის მიღების ინიციატივით გამოვიდა, რომელიც ისეთ საგანგებო ზომასაც ითვალისწინებს, როგორიცაა "მძევლების კონტრაყვანა". **როიტერსი**

# ეკონომისტი მთავარ არქიტექტორად



თბილისის ახალი მთავარი არქიტექტორი მოადგილესთან ერთად.

მარიკა ამურველაშვილის ფოტო

*თბილისის მთავარი არქიტექტორის თანამდებობა ბოლო ხუთი წლის განმავლობაში ხუთ ადამიანს ეკავა. ერთ-ერთი მათგანი დავით ახვლედიანი თანამდებობრივი უფლებამოსილების გადამეტებისათვის ამჟამად სასჯელს იხდის. მამუკა ჩხაიძის შემდეგ ეს პოსტი ირაკლი როსტომაშვილმა დაიკავა, რომელიც დღეს სახელმწიფო უზრუნველყოფის სამსახურის უფროსია. რამდენიმე თვის წინათ ხმაურით დანიშნული გოგი სულაბერიძე კი ე.წ "სამკუთხედს" გადააყოლეს. გუშინ ამ თანამდებობაზე ახალი კანდიდატი, 28 წლის ბიზნესმენი, მიხეილ სვიმონიშვილი დაამტკიცეს.*

თამარ დვალი

28 წლის მიხეილ სვიმონიშვილი პროფესიით ეკონომისტია. მას დამთავრებული აქვს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკის ფაკულტეტი, გერმანიის პროფესიული სასწავლებელი წარმოების ეკონომიკის განხრით; ხუთი სემესტრი ციურიხის უნივერსიტეტის მიკრო-ეკონომიკის ფაკულტეტზე სწავლობდა; გაიარა შვეიცარიის საბანკო სკოლის კურსები; აქვს რამდენიმე სამეცნიერო ნაშრომი; ამჟამად კი "ნაბეღლავის" ბიზნესში მოღვაწეობს.

თბილისის მერიის ქალაქგეგმარებისა და სივრცითი მოწყობის საქალაქო სამსახურის (მთავარი არქიტექტორის თანამდებობა დღეს ამ სამსახურმა შეცვალა) უფროსის თანამდებობაზე მიხეილ სვიმონიშვილმა შეთავაზება სამი კვირის წინათ მიიღო. მართალია, ახალად დანიშნულ უფროსს არც არქიტექტურის ფაკულტეტი დაუმთავრებია და არც ამ სფეროში უმუშავია, მაგრამ მიიჩნევს, რომ საქმის გაძღოლას შეძლებს.

**"მუშაობის გაგრძელებას ისევე პატიოსნად ვაპირებ, როგორც - აქამდე. იქნება საკითხები, სადაც სირთულეები შემხვდება, თუმცა მე მათ არ გავექცევი. მართალია, ამ დარგში არ მიმუშავია, მაგრამ ყველა დარგში ერთნაირად საჭიროა წესრიგი. რა იქნება პრიორიტეტული, მუშაობის დაწყებისას გამოჩნდება",** – აცხადებს იგი.

მთავარი არქიტექტორის თანამდებობაზე სვიმონიშვილი ერთადერთი კანდიდატი იყო და იგი საკრებულოს დეპუტატებმა, "ახლებისა" და "ლეიბორისტების" გამოკლებით, ერთხმად დაამტკიცეს. გუშინვე გახდა ცნობილი, თუ ვინ დაიკავებდა თბილისის ქალაქგეგმარებისა და სივრცითი მოწყობის საქალაქო სამსახურის უფროსის მოადგილის თანამდებობას. ეს მიხეილ სიმონიშვილის ახლო მეგობარი ბექა ქარსიძე იქნება. ისევე როგორც მის მომავალ უფროსს, ქარსიძესაც განათლება საზღვარგარეთ აქვს მიღებული, ოღონდ იმ განსხვავებით, რომ იგი პროფესიით არქიტექტორია.

მიხეილ სვიმონიშვილის მიმართ დადებითი დამოკიდებულების მიუხედავად, "ახლები" მის კანდიდატურას, რიგი მიზეზების გამო, არ დაეთანხმნენ. **"ძალიან ნიჭიერი კაცია ბატონი მიხეილი, მაგრამ პრემიერის მოხსენებით გამოსვლამდე ერთი დღით ადრე მთავრობის წევრის დამტკიცება მიზანშეწონილად არ მიგვაჩნია. არ გამოვრიცხავ, რომ ამ პიროვნებამ საქმე კარგად წაიყვანოს, თუ ამის შესაძლებლობას მისცემენ. დღეს ისე არის აგებული სახელმწიფო მართვის მექანიზმი საქართველოში, რომ რაგინდ მაღალი დონის პროფესიონალი იყო, თუ შიდა კულუარულ დაჯგუფებებში არ თამაშობ, გაგიჭირდება წარმატების მიღწევა",** – ასეთია ფრაქცია "ახლების" თავმჯდომარის გიორგი მოსიძის პოზიცია.

**"ბატონი მიხეილი ძალზედ განათლებული ადამიანია, მის მიმართ დიდი სიმპათიით ვარ განწყობილი და მხარიც დავუჭირე, თუმცა ამის მიუხედავად, მას როგორც არაპროფესიონალს ისე მოვიაზრებ. ჩვენ გვყავს უნიჭიერესი ხალხი არქიტექტურაში და არ ვიცი, ეს კადრი რატომ შეირჩა. როგორც გავიგე, იგი ჭიაბერაშვილის კანდიდატურაა. ეს ნიჭიერი კაცი ეკონომიკის სამინისტროში რომ წაეყვანათ, აჯობებდა. ამ შესანიშნავ ადამიანს ვაფიცებ დედას და მამას, რომ კარგად დაფიქრდეს და არ დათანხმდეს ამ შეთავაზებას",** – ითხოვდა ფრაქცია "სამართლიანობის" თავმჯდომარე ჯუმბერ შენგელია. სხვათა შორის, მან ქალაქის მერს თბილისის ერთ-ერთი უბნისთვის დარქმეული სახელი - "ორთაჭალის ტურფაც" დაუწუნა: **"მერმა ისიც არ იცის, თუ ვინ იყო ფიროსმანის მიერ დახატული ტურფა. ქალაქის უბნისთვის მეძავი ქალის სახელის დარქმევა მე არ გამიგონია".**

მიხეილ სვიმონიშვილის დანიშვნას არ დასწრებია არქიტექტორთა კავშირის თავმჯდომარე დავით ობოლაძე. მან ამის შესახებ გაზეთ "24 საათიდან" შეიტყო. **"მე ორჯერ შევხვდი სვიმონიშვილს და მისი პერსონის მიმართ საკმაოდ დადებითი დამოკიდებულება მაქვს, თუმცა ეს იგივეა, მე რომ ჯანდაცვის მინისტრად დამნიშნონ. როგორც ჩანს, ჩვენს ქვეყანაში პროფესიონალები არ სჭირდებათ. ქალაქის გენგეგმა 1976 წელს გაკეთდა, მას შემდეგ კორექტივები მასში არ შესულა. ეს ფაქტი ძალიან ბევრმა სუბიექტური გადაწყვეტილებების მისაღებად გამოიყენა. როგორც ხმა გავრცელდა, სულაბერიძე ე.წ სამკუთხედის გულისთვის მოხსნეს. თუმცა, არ მგონია, ეს ვერსია სწორი იყოს, რადგან მას ამ საკითხის გადაწყვეტაში მონაწილეობა საერთოდ არ მიუღია",** – განაცხადა არქიტექტურის კავშირის თავმჯდომარემ დავით ობოლაძემ.

# ქუჩიდან ქუჩამდე

## კოჭრის ბავშვთა სახლის აღსაზრდელებს ქუჩაში დაბრუნება აღარ ემუქრებათ

მადი სერებრიაკოვა

*ალიონა ციციშვილი 10 წლიდან კოჯრის ბავშვთა სახლში იზრდებოდა. უკვე ორი წელია, იგი სამედიცინო ინსტიტუტის სტომატოლოგიურ ფაკულტეტზე სწავლობს და კვალიფიკაციის მიღების შემდეგ კოჯრის ბავშვთა სახლში სტომატოლოგიური კაბინეტის გახსნას აპირებს. ორი წლის წინათ მან ბავშვთა სახლის სკოლა დაამთავრა და, არსებული კანონმდებლობის თანახმად, ვალდებული იყო თავშესაფარი დაეტოვებინა. ფაქტობრივად, ქუჩაში გაგდებას იგი გერმანელი ქველმოქმედის ედიტ ფელმანისა და ამერიკის კეთილი ნების ექიმების ორგანიზაციის წარმომადგენლის რობერტ კლეინის დახმარებით გადაურჩა.*



კარგად ნაცნობი სტუმრები კოჭრის ბავშვთა სახლში სიხარულით მიიღეს.

მადი სერებრიაკოვას ფოტო

ფელმანისა და კლეინის ინიციატივით, კოჯრის უპატრონო ბავშვთა თავშესაფარში რამდენიმე პროექტი ხორციელდება, მათ შორის - ბავშვების პროფესიული განათლებისა და დასაქმების პროგრამა. ამ პროგრამის დახმარებით, სკოლადამთავრებულებს უფლება ეძლევათ, თავშესაფარში დარჩნენ, თუკი უმაღლეს ან პროფ-სასწავლებლებში ჩაბარებასა და სწავლის წარმატებით გაგრძელებას შეძლებენ. გუშინ კოჯრის ბავშვთა სახლში ამერიკელი და გერმანელი სტუმრების დიდი დელეგაცია მიიღეს. ედიტ ფელმანსა და რობერტ კლეინს შეუერთდნენ ამერიკელ ექიმთა ორგანიზაცია Heart to Heart-ისა და გერმანული ფონდი Elisabeth Gast Stiftung-ის წარმომადგენლები, რომლებიც თავშესაფრის ბავშვებისათვის საქველმოქმედო პროგრამებს ახორციელებენ.

ედიტ ფელმანისა და რობერტ კლაინის პროგრამები რამდენიმე წყაროდან ფინანსდება, მათ შორის, ამერიკელი კეთილი ნების ექიმების, Heart to Heart-ისა და Elisabeth Gast Stiftung-ის დახმარებით. უკვე ცხრა წელია, ისინი ბავშვთა სახლს მედიკამენტებით, საგანმანათლებლო რეკვიზიტებითა და სხვადასხვა საჩუქრით ამარაგებენ. ბავშვთა სახლში მათ საშხაპეებისა და სამრეცხაოს თანამედროვე სტანდარტების კომპლექსიც ააშენეს. განსაკუთრებული ყურადღება კი ბავშვთა სახლის საგანმანათლებლო სისტემას ეთმობა: **"ჩვენი მიზანია, განათლებასა და ხელოვნებასთან ზიარებით ამ ბავშვებში სიცოცხლის სიყვარული და საზოგადოებაში ინტეგრირების ჩვევები ავღზარდოთ,** – აღნიშნავს ედიტ ფელმანი, – **რათა ბავშვთა სახლის დატოვების შემდეგ ისინი კვლავ ქუჩას კი არ დაუბრუნდნენ, არამედ საზოგადოების სასარგებლო წევრებად იქცნენ და საკუთარ ქვეყანას დაეხმარონ".**

ფელმანისა და კლეინის პროგრამით, კოჯრის ბავშვთა სახლში შვიდი მასწავლებელი დადის - ინგლისური ენის, ცეკვის, მუსიკის, ხატვის, სპორტის სახეობებისა და კომპიუტერული კლასის პედაგოგები; შეიქმნა სპეციალური ჯგუფი, რომელიც ბავშვთა სახლის აღსაზრდელებისათვის უმაღლესი განათლების მისაღებად საჭირო ინფორმაციას შეკრებს. სკოლადამთავრებულებს, მათი ინტერესების შესაბამისად, სხვადასხვა სასწავლებელსა და სპეციალობას სთავაზობენ, სწავლისა და ჯიბის ფულს უხდიან. ამ პროგრამის მონაწილეებს საშუალება ეძლევათ, სკოლის დამთავრების შემდეგაც დარჩნენ თავშესაფარში საცხოვრებლად.

კიდევ ერთი სიახლე, რომლითაც ქველმოქმედებმა სტუმრების წინაშე თავი მოიწონეს, კომპიუტერის კლასი გახლავთ. თავშესაფარში სპეციალურად გაარემონტეს ოთახი და ბავშვებისათვის ათამდე კომპიუტერი დადგეს. გუშინ ბავშვებმა და მათმა პედაგოგებმა რამდენიმე ვებ-პრეზენტაცია მოაწყეს და სტუმრებისთვის მცირე კონცერტიც გამართეს, რომელიც, ერთდროულად, სიმღერის, ცეკვისა და ინგლისური ენის ცოდნის დემონსტრირება გახლდათ. ამერიკელმა ექიმებმა და ევროპული ფონდის წარმომადგენლებმა თითოეულ მათგანს, ასაკისა და ინტერესების მიხედვით, სპეციალურად შეგროვებული საჩუქრები გადასცეს. ძალზედ ამაღელვებელი საჩუქარი მიიღეს თავად ექიმებმა - სიკეთისა და გულღიაობის თავისებური სიმბოლო, ბავშვების მიერ მოხატული ქაღალდის გული, რომელზეც ქაღალდისავე რამდენიმე ღია ფანჯარა იყო დაწებებული.

# საპენსიო პრობლემები ქუთაისში

*ქუთაისში მოქმედი რამდენიმე არასამთავრობო ორგანიზაცია და "თავისუფლების ინსტიტუტის" ადგილობრივი წარმომადგენელი "სახალო ბანკს" პენსიონერების მომსახურების ხარისხს უწუნებენ და სახელმწიფოსთან გაფორმებული ხელშეკრულების დარღვევაში ადანაშაულებენ. "თავისუფლების ინსტიტუტის" ომბუდსმენი გოჩა ჩხეტია პენსიონერებისთვის ბანკიდან თანხის სახლში არმიტანას აპროტესტებს. თავის მხრივ, "სახალხო ბანკის" საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის უფროსი დოდო ბოჭორიშვილი აღნიშნულ ბრალდებებს უსაფუძვლოს უწოდებს და არასამთავრობო სექტორთან კონსტრუქციული თანამშრომლობის სურვილს გამოთქვამს.*

ბექა სისაური
ქუთაისიდან

აღნიშნული პრობლემებით "თავისუფლების ინსტიტუტის" კოორდინატორი მას შემდეგ დაინტერესებულა, რაც მათთვის პენსიონერთა ჯგუფს მიუმართავს და ბანკის ერთ-ერთი სალაროს თანამშრომლის უტაქტო საქციელი შესახებ შეუჩივლია. **"უქიმერიონის მუნიციპალიტეტში განთავსებული "სახალხო ბანკის" სალაროს თანამშრომლებმა პენსიების დარიგების დროს პენსიონერები "საქონლებად" და სხვა უცენზურო სიტყვებით მოიხსენიეს. ჩვენ მივედით მოლარესთან და მოვთხოვეთ ახსნა-განმარტება, პენსიონერთა ღირსების შემლახველი მოპყრობის გამო. გარდა ამისა, დავინტერესდით მომსახურების სხვა პირობებითაც, რის გამოც, სახალხო ბანკის ქუთაისის ფილიალის მმართველს მერი ბოგვერაძეს ვესტუმრეთ. ბოგვერაძე აღნიშნულ დარღვევებზე რეაგირებას დაგვიპრდა. მან განგვიმარტა, რომ პენსიონერებს უფლება ჰქონიათ, პლასტიკური ბარათების მომსახურებით ისარგებლონ. თუმცა, გარკვეული მიზეზების გამო, ეს ჯერ ვერ ხერხდება; ასევე, ვთხოვეთ, აეხსნა, ჰქონდა თუ არა პენსიონერებს უფლება, განცხადების საფუძველზე, პენსიის სახლში მიტანა მოეთხოვა. მან ამ უფლების მართებულობა დაგვიდასტურა",** - აცხადებს ჩხეტია.

პენსიონერის ამ უფლების რეალიზებისათვის არასამთავრობოთა წარმომადგენლებმა მუნიციპალიტეტში გახსნილ სალაროსთან განცხადება გააკრეს. პენსიის სახლში მიტანის სურვილით, ბანკს რამდენიმე პენსიონერმაც მიმართა. **"მიუხედავად იმისა, რომ ბანკის ფილიალის მმართველმა ჩვენთან კონსტრუქციული თანამშრომლობის სურვილი გამოთქვა, პენსიონერებს ისევ რამდენიმე დღის განმავლობაში უწევდათ რიგში ყოფნა. მათ პენსიის სახლში მიტანაზეც უარი უთხრეს, - ზოგი ბაზრობაზე დგახართ, ზოგიც კიდევ - სხვაგან და, ვერ მოგემსახურებითო. მოვიძიეთ ხელშეკრულება, რომელიც გაფორმებული იყო ერთიან სახელმწიფო ფონდსა და "სახალხო ბანკს" შორის. ხელშეკრულებაში წერია, რომ ბანკი ვალდებულია, დაუყოვნებლივ მიაწოდოს პენსიონერს კუთვნილი თანხა. პენსიონერს, ასევე, აქვს უფლება, მოითხოვოს პლასტიკური ბარათით მომსახურება და, განცხადების საფუძველზე, პენსიის სახლში მიტანა. ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, "სახალხო ბანკი" არღვევს ხელშეკრულებაში დაფიქსირებულ პირობებს",** - კატეგორიულია გოჩა ჩხეტია.

"სახალხო ბანკის" წარმომადგენლები, გოჩა ჩხეტიას პრეტენზიის გამო, გაოცებულები არიან და ბრალდებებს უარყოფენ. **"ყოველ პენსიონერს, რომელსაც ბანკში მოსვლა და პენსიის აღება ფიზიკურად არ შეუძლია, ვემსახურებით ადგილზე და პენსიები უკლებლივ მიგვაქვს სახლში. რაც შეეხება რიგებს, ამ პრობლემას დამატებითი სერვის-ცენტრების გახსნით (ასეთი დაწესებულებები ყოველ კვირა იხსნება) უახლოეს მომავალში მოვაგვარებთ. ამასთან, როგორც კი "საპენსიო ფონდიდან" მივიღებთ პენსიონერთა ელექტრონულ სიებს, პენსიონერები მაშინვე გადავლენ პლასტიკური ბარათებით მომსახურების სისტემაზე, რაც იმას ნიშნავს, რომ ყველა პენსიონერი თავის კუთვნილ პენსიას მისთვის სასურველ დროსა და ადგილზე მიიღებს.**

**რაც შეეხება შეურაცხყოფას, ჩვენ გვაქვს მძლავრი უსაფრთხოების სამსახური, რომელიც მკაცრად აკონტროლებს კლიენტების მომსახურების ხარისხს და თუ მსგავს დარღვევას ექნება ადგილი, იმწამსვე ახდენს შესაბამის რეაგირებას.**

**ჩვენი ბანკის ხელმძღვანელობამ არაერთხელ მიმართა არასამთავრობო ორგანიზაციებს, რომ, პროცესის გამჭვირვალობის მიზნით, ერთობლივად მოხდეს ფილიალების შემოწმება და თუ რაიმე დარღვევა იქნება, აღმოიფხვრას. სამწუხაროდ, გოჩა ჩხეტიას ჩვენთვის არასოდეს მოუმართავს. მან პირდაპირ პრესკონფერენცია ჩაატარა",** - ამბობს ბანკის საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის უფროსი დოდო ბოჭორიშვილი.


## კონკურსი "სასტუმრო ბორჯომში"

**კონკურსის შინაარსი**

კონკურსი ცხადდება ქ. ბორჯომში, ყოფილი ბალნეოლოგიური ცენტრის ტერიტორიაზე, რომლის ფართი შეადგენს, დაახლოებით 4000 კვადრატულ მეტრს, სადაც უნდა აშენდეს შესაბამისი მასშტაბის ოთხვარსკვლავიანი სასტუმრო სასურველია გათვალისწინებულ იქნას ტრადიციული ბალნეოლოგიური ფუნქციაც.

**კონკურსის მიზანი**

კონკურსის მიზანია დამკვეთმა ესკიზური პროექტის დონეზე მიიღოს იდეურად გამართული მასალა, რომლის გეგმარებით-მოცულობითი მხარე სრულყოფილად იქნება წარმოდგენილი. მასალას თან უნდა ერთვოდეს განმარტებითი ბარათი.

**კონკურსის პირობები**

კონკურსანტების მიერ წარმოდგენილი მასალის მოცულობა არ არის შეზღუდული და დამოკიდებულია ავტორისეულ შეხედულებებზე. წარმოდგენილ მასალას თან უნდა ახლდეს დალუქული კონვერტი, რომელშიც მოთავსებული იქნება ბარათი მონაწილის ან მონაწილეთა ჯგუფის ვინაობის, მისამართის და ტელეფონის ნომრების აღნიშვნით. აგრეთვე ბარათში მინიშნებული უნდა იყოს პრემიის მიღების შემთხვევისათვის მათ შორის პროცენტული განაწილების მონაცემები. წინააღმდეგ შემთხვევაში პრემია განაწილდება თანაბრად. კონვერტის გარეკანზე მითითებული უნდა იყოს მონაწილის ექვსციფრიანი კოდი.

**კონკურსის პირობებს ერთვის:**

1. სიტუაციური გეგმა - მ. 1:1000
2. ტოპოგრაფიული გეგმა პირობითი წითელი ხაზებით - მ. 1:500
3. არსებული სიტუაციის ფოტო განშლა.
4. ქ. ბორჯომის არქიტექტურის სამსახურის მიერ გაცემული განაშენიანების კოეფიციენტები.

პირობები გაიცემა 2004 წლის 20 ნოემბრამდე მისამართზე: **ძმები კაკაბაძეების ქ. N2, კინოს სახლი, მესამე სართული, "GENTO"-სერვისი.**

საკონკურსო მასალების ჩაბარების ბოლო ვადა 2004 წლის 25 დეკემბერი, 20:00 საათი; **ქ. ბორჯომში, მისამართზე ნინოწმინდის ქუჩა 2, სასტუმრო "ბორჯომი".**

კონკურსის შედეგები გამოცხადდება 2004 წლის 30 დეკემბერს, 18:00 საათზე იგივე მისამართზე.

**კონკურსში დაწესებულია ერთი პირველი პრემია 5000 ლარის ოდენობით**

**გამარჯვებული, ავტორის უფლებით, მონაწილეობას მიიღებს პროექტის შემდგომი დამუშავების პროცესში დამატებითი ხელშეკრულების საფუძველზე.**

**კონკურსის ჟიური შედგება 7 წევრისაგან:**

4 არქიტექტორი,
დამკვეთი,
ქ. ბორჯომის საზოგადოებრიობის 2 წარმომადგენელი.

**ჟიურის შემადგენლობა ანონიმურია და გამოცხადდება კონკურსის შედეგებთან ერთად.**

**კონკურსი დახურულია და კონკურსანტების ვინაობა ჟიურისთვისა და საზოგადოებისათვის ერთდროულად გახდება ცნობილი გამარჯვებული პროექტის გამოცხადებისას.**

**წარმოდგენილი მასალა დაუბრუნდება კონკურსის მონაწილეებს.**

**საკონტაქტო ტელეფონები: 441- 814, 441- 815.**


# ტრადიციული საჩუქრები „ჯეოსელისგან"

ეთერ მამულაშვილი

*ბედი მწყალობსო აბაშელმა მზევინარ ბოკუჩავამ უნდა თქვას. ის სულ რაღაც 15 დღეა, "ჯეოსელის" აბონენტი გახდა და უკვე ამ კომპანიისგან საჩუქრად ახალთახალ რენო-სიმბოლს ღებულობს.*



შანსი იმისა, რომ თითოეულ ჩვენგანს მზევინარის მსგავსად ბედმა გაუღიმოს, არც თუ ისე მცირე არსებობს. ამისათვის ორი მარტივი პირობაა შესასრულებელი. ერთი, რომ "ჯეოსელის" აბონენტი უნდა იყოთ და რაც მთავარია, არ დაგეზაროთ 7007-ზე გადარეკვა. თუკი თქვენ ყველა ეს პირობა უკვე შეასრულეთ, მაშინ მოთმინებით დაელოდეთ კვირა საღმოს დადგომას, მომართეთ თქვენი ტელევიზორი რუსთავი 2-ზე და ... სულ ადვილი შესაძლებელია, რომ თქვენც რენო-სიმბოლის მფლობელი გახდეთ. ავტომანქანის გარდა "ჯეოსელი" ყოველ კვირას საკუთარ აბონენეტებს კიდევ 9 პრიზით აჯილდოებს.

"ჯეოსელის" ტრადიციული წამახალისებელი ლატარიის გათამაშება წელსაც გრძელდება. კომპანიის ერთგულმა აბონენტებმა ამ ტრადიციის შესახებ უკვე ბევრი რამ იციან და ამიტომაც ყოველ წელს ამ გათამაშებას მოუთმენლად ელიან. წელს ეს ლატარეა 25 ოქტომბრიდან 2 იანვრის ჩათვლით გაგრძელდება. გათამაშებას, რომელიც ყოველ კვირა საღამოს რუსთავი 2-ით გადაიცემა, "ჯეოსელის" უცვლელი სახე დუტა სხირტლაძე გაუძღვება.

7007-ზე ერთი ზარის ღირებულება, სულ რაღაც, 50 თეთრია. აბა დაფიქრდით, რაში შეიძლება გეყოთ ეს თანხა? დიდი-დიდი ამ ფულით ერთი ნაყინი იგემოთ, ან მეგობრები დაპატიჟოთ მზესუმზირაზე. ზუსტად ამდენი დაგჭირდებათ ერთხელ "მარშრუტკით" გასერინებისთვის, და, ალბათ, მეტი ვერაფერი. "ჯეოსელის" დახმარებით კი ამავე ოდენობის თანხით სულ ადვილი შესაძლებელია, რომ თქვენ ერთ დღესაც ავტომანქანის, კომპიუტერის, JVC-ის ვიდეო კამერის, Vestel-ის მაცივრის, Vestel-ის ტელევიზორის, BosCh-ის გაზქურის, Vestel-ის სარეცხის მანქანის, Simense-ის მობილური ტელეფონის ას ლარიანი უფასო სასაუბრო დროით, 500 ლარიანი კუპონის მალაზია "ელიტ ელექტრონიქსისგან", ან "ჯეოსელის" ყოველთვიური 200 ლარიანი ხელფასის მფლობელი გახდეთ.

გუშინ "ჯეოსელმა" გასულ კვირას ლატარიაში გამარჯვებულებს კუთვნილი პრიზები გადასცა და სამახსოვროდაც ბევრი ფოტო გადაიღო. ელისო ესებუა, რომელმაც JVC -ის ვიდეო კამერა მოიგო, ამბობს, რომ მას ლატარეაში ბედმა პირველად გაუღიმა. **"დღემდე სხვადასხვა გათამაშებებში რამდენჯერმე ვცადე ბედი, მაგრამ ამაოდ. "ჯეოსელის" გათამაშებაში პირველად მივიღე მონაწილეობა და პირველ ჯერზევე გამიმართლა, "** - გვითხრა ელისომ.

საჩუქრებთან ერთად თითოეულმა მათგანმა გუშინ ხუთ-ხუთი "ჯეოსელის" უფასო სიმ ბარათი მიიღო საკუთარი ნათესავ-ახლობლებისთვის, ანუ მათთვის ვინც ჯერ ვერ მოასწრო "ჯეოსელის" ქსელში ჩართვა.

მათთვის, კი ვისაც ჯერ არაფერი სმენია "ჯეოსელის" წამახალისებელი ლატარეას შესახებ გეტყვით, რომ დრო კიდევ გაქვთ, თუმცა არც ისე ბევრი. თუ თქვენ ჯერ კიდევ არ გამხდარხართ "ჯეოსელის" აბონენტი, იჩქარეთ. ჩაერთეთ "ჯეოსელში" და დარეკეთ 7007. გახსოვდეთ, რაც უფრო მეტჯერ აკრეფთ ამ მარტივ ნომერს, მით მეტი შანსი გეძლევათ, რომ ერთ-ერთი პრიზის მფლობელი გახდეთ.

# სვანური დაჯგუფების ორი წევრი დააკავეს

გუშინწინ, გვიან ღამით, შინაგან საქმეთა თბილისის მთავარი სამმართველოს თანამშრომლებმა, ოპერატიული ინფორმაციის საფუძველზე, №8 საავადმყოფოს ეზოში ორი პიროვნება დააკავეს. როგორც მოგვიანებით გაირკვა, დაკავებულები ე.წ. სვანური დანაშაულებრივი დაჯგუფების წევრები ნიკოლოზ გურჩიანი და ლაშა ნინოშვილი აღმოჩნდნენ. თბილისის პოლიციის მთავარი სამმართველოს კრიმინალური პოლიციის უფროსის ზურაბ ბაქრაძის ინფორმაციით, დაკავებულებს პირადი ჩხრეკისას "მაკაროვის" სისტემის ცეცხლსასროლი იარაღი, "სკოჩი" და ხანჯალი აღმოაჩნდათ. გუშინ გვიან ღამითვე ჩხრეკა ჩატარდა გურჩიანის და ნინოშვილის საცხოვრებელ სახლებშიც. კრიმინალური პოლიციის უფროსის თქმით, გურჩიანის ოჯახში პოლიციამ კანონსაწინააღმდეგო ვერაფერი აღმოაჩინა, ნინოშვილის სახლში კი "მაკაროვის" ტყვიები იპოვეს.



*სვანური დაჯგუფების წევრებს წინასწარ ჰქონიათ ინფორმაცია, რომ დასაყაჩაღებელ ოჯახში 10 ათასი დოლარი ინახებოდა.*

წინასწარი დაკავების საკანში გადაყვანისას სამართალდამცველებმა გაარკვიეს, რომ გურჩიანი და ნინოშვილი იმ ღამით ერთ-ერთი საელჩოს უცხოელი თანამშრომლის ოჯახზე თავდასხმას გეგმავდნენ. სვაური დაჯგუფების წევრებს წინასწარ ჰქონიათ ინფორმაცია, რომ დასაყაჩაღებელ ოჯახში 10 ათასი დოლარი ინახებოდა. პოლიციისათვის ცნობილია უცხოელის ვინაობა, მაგრამ გამოძიების ინტერესებიდან გამომდინარე, ჯერჯერობით, მის გვარს არ ასახელებენ.

ჩვენი ინფორმაციით კი, გურჩიანი და ნინოშვილი საავადმყოფოს ეზოში გამვლელ გოგონას არჩევდნენ, რომელსაც უცხოელის კარის გაღებაში დახმარებას აიძულებდნენ. იყვნენ თუ არა შემთხვევის ადგილას სვანური დაჯგუფების სხვა წევრები, სამართალდამცველებისთვის ამ ეტაპზე უცნობია. თუმცა, ზურაბ ბაქრაძე არ გამორიცხავს, რომ, შესაძლებელია, გურჩიანი-ნინოშვილის საქმის გამოძიებისას ე.წ. სვანური ჯგუფის მიერ განხორციელებულ სხვა ყაჩაღობებსაც აეხადოს ფარდა და აღნიშნული ჯგუფის სხვა წევრთა გვარებიც გამოიკვეთოს.

*24 საათი*

# ძველი მეთოდი ახალი შეფუთვით

*სატელეფონო აფიორის თემა ბოლო ხანებში ისე გახმაურდა, ძნელად თუ ვინმე წარმოიდგენდა, რომ თაღლითების ამ ანკესს კიდევ წამოეგებოდა ვინმე. თუმცა, ასეთები მრავლად აღმოჩნდნენ და მათ საკმაოდ დიდი თანხითაც იზარალეს.*

თაღლითების ნაცადი ხერხი ბევრისთვის ცნობილია: მობილურ ან ქალაქის ტელეფონზე მიღებული ზარით გატყობინებენ, რომ თქვენმა ტელეფონის ნომერმა რომელიღაც გათამაშებაში გაიმარჯვა და მოგებული თანხის მისაღებად მობილური ტელეფონის ბარათების ყიდვაა საჭირო, რომელთა კოდებიც წინასწარ დასახელებულ ტელეფონის ნომერზე უნდა აცნობოთ, რის შემდეგაც, ასევე წინასწარ დასახელებულ მისამართზე შეგიძლიათ მოგებული თანხა მიიღოთ. გულუბრყვილო მოქალაქეები ზუსტად ასრულებენ "ინსტრუქციას", მითითებულ მისამართზე კი არაფერი საინტერესო არ ხვდებათ. თაღლითები კი, რომლებიც, როგორც წესი, ციხიდან მოქმედებენ, ადვილად ივსებენ მობილური ტელეფონების დეპოზიტურ ანგარიშებს და არც სასჯელი აშფოთებთ.

თუმცა, თაღლითობის ეს ხერხი იმდენად გახმაურდა, რომ, როგორც ჩანს, მოტყუებულთა რიცხვმა იკლო და, შესაბამისად, თაღლითებს ახალი გზების ძიება მოუხდათ. თაღლითობის ძირითადი სქემა იგივე დარჩა, სამაგიეროდ შეიცვალა შეფუთვა და თაღლითობის მეთოდი ცნობილი გვარების გამოყენებით გამდიდრდა.

გუშინ ფინანსური პოლიციის პრესსამსახურმა მოგვაწოდა ინფორმაცია, რომლის თანახმადაც, ბოლო პერიოდში ფინანსურ პოლიციას მიაკითხა არაერთმა ადამიანმა, რომლებიც თაღლითური მაქინაციის მსხვერპლი გახდა. მათი ნაამბობის მიხედვით, თაღლითების ხელწერა ერთნაირია - როგორც მობილურ, ასევე ქალაქის ტელეფონებზე თაღლითები რეკავენ და ცრუობენ, თითქოს ხდება გათამაშება და მათ მსხვერპლს პრიზის სანაცვლოდ, წინასწარ თანხას ახდევინებენ. თანაც, როგორც აღმოჩნდა, თაღლითების მადა მნიშვნელოვნად გაიზარდა და, თუ აქამდე ყველაზე დიდი, შეიძლებოდა მობილური ტელეფონის ათი ცალი ბარათის ყიდვა მოეთხოვათ, ახლა არის შემთხვევები, როდესაც ამგვარი მეთოდებით მოტყუებულ ადამიანებს 900-დან 2000 ლარამდე ართმევენ.

ფინანსური პოლიციის ინფორმაციით, გამოიკვეთა თაღლითთა ორი ჯგუფი. ერთი დანაშაულს მიხეილ სააკაშვილის სახელით სჩადის, მეორე - ბადრი პატარკაციშვილის.

პირველ შემთხვევაში, ამა თუ იმ ნომერზე რეკავენ და ეუბნებიან: "გილოცავთ, თქვენმა ნომერმა გაიმარჯვა. პრეზიდენტმა სააკაშვილმა და "ტელეკომის` საპრიზო ფონდმა დაგასაჩუქრათ 4 ათასი ლარით. პრიზის გადმოცემამდე, "მაგთიკომის" სასარგებლოდ, 10 ცალი 30-ლარიანი "მონო ბარათი" და 20 ცალი 25-ლარიანი "ასტრა ბარათი" უნდა შეიძინოთ, კოდები გვიკარნახოთ და შემდეგ ჩვენ მიერ მითითებულ მისამართზე მიიტანოთ".

მოტყუებულ მოქალაქეთა თქმით, თაღლითები იმდენად დამაჯერებელი ხმით საუბრობენ, რომ ეჭვის შეტანა ჭირს და "მოგებულები" მათ სასწრაფოდ შეძენილი სატელეფონო ბარათების კოდებს ტელეფონის საშუალებით აწვდიან. თაღლითების მიერ დასახელებულ მისამართზე კი, სადაც ვითომ ეს ბარათები უნდა ჩააბარონ და პრიზი აიღონ, ცხადია, არავინ ხვდებათ.

თაღლითთა მეორე სქემაში პატიმრების გარდა, სხვა პირებიც არიან ჩართული. კერძოდ, მოქალაქეებთან სახლებში ორი გოგონა დადის და აცხადებს, რომ "საზოგადოებრივი აზრის კვლევის და მარკეტინგის ინსტიტუტს" წარმოადგენენ. გოგონები მოქალაქეებს სოციოლოგიურ კვლევაში მონაწილეობას სთავაზობენ და თან უხსნიან, რომ ეს ყველაფერი გათამაშებასთანაც არის დაკავშირებული, რომელსაც ბადრი პატარკაციშვილი, ტელეკომპანია "იმედის" საშუალებით აწყობს.

რამდენიმე დღის შემდეგ კი ამ მოქალაქეებთან ტელეფონზე რეკავენ და გამარჯვებას ულოცავენ. უცხადებენ, რომ მოიგეს 7000 ლარი, თუმცა მიღებამდე თამაშის წესები ბოლომდე უნდა შეასრულონ - იყიდონ "მონო" და "ასტრა" ბარათები და მათი კოდები ტელეფონის საშუალებით აცნობონ "გათამაშების მომწყობებს".

მოკვლევის პროცესში ფინანსური პოლიციის ოპერატიული სამსახურები ძირითადად ადგენენ, რომ სატელეფონო ზარები და მოსახლეობის მოტყუება ციხეში მყოფი პატიმრებიდან მომდინარეობს. მათ, ვისაც სხვადასხვა მძიმე დანაშაულისთვის 15-20-წლიანი პატიმრობა აქვთ მისჯილი, არ ანაღვლებთ ამგვარი თაღლითობისთვის პასუხისგება. შესაბამისად, მოტყუებული მოსახლეობისთვის შეუძლებელი ხდება ციხეში მყოფი პატიმრებისგან ზიანის ანაზღაურება.

ამასთან დაკავშირებით, ფინანსურმა პოლიციამ საქართველოს მოსახლეობის საყურადღებოდ გაავრცელა სპეციალური განცხადება, რომელშიც ნათქვამია, რომ არავითარი სატელეფონო გათამაშება არ ხდება, არც პრეზიდენტის და არც ბიზნესმენ ბადრი პატარკაციშვილის სახელით. ამიტომ არც "მონო" და არც "ასტრა" ბარათების შეძენა და კოდების გადაცემა არ არის საჭირო. თუკი ვინმე ლიცენზირებულ ლატარეაში რაიმე პრიზს მოიგებს, მას ამ პრიზს ყოველგვარი წინასწარი მოქმედებისა და თუნდაც სიმბოლური თანხის გადახდის გარეშე მისცემენ.

*24 საათი*

# იმერეთის სამართალდამცველთა მიერ შეტანილი წვლილი ბიუჯეტის შევსებაში

"ვარდების რევოლუციიდან" ერთი წლის განმავლობაში იმერელი ჩინოვნიკებისა და ბიზნესმენების მიერ სახელმწიფოსთვის დაბრუნებული ქონების ნუსხაში ბევრი დიდი და მცირე ობიექტი მოხვდა, რომელთა საერთო ღირებულება 11 მლნ ლარს აჭარბებს.

იმერეთის საოლქო პროკურატურაში აცხადებენ, რომ ყველაზე სოლიდური შეთანხმება იმერეთში გავლენიან ბიზნესმენთან, ტყიბულის ყოფილ მაჟორიტარ დეპუტატთან ბონდო შალიკიანთან დაიდო, რომელიც ქუთაისში თითქმის ყველა მსხვილი საწარმოს აქციებს ფლობდა.

რიგითობის მიხედვით შემდეგი ადგილი სააქციო საზოგადოება "ქუთაისის საავტომობილო ქარხნის" სამეთვალყურეო საბჭოს ყოფილ თავმჯდომარეს ამირან ნაცვლიშვილს და ამავე საწარმოს აღმასრულებელ დირექტორს შიო ობოლაძეს უკავიათ.

სახელმწიფო ბიუჯეტში გადახდილი სოლიდური თანხით გამოირჩევა ასევე ქუთაისის საკრებულოს ყოფილი თავმჯდომარე დავით ბერიძე და ქუთაისის "აბრეშუმკომბინატის" გენერალური დირექტორი ოლეგ სვინტრაძე. ეს უკანასკნელი ამჟამად პატიმრობაშია და გამოძიება მას 500 ათას ლარზე მეტს ედავება.

იმერეთის ოლქის პროკურორის მიხეილ ჩოგოვაძის თქმით, სახელმწიფოს წინაშე ვალში მყოფი "მდიდრების გაკულაკების პროცესი" კვლავაც გაგრძელდება.

*ინტერ-პრესი*

# დაკავებულთა წამება - გამონაგონი თუ ფაქტი

გუშინ სასამართლო-სამედიცინო ექსპერტმა მაია ნიკოლეიშვილმა სპეციალურად ჩატარებულ პრესკონფერენციაზე მოძრაობა "კმარას" აქტივისტები და არასამთავრობო ორგანიზაცია "თავისუფლების ინსტიტუტის" წევრები სამართალდამცავ ორგანოებზე ზემოქმედებაში დაადანაშაულა და განაცხადა, რომ მათ მიერ ბოლო პერიოდში ეჭვმიტანილებისა და მსჯავრდებულებისთვის ჩატარებული ექსპერტიზები "შარლატანობაა". ამის დასადასტურებლად მან კონკრეტული მაგალითიც მოიყვანა.

მისი ნაამბობის თანახმად, აგვისტოში, ნარკოტიკების გასაღების ბრალდებით დაკავებული მამუკა ჩუბინიძისთვის სამედიცინო ექსპერტიზის ჩასატარებლად "თავისუფლების ინსტიტუტმა" ცენტრ "ემპათიას" ექსპერტები მიიწვია, რომელთა მიერ გაკეთებული დასკვნა ეწინააღმდეგება სახელმწიფო ექსპერტის დასკვნას. ეს კი მაია ნიკოლეიშვილს საფუძველს აძლევს იფიქროს, რომ "ეჭვმიტანილი მამუკა ჩუბინიძისთვის ჩატარებული ექსპერტიზა უმნიშვნელო დაზიანებების წამების ფაქტად წარმოდგენის მცდელობაა".

მაია ნიკოლეიშვილის ინფორმაციით, აღნიშნული დასკვნის საფუძველზე ეჭვმიტანილ მამუკა ჩუბინიძის წამებისთვის სისხლის სამართლის საქმე აღიძრა ისან-სამგორის პოლიციის პირველი ქვეგანყოფილების უფროსის მამუკა დავითინიძის მიმართ, რაც "თავისუფლების ინსტიტუტის" წარმომადგენლების აღნიშნული მცდელობის შედეგია.

**"თავისუფლების ინსტიტუტი" და "კმარა" დაინტერესებული არიან საქართველოში სასჯელაღსრულების დაწესებულებებში ეჭვმიტანილთა წამების ფაქტების გაზრდით, რადგან ისინი სხვადასხვა საერთაშორისო ორგანიზაციებისგან სწორედ წამების ფაქტების გამოვლენისთვის გაწეული მუშაობისათვის სოლიდურ დაფინანსებას იღებენ,"** - განაცხადა მაია ნიკოლეიშვილმა.

მაია ნიკოლეიშვილის ბრალდებებს "თავისუფლების ინსტიტუტი" მხოლოდ მცირე რეპლიკით ეხმაურება: **"მაია ნიკოლეიშვილი არ არის საქართველოში ერთადერთი ექსპერტი და მით უმეტეს – დამოუკიდებელი,"** - განაცხადა ჩვენთან საუბრისას "თავისუფლების ინსტიტუტის" წარმომადგენელმა თეა თუთბერიძემ და ბრალდებების საპასუხოდ დაკავებულთა წამების კონკრეტული ფაქტებსა და ამ ფაქტებზე სამართალდამცველთა მხრიდან გაკეთებულ რეაგირებაზე ისაუბრა. მის მიერ მოწოდებული ინფორმაციის გათვალისწინებით, ნიკოლეიშვილის მიერ დასახელებული შემთხვევა ის იშვიათი გამონაკლისია, როცა დამნაშავე პოლიციელი დაისაჯა.

**"კარგი იქნებოდა, დაკავებულთა წამების ფაქტები მართლაც ვინმეს გამოგონილი იყოს, მაგრამ, სამწუხაროდ, ასეთი რამ ხდება და ძალიან ხშირად. მეტიც, ჩვენ გაცილებით მეტ მსგავს შემთხვევაზე გვაქვს ინფორმაცია, ვიდრე ამას საჯაროდ ვაცხადებთ,** - ამბობს თეა თუთბერიძე, - **მოგეხსენებათ, 11 ოქტომბერს არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენელთა საქართველოს პრეზიდენტთან შეხვედრისას, დაკავებულთა წამების საკითხი დაისვა და პრეზიდენტმა აღგვითქვა, რომ თითოეულ მსგავს ფაქტზე რეაგირება უმკაცრესი იქნება. შეხვედრიდან ორ დღეში შევდივართ თბილისის პოლიციის მთავარი სამმართველოს წინასწარი დაკავების იზოლატორში და იქ სასტიკად ნაცემი პატიმარი გვხვდება. მაშინვე გადავამოწმეთ სასჯელაღსრულების დეპარტამენტის მონაცემები და შევიტყვეთ, რომ იმ ორ დღეში თბილისის პოლიციის სამმართველოდან საპყრობილეში შესულ თითქმის ყველა პატიმარს დაზიანებები დაუფიქსირეს. მეტსაც გეტყვით, არსებობს ოფიციალური ინფორმაცია, რომლის თანახმადაც, წინასწარი დაკავების საკნებზე ზედამხედველმა პროკურორმა, მარტიდან სექტემბრის ბოლომდე, მარტო თბილისის პოლიციის მთავარი სამმართველოს შენობაში მომხდარი დაკავებულთა ცემა-წამების შემთხვევების დაჯამების შემდეგ, 267 ფაქტის გამო, სპეციალური განცხადებები დაუგზავნა დედაქალაქის სხვადასხვა რაიონის პროკურატურებს და წარმოიდგინეთ, დღემდე ამ ფაქტებზე არც ერთი სისხლის სამართლის საქმე არ აღძრულა."**

რაც შეეხება უშუალოდ მაია ნიკოლეიშვილის მიერ დასახელებულ ფაქტს, თუთბერიძის განცხადებით, მამუკა ჩუბინიძე რომ სასტიკად იყო ნაწამები, ეს მას ყოველგვარი ექსპერტიზის გარეშეც ეტყობოდა. მისივე თქმით, ასეთ მდგომარეობაში მყოფი დაკავებული "თავისუფლების ინსტიტუტის" წარმომადგენლებთან ერთად სახალხო დამცველის მოადგილემაც ნახა და ინფორმაციის დადასტურება მასაც შეუძლია.

ფოსტა

# პატიმრების არატრადიციული თხოვნა

*"24 საათის" რედაქციაში საქართველოს სასჯელაღსრულების სხვადასხვა დაწესებულებებში მყოფი პატიმრებისგან წერილები ძალზე ხშირად მოდის. როგორც წესი, ყველა წერილს საერთო ერთი აქვს – ყველა პატიმარი წაყენებული ბრალდების უსამართლობას უჩივის, საკუთარ უდანაშაულობას ამტკიცებს და გაზეთის მეშვეობით სამართალდამცველ ორგანოებსა თუ მართლმსაჯულებაზე გავლენის მოხდენას ისახავს მიზნად. ასეთ შემთხვევაში, როგორც წესი, წერილში მოყვანილი ფაქტების გადამოწმება ხდება და მხოლოდ ამის შემდეგ წყდება მათი გამოქვეყნება-არგამოქვეყნების საკითხი. გუშინწინ კი ციხიდან არატრადიციული შინაარსის წერილი მივიღეთ, რომელიც არავითარ ჟურნალისტურ ჩარევას არ საჭიროებს.*

"მოგმართავთ თხოვნით N 5 საპყრობილის სამეურნეო ნაწილის პატიმრები (რომელთა მოვალეობაში შედის 3000-მდე პატიმრის სრული მომსახურება), რათა, თქვენი გაზეთის საშუალებით, გაგვიწიოთ შუამდგომლობა კულტურისა და სპორტის მინისტრთან, ქალაქის მერთან, საკრებულოს თავმჯდომარესთან, განათლების მინისტრთან, შემდეგ საკითხებზე:

ჩვენთვის კარგადაა ცნობილი, რომ პატიმრებს კი არა, ხშირად ნორმალურ პირობებში მცხოვრებ ადამიანებს არ აქვთ კულტურული და სპორტული დასვენების საშუალება. მაგრამ მაინც გთხოვთ, თუ შესაძლებელი იქნება, მოგვიხერხონ, შედარებით ახალი – მხატვრული და უცხო ენების შემსწავლელი ლიტერატურით ციხის ბიბლიოთეკის შევსება (ამჟამად ციხის ბიბლიოთეკაში 50-იანი წლების წიგნებია), ამორტიზებული სპორტული ინვენტარითა (ჩვენ გავაახლებთ) და ძველი თაობის კომპიუტერებით საპყრობილის უზრუნველყოფა. აგრეთვე, იქნებ რამდენიმე მანქანა ასფალტიც გამოგვიყონ კალათბურთისა და ფრენბურთის მოედნებისთვის. ამით დასაქმებულ პატიმართა რიცხვიც გაიზრდება.

ჩვენ გვაქვს წინასწარი შეთანხმებები ოლიმპიურ ჩემპიონებთან – ასანიძესთან, ზვიადაურთან და დერიუგინთან, რომლებმაც გარკვეული დახმარება აღგვითქვეს.

იქნებ თქვენი გაზეთის საშუალებით ხმა ქართველ ბიზნესმენებსაც მივაწვდინოთ, რომ მათ ცოტაოდენი წვლილი შეიტანონ იმ არაადამიანური ყოფის გაუმჯობესების საქმეში, რომელშიც ამჟამად N 5 საპყრობილის პატიმრები იმყოფებიან. აქ ხომ, 1200 პატიმრისთვის გათვალისწინებულ შენობაში 3000-ზე მეტი პატიმარი იმყოფება.

***N 5 საპყრობილის სამეურნეო ნაწილის პატიმართა სახელით, პატიმარი ზურაბ ცინაძე".***

## უფასო იურიდიული კონსულტაციის ქვითარი

## ა ნ კ ე ტ ა

**სახელი, გვარი** ........................................

**ასაკი, პროფესია, სამუშაო ადგილი** ........................................

**საკონტაქტო ტელეფონი** ........................................

იურიდიული ოფისი "გაპი" - წერეთლის გამზ. 77. ტელ/ფაქსი: 34-76-58. www.gapi.ge

გაზეთ "24 საათის" მკითხველს აქვს შესაძლებლობა მიიღოს უფასო იურიდიული კონსულტაცია მისთვის საინტერესო სამართლებრივ საკითხებზე. მკითხველი შეკითხვას დასვამს გაზეთში გამოქვეყნებული უფასო ქვითრის საშუალებით, ამოჭრის მას და ჩააგდებს თბილისში განთავსებულ იურიდიული ოფისის "გაპისა" და გაზეთ "24 საათის" ლოგოებიან სპეციალურ ყუთებში (მიიღება მხოლოდ გაზეთიდან ამოჭრილი ქვითრები. ქსეროასლები არ განიხილება).

ყუთები განთავსებულია ქალაქ თბილისში მეტროს ქვემოთ ჩამოთვლილ სადგურებსა და შემდეგ მისამართებზე:

1. მეტროს სადგური "ახმეტელის თეატრი" (გლდანი);
2. მეტროს სადგური "მარჯანიშვილი";
3. მეტროს სადგური "თავისუფლების მოედანი";
4. მეტროს სადგური "წერეთელი";
5. მეტროს სადგური "სამგორი II";
6. მეტროს სადგური "ვარკეთილი";
7. მეტროს სადგური "გოცირიძე II", (ყოფილი მეტროს სადგური "დელისი");
8. მეტროს სადგური "ვაგზლის მოედანი I";
9. მეტროს სადგური "დიდუბე";
10. ვაჟა-ფშაველას 45 "სოფშენის" შენობის I-ლი სართული გაზეთ "24 საათის" ოფისი;
11. წერეთლის 77 იურიდიული ოფისი "გაპის" ოფისი;

"24 საათის" მკითხველს, უფასო შეკითხვის ქვითარი, სამართლებრივ საკითხზე დასმული შეკითხვით, შეუძლია გამოაგზავნოს აგრეთვე ფოსტით შემდეგ მისამართზე: 0119 თბილისი, წერეთლის გამზ.77. იურიდიული ოფისი "გაპი".

# ოჯახური ძალადობა – საზოგადოების გადაუჭრელი პრობლემა

ოჯახური ძალადობის თემა მრავალ ქვეყანაში დიდხანს იყო ტაბუირებული, რადგან ამ თემის სააშკარაოზე გამოტანა ადამიანების პირად ცხოვრებაში ჩარევად ითვლებოდა და მასზე მსჯელობა დაუშვებლად იყო მიჩნეული. თუმცა, დროთა განმავლობაში საზოგადოებაში სულ უფრო იმძლავრა იმ აზრმა, რომ გაუმართლებელია ოჯახური ძალადობის პრობლემის იგნორირება, რადგან ძალადობა ოჯახში საფრთხეს უქმნის ადამიანების უსაფრთხოებას, მათ ჯანმრთელობასა თუ სიცოცხლეს და ისეთივე დანაშაულია, როგორიც ძალადობა ოჯახის გარეთ.

ოჯახური ძალადობა ყველა ტიპის საზოგადოებისა და კულტურის პრობლემაა და იგი თანაბრად აღმოცენდება როგორც საზოგადოების განვითარების ან განათლების შედარებით დაბალ საფეხურზე მყოფ, ისე განათლებულ და პრივილეგირებულ ნაწილში.

მიუხედავად იმისა, რომ უკანაკნელი ათწლეულის განმავლობაში საქართველოში ოჯახური ძალადობის პრობლემაზე შედარებით ხმამაღლა საუბრობენ, იკვლევენ და ებრძვიან, ქართულ საზოგადოებაში იგი მაინც ტაბუირებულია და ამ პრობლემის წინ წამოწევა ხშირად აგრესიასა და ირონიას იწვევს.

ოჯახურ ძალადობას უმეტესად წარმოიდგენენ, როგორც ცალკეული სიტუაციიდან გამომდინარე კონფლიქტების ერთობლიობას, რომელიც ძალადობით მთავრდება., რაც, თავისთავად, მცდარი მიდგომაა. ოჯახური ძალადობა არის არა ცაკლეული კონფლიქტების ერთობლიობა, არამედ მორჩილებაზე აგებულ ურთიერთობათა მთელი კომპლექსი, სადაც მსხვერპლმა იცის, რომ იგი მოძალადის აგრესიისაგან დაზღვეული არ არის.

ოჯახური ძალადობის ძირითადი მახასიათებელია მსხვერპლის (უმეტეს შემთხვევაში, ქალის ან ბავშვის) ჩვეულებრივ ნივთად აღქმა და მოძალადის მანიპულაციების ობიექტად ქცევა. მოძალადე ახდენს მსხვერპლის დამორჩილებას და აიძულებს, იმოქმედოს მისი ნება-სურვილის მიხედვით.

იმ ადამიანებისათვის, რომლებიც ამგვარ ძალადობას განიცდიან, ზემოხსენებული მორჩილების იძულება მათი პიროვნული თავმოყვარეობის შელახვაა. მათ კარგად იციან, რას ნიშნავს გეპყრობოდნენ, როგორც ნივთს. ამასთან, გარდა იმისა, რომ მოძალადის საქციელი სერიოზულ საფრთხეს უქმნის მსხვერპლის უსაფრთხოებას, ვიღაცის კონტროლის ქვეშ და მის განკარგულებაში ყოფნის გრძნობა მძიმე ფსიქოლოგიურ პრობლემებსა და ტრავმას იწვევს, განსაკუთრებით მაშინ, თუკი ეს გრძნობა ძალადობის მსხვერპლის ცხოვრების მუდმივი თანამგზავრია და მის სიცოცხლეს სერიოზულ საფრთხეს უქმნის.

ამიტომ ძალადობის ცალკეული აქტების განხილვა უნდა მოხდეს არა დამოუკიდებლად, არამედ იმ ძალადობრივი ურთიერთობების კონტექსტში, რომლის შემადგენელ ნაწილსაც ისინი წარმოადგენენ. აღნიშნული კონტექსტის მხედველობაში მიღების გარეშე ამ ურთიერთობათა ანალიზის ნებისმიერი მცდელობა მცდარ დასკვნამდე მიგვიყვანს. მათ, ვინც არ ცდილობს, ღრმად ჩაწვდეს ძალადობაზე აგებული პარტნიორობის არსს, ხშირად აოცებთ ქალისა და მამაკაცის შორის ასეთი ურთიერთობების შედარებითი სტაბილურობა. ის გარემოება, რომ ძალადობრივი ურთიერთობები ხშირად თვეებისა და წლების მანძილზე გრძელდება და, ნორმალური ცხოვრების ნაცვლად, მსხვერპლი ეგუება მის მიმართ ძალის გამოყენებას, საზოგადოებისათვის მარტივად გასაგები არ არის.

## ძალადობის მსხვერპლის გაორებული დამოკიდებულება მოძალადის მიმართ

გარკვეული პერიოდის განმავლობაში, მამაკაცთან აგრესიაზე აგებული ურთიერთობების მქონე ქალის გრძნობები მისი მწვალებლის მიმართ არ შემოიფარგლება მხოლოდ სიძულვილით. ის განიცდის, აგრეთვე, სიყვარულის, ისევე როგორც, მამაკაცის გარეშე დაუცველობისა და უმწეობის გრძნობას. დამნაშავის მიმართ მსხვერპლის გაორებულ დამოკიდებულებას მუდმივად ხელს უწყობს, აგრეთვე, თვით მოძალადის მოქმედება.

ოჯახურ ძალადობას გააჩნია თავისებური, ციკლური ბუნება, რომელიც ხასიათდება როგორც სიმშვიდის პერიოდით, ისე უმწვავესი აფეთქებებით. წყვილის ურთიერთობის დასაწყისში ძალადობა ნაკლებია. ამ პერიოდში ორივე პარტნიორი იდეალურად იქცევა, რადგან ამ დროს ძალადობის გამოყენებამ შეიძლება ურთიერთობა შეწყვიტოს. ურთიერთობის გაგრძელების შემდგომ, მოთხოვნების ზრდასთან ერთად, მატულობს სტრესი, აგრესია, რომელიც თავიდან მიმართულია, ძირითადად, სხვა ობიექტებზე (მაგ: კარის მიჯახუნება, ჭურჭელის მტვრევა). შემდგომ ნელ-ნელა ძალადობა შეურაცხყოფის სახით პარტნიორზე გადადის. სიტყვიერი და ემოციური შეურაცხყოფა გრძელდება და მწვავდება. მოძალადე ხდება ეჭვიანი და ცდილობს, ყველანაირად აკონტროლოს პარტნიორი. იგი შეიძლება, ასევე, შეეცადოს მეგობრებისა და ოჯახის სხვა წევრებისაგან პარტნიორის იზოლირებას.

საბოლოოდ, დაძაბული ურთიერთობები მთავრდება კონკრეტული ინციდენტით, რომლის შემდეგაც მოძალადე წყნარდება, მსხვერპლნი კი დაბნეულია და მომხდარის გამო ისტერიული შეტევა ეწყება.

ძალადობის ფაქტის შემდეგ დგება სიმშვიდის ფაზა, რომელიც ხასიათდება მშვიდობის, ანუ სიყვარულის პერიოდით. ამ ფაზაში მოძალადე ინანიებს თავის საქციელს, რითაც მსხვერპლს გამოსწორების იმედს აძლევს. თუ ამ ფაზაში არ მოხდება გარეგანი ჩარევა (სოციალური მუშაკის, ფსიქოლოგის, სამართალდამცავი ორგანოების მხრიდან) და ურთიერთობა გაგრძელდება, დიდია იმის ალბათობა, რომ ძალადობა გამწვავდეს და უფრო მძიმე ფორმებში გამოვლინდეს, დაძაბულობამ შეიძლება კვლავ დაიწყოს პროგრესირება.

როგორც ვხედავთ, ჰარმონიულ ურთიერთობას არღვევს ძალადობა, რასაც მოჰყვება დამნაშავის მიერ სინდისის ქენჯნის გრძნობების გამოხატვა და დაპირებები. ასეთი პერიოდული ცვლილებები, ე.წ. "მათრახისა და თაფლიანი კვერის" პოლიტიკა, ხელს უწყობს ძალადობის მსხვერპლის მუდმივ ემოციურ დაძაბულობას, მოახლოებული საფრთხის გრძნობას და დაბნეულობას.

მაშინ, როცა გარეშე პირები საკმაოდ კარგად ხვდებიან, რომ სინდისის ქენჯნის გრძნობის გამოხატვა და ძალადობა მორჩილებაზე აგებული ხანგძლივი ურთიერთობების შენარჩუნების საშუალებაა, თვით დაზარალებული თავისი მოძალადის მიმართ კარგავს მიუკერძოებელი და სწორი აზრის ჩამოყალიბების უნარს, რომელსაც ორი სახე აქვს და რომლის სახეცვლილების პირობები წინასწარგანჭვრეტას ან ახსნას არ ექვემდებარება.

## რატომ რჩება მსხვერპლი მოძალადესთან

*შიში და შეჩვევა*

მსხვერპლებს ხშირად აკრიტიკებენ იმის გამო, რომ ისინი არ მიდიან მოძალადისგან. ასეთი კრიტიკის ავტორებს გაცნობიერებული არ აქვთ, რომ მსხვერპლის პასიურობა ძალადობის შედეგი უფროა, ვიდრე მიზეზი.

მოძალადისადმი შიში ოჯახური ძალადობის ჯაჭვის შემადგენელი ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი კომპონენტია და ამ შიშს თავისი საფუძვლები გააჩნია. ურთიერთობის გაწყვეტის შესახებ მსხვერპლის მხრიდან მცირე ქარაგმაც კი საკმარისია იმისათვის, რომ მოძალადემ ეს აღიქვას, როგორც მასზე ძალაუფლების დაკარგვის საფრთხე, რაც შეიძლება უფრო მეტი ძალადობის მიზეზი გახდეს.

ცნობილია, აგრეთვე, რომ ოჯახური ძალადობის მსხვერპლებს უვითარდებათ ე.წ. "მძევლის სინდრომი", რაც დაზარალებულის მხრიდან დამნაშავისადმი სოლიდარობის გამოცხადებას ნიშნავს. ამ სინდრომის წარმოშობას ხელს უწყობს ხანგძლივი სერიოზული საფრთხე, რომელიც მსხვერპლის ჯანმრთელობას ან სიცოცხლეს ემუქრება, მოძალადის ხელში ყოფნისა და გაქცევის შანსის არარსებობის გრძნობა და რწმენა იმისა, რომ მოძალადე აფასებს მსხვერპლის ქცევას, აჯილდოებს მას "კარგი" საქციელისთვის და სჯის "ცუდისთვის".

*ქალის როლის ფაქტორი*

გოგონებს და ქალებს ხშირად შთააგონებენ, რომ მათ გვერდზე უნდა გადადონ თავიანთი საკუთარი ინტერესები და მხოლოდ სხვათა ინტერესებზე იზრუნონ. ისინი მზად უნდა იყვნენ, მსხვერპლი გაიღონ სხვისი გულისთვის და დაემორჩილონ სხვებს. ასეთ დოგმაზე აღზრდილი ქალი ძალადობის პრობლემას სხვაგვარად უდგება.

ჩვენს საზოგადოებაში გავრცელებული შეხედულების თანახმად, უერთიერთობის ხარისხსა და ჰარმონიულ ოჯახურ ცხოვრებაზე პასუხისმგებლობა სწორედ ქალს ეკისრება, რის გამოც მას კიდევ უფრო უჭირს იმის აღიარება, რომ ოჯახური ურთიერთობები მოწესრიგებული არ არის. გარდა ამისა, ქალს ეუფლება მარტოობისა და პარტნიორის გარეშე არასრულფასოვნების შეგრძნების შიში.

*მსხვერპლის უგულებელყოფა სოციალური გარემოს მიერ, საზოგადოებისაგან იზოლირება*

ძალადობის მსხვერპლის გარშემო არსებული სოციალური გარემო ართულებს მისდამი გულწრფელი თანაგრძნობის გამოხატვას და მისი პრობლემების გადაჭრას. ქალი, რომელიც ძლადობის მსხვერპლი გახდა და ცდილობს, თავისი პრობლემები სხვას გაანდოს, ხშირად მწარედ იმედგაცრუებული და გულდაწყვეტილი რჩება.

ამის ერთ-ერთი მიზეზი ისაა, რომ ასეთი ქალი ზოგიერთთათვის საკუთარი მავნებლობისა და დანაშაულის, ხოლო სხვათათვის საკუთარი სისუსტისა და მარცხის შეხსენების ფუნქციას ასრულებს. ამიტომ, ძალადობის მსხვერპლს უფრო ხშირად ჩვეულებრივი ოჯახური პრობლემების მქონე ადამიანად აღიქვამენ; თვლიან, რომ მისი ბრალია, მსხვერპლი რომ გახდა, ხოლო ზოგიერთი საერთოდ იგნორირებას უკეთებს იმ ფაქტს, რომ ასეთი ქალი ძალადობის მსხვერპლია.

ძალადობის მსხვერპლის პრობლემების იგნორირების ყველაზე უარესი ფორმა მომხდარში თვით დაზარალებულის დადანაშაულებაა. დაზარალებული ქალი ასე გამომწვევად რომ არ მოქცეულიყო, მაშინ მას არ შეურაცხყოფდნენ, არ სცემდნენ, არ გააუპატიურებდნენ. ასეთი დასკვნის გაკეთება, რომლის მიხედვითაც, რაც ძალადობის მსხვერპლს დაემართა, მისი პროვოცირებული იყო, ჩვენ თითქოს გვაზღვევს იმ საფრთხისაგან, რომლის წინაშეც ის აღმოჩნდა.

*ეკონომიკური დამოკიდებულება*

ეკონომიკური დამოკიდებულება წარმოადგენს ერთ-ერთ ყველაზე ძლიერ ფაქტორს, რაც ქალს აიძულებს, აიტანოს ძალადობაზე აგებული ურთიერთობა. ოჯახური ძალადობის პირობებში მცხოვრები ქალები, რომლებსაც აქვთ სხვაგან თავის შეფარებისა და სამუშაოს მოძებნის შესაძლებლობა, გაცილებით მარტივად თავისუფლდებიან მოძალადე პარტნიორებისაგან, ვიდრე ის ქალები, ვისაც ასეთი შესაძლებლობა არა აქვს.

## უცხო ქვეყნების კანონმდებლობა საკანონმდებლო სიახლეები

ოჯახური ძალადობის ფენომენის ფსიქოლოგიური და სამართლებრივი კვლევის შედეგებმა, რომლებმაც ამ პრობლემასთან ბრძოლის მანამდე არსებული მექანიზმების სრული უუნარობა წარმოაჩინა, მრავალი ქვეყნის კანონმდებლობის რადიკალურად შეცვლას მისცა ბიძგი.

თითოეულ ქვეყანაში, სადაც ოჯახური ძალადობის სფეროში რეფორმა განხორციელდა, სხვადასხვა ფორმით მოხდა: ზოგიერთ ქვეყანაში რეფორმა შემოიფარგლა მხოლოდ სამოქალაქო კანონმდებლობით, რომლითაც შემოღებული იქნა დამცავი ორდერების სისტემა და ახლებურად დარეგულირდა ოჯახური ძალადობის კონტექსტში ბავშვთან ურთიერთობის საკითხები; ზოგიერთ ქვეყანაში გაიზარდა ოჯახური ძალადობის შემთხვევაში დამცავი ორდერების გამოყენებისა და პოლიციის ჩარევის სიხშირე და ფარგლები; სხვაგან მოხდა სამოქალაქო და სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობის რეფორმა; ზოგიერთმა ქვეყანამ შექმნა ახალი დანაშაულის სახე ან მთელ რიგ დანაშაულთა დამამძიმებელ გარემოებებში გაითვალისწინა მათი ჩადენა ოჯახის წევრის მიერ და სხვა. თუმცა, არსებობს გარკვეული პრინციპების ერთობლიობა, რომელიც ყველა ამ ქვეყნისთვის საერთოა. ეს პრინციპებია:

*ოჯახური სფეროს ხელშეუხებლობის პრინციპი პიროვნული უსაფრთხოების პრინციპის წინააღმდეგ*

უპირველეს ყოვლისა, აღიარებულ იქნა, რომ მიუხედავად სახელმწიფოს ვალდებულებისა, პატივი სცეს და დაიცვას ოჯახური სფეროს ხელშეუხებლობა, ეს უფლება არ შეიძლება მოქმედებდეს მაშინ, როცა სახელმწიფოს ჩარევა აუცილებელია პიროვნების სიცოცხლისა და ფიზიკური უსაფრთხოების დასაცავად, განსაკუთრებით მაშინ, თუ ეს პიროვნება სოციალურად ან ფიზიკურად დაუცველია.

*ოჯახური ძალადობა – საჯარო ბრალდების დანაშაული*

თუ ადრე ოჯახური ძალადობის დანაშაულთა უმეტესობის გამო სისხლის სამართლის საქმის აღძვრა დამოკიდებული იყო მსხვერპლის მიერ სამართალდამცავი ორგანოებისადმი საჩივარით მიმართვაზე, ეს პრინციპი საწინააღმდეგო პრინციპით შეიცვალა. ოჯახური ძალადობის შემადგენელი დანაშაულები გახდა საჯარო ბრალდების დანაშაულები, რომელთა ჩადენის შემთხვევაშიც, სისხლის სამართლის საქმე აღიძვრება თვით დანაშაულის ჩადენის ფაქტის ძალით, მიუხედავად მსხვერპლის სურვილისა, უჩივლოს ან არ უჩივლოს მოძალადეს.

ასეთი მიდგომის წყალობით, ისეთი დაბრკოლებების გადალახვა ხდება, როგორიცაა მსხვერპლის პასიურობა, შიში და მოძალადისადმი სოლიდარობის გრძობა, რომლებიც, მრავალ ქვეყანაში, მათ შორის - საქართველოშიც, ხელს უშლის მოძალადის წინააღმდეგ საქმის აღძვრას. ასეთი მიდგომა საშუალებას იძლევა, აგრეთვე, არიდებულ იქნას მსხვერპლი დამატებითი ფსიქოლოგიური თუ ფიზიკური აგრესიისაგან, რომელსაც ხშირად იყენებს მოძალადე, რათა დაარწმუნოს იგი, არ მიმართოს სამართალდამცავ ორგანოებს.

*დამცავი ორდერი*

ამ ინსტიტუტის მიზანია, დაიცვას მსხვერპლი ძალადობის ან ძალადობის განმეორების საფრთხისაგან. მისი არსი იმაში მდგომარეობს, რომ ოჯახური ძალადობის შემთხვევაში, სახელმწიფოს ჩარევა გულისხმობდეს არა ძალადობის მსხვერპლისათვის თავდაცვის მიზნით საკუთარი საცხოვრებლის მიტოვების შეთავაზებას, არამედ მიმართული იყოს იმ პირის წინააღმდეგ, რომელიც საფრთხეს უქმნის ძალადობის მსხვერპლის უსაფრთხოებას.

მოძალადეს (და არა მსხვერპლს) მოეთხოვება, დაუყოვნებლივ დატოვოს სახლი (ბინა), რომელშიც იგი მსხვერპლთან ერთად ცხოვრობს, მიუხედავად იმისა, მოძალადე ამ სახლის მესაკუთრეა თუ არა და გარკვეული ხნის განმავლობაში (რომელსაც კანონი ადგენს ან სასამართლო განსაზღვრავს) არ დაბრუნდეს იქ. აგრეთვე, არ ჰქონდეს ურთიერთობა მსხვერპლთან. მოძალადეს ეკრძალება მსხვერპლთან მიახლოება გარკვეულ მანძილზე, მასთან სატელეფონო ან სხვა საშუალებებით დაკავშირების მცდელობა, მსხვერპლის სამუშაო ან საცხოვრებელ ადგილთან გარკვეულ დისტანციაზე მიახლოება ან სხვათა გამოყენება მასთან დაკავშირებისათვის.

სხვადასხვა ქვეყანაში აღნიშნული ინსტიტუტის დანერგვას თან ახლდა დისკუსია იმასთან დაკავშირებით, თუ რამდენად შეიძლება, მესაკუთრეს დაატოვებინონ საკუთარი სახლი (ბინა); ხომ არ წარმოადგენს ეს საკუთრების უფლების შეზღუდვას. თუმცა, საზოგადოება ერთხმად მივიდა იმ აზრამდე, რომ ძალადობის შემთხვევაში, როდესაც საფრთხე ემუქრება ადამიანის სიცოცხლეს ან ჯანმრთელობას, საკუთრების უფლების დაცვასთან შედარებით უპირატესი მნიშვნელობა უნდა მიენიჭოს სწორედ მათ დაცვას, რადგანაც ადამიანის სიცოცხლე და ჯანმრთელობა უფრო მაღალ საზოგადოებრივ ღირებულებას წარმოადგენს.

გარდა ზემოაღნიშნულისა, დამცავი ორდერის ინსტიტუტი მნიშვნელოვანია სხვა თვალსაზრისითაც. საქმე ისაა, რომ იმ ქმედებების სიმძიმე, რომლებიც ოჯახურ ძალადობას შეადგენს, ყოველთვის არ აღწევს იმ დონემდე, რომ ისინი დაკვალიფიცირებულ იქნას სისხლის სამართლის დანაშაულებად. ამ დროს არ ხდება მოძალადის წინააღმდეგ საქმის აღძვრა და პოლიციის მხრიდან მისი დაპატიმრება, ძალადობა კი განაგრძობს პროგრესირებას. აღნიშნულმა გარემოებამ გამოიწვია სამოქალაქო სამართლის ნორმებით პრობლემის დარეგულირების აუცილებლობა. ამ ნორმების შესაბამისად, ძალადობის მსხვერპლს, დამცავი ორდერის გამოცემის თხოვნით, შეუძლია მიმართოს სამოქალაქო სასამართლოს.

დამცავი ორდერი, რომელიც მოძალადეს აიძულებს, დროებით დატოვოს სახლი და უკრძალავს მსხვერპლთან ნებისმიერი სახის (უშუალო თუ არაპირდაპირ) ურთიერთობას, საშუალებას იძლევა, დაცული იქნას მსხვერპლი ისეთი ძალადობისას, რომელიც თავისი სიმძიმით დანაშაულს არ შეადგენს. აგრეთვე, თავიდან იქნას აცილებული პოლიციასთან უშუალო კონტაქტი.

დამცავი ორდერით სასამართლოს შეუძლია, აუკრძალოს მოძალადეს ისეთ ადგილებში მისვლა და დარჩენა, როგორიცაა საბავშვო ბაღი ან სკოლა (რომელშიც დადიან მისი ან მსხვერპლის შვილები) ან მსხვერპლის სამუშაო ადგილი. მოძალადეს, ასევე, შეიძლება მიეცეს მითითება, რომ თავი მოარიდოს ოჯახის სხვა წევრებთან შეხვედრას.

სასამართლოს მიერ შესაბამისი ბრძანების არსებობის შემთხვევაში, მოპასუხეს ეკრძალება მოსარჩელის საცხოვრებელ სახლში (ბინაში) შესვლა ან დარჩენა თუნდაც მოსარჩელის ან მასთან მცხოვრები პირების თანხმობის არსებობის შემთხვევაში. დამცავი ორდერის პირობების დარღვევა აკრძალულია ნებისმიერი მიზეზით.

დამცავი ორდერები დანერგილია ამერიკის შეერთებულ შტატებსა და ევროპის ისეთ ქვეყნებში, როგორიცაა: ავსტრია, ესპანეთი, ფინეთი, შვედეთი.

მოძალადის იძულება, დროებით დატოვოს სახლი და არ ჰქონდეს ურთიერთობა მსხვერპლთან, საშუალებას იძლევა, განიმუხტოს დაძაბულობა და ორივე მხარეს მიეცეს მომხდარის გაანალიზების შესაძლებლობა. ამასთან, მსხვერპლი იძულებული არ არის, თავდაცვის მიზნით თავშესაფარი ეძიოს მშობლებთან, მეგობრებთან ან ნებისმიერ სხვა ადგილას. ის გარემოება, რომ ქალს, უმეტეს შემთხვევაში, ბავშვით (ბავშვებით), წასასვლელი არსად აქვს, ხშირ შემთხვევაში მისი მხრიდან ძალადობის ყოველგვარი გამოვლინების მოთმენის საფუძველი ხდება.

*ბავშვზე მეურვეობის საკითხის გადაწყვეტა*

ოჯახური ძალადობის შემთხვევაში და მისგან გამომდინარე დავების განხილვის დროს, განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა მოძალადე მშობლის ბავშვთან ურთიერთობის საკითხს, რადგან სამეცნიერო კვლევებით დადასტურებულია, რომ ძალადობა ოჯახში სეროზულ გავლენას ახდენს ბავშვზე, მიუხედავად იმისა, არის თუ არა იგი ამ ძალადობის უშუალო ობიექტი.

ამერიკის შეერთებულ შტატებში ნებისმიერი საქმის განხილვისას, რომელიც ეხება ბავშვზე მეურვეობის საკითხის გადაწყვეტას, სასამართლოს მიერ ოჯახური ძალადობის შესახებ ინფორმაციის მიღება წარმოშობს პრეზუმფციას, რომ მოძალადე პირის სრულ მეურვეობაში ან მასთან ერთობლივ კანონიერ ან ფიზიკურ მეურვეობაში ბავშვის გადაცემა ბავშვისთვის საზიანოა და ეწინააღმდეგება მის ინტერესებს.

ისეთი საქმეების განხილვისას, სადაც წყდება ბავშვზე მეურვეობის ან რომელიმე მშობლის მიერ ბავშვის მონახულების საკითხები, სასამართლოს განკარგულებაში ოჯახური ძალადობის შესახებ ინფორმაციის არსებობისას, სასამართლომ გადაწყვეტილება უნდა მიიღოს მოძალადის მხრიდან ოჯახური ძალადობის შემადგენელი დანაშაულის ან დარღვევის სახისა, სიმძიმისა და საზოგადოებრივი საშიშროების ხარისხის გათვალისწინებით. სასამართლომ მხოლოდ მაშინ შეიძლება დართოს მოძალადე მშობელს ბავშვის ნახვის ნება, თუ ბავშვისა და მეორე მშობლის უსაფრთხოების ზომები დაცულია. მიუხედავად იმისა, ნებადართულია თუ არა ბავშვის მონახულება, სასამართლოს შეუძლია გაასაიდუმლოოს როგორც ბავშვის, ისე დედის მისამართი. თუ სასამართლო ოჯახის რომელიმე წევრს ბავშვის მონახულების დროს ზედამხედველობის ნებას დართავს, მან თავის გადაწყვეტილებაში დეტალურად უნდა განსაზღვროს ბავშვის მონახულების წესები.

აშშ-ს მრავალ შტატში შექმნილია ბავშვთა მონახულების სპეციალური სახელმწიფო დაწესებულებები, სადაც მოძალადე მშობლებს საშუალება ეძლევათ, ბავშვები ზედამხედველობის ქვეშ მოინახულონ, რათა თავიდან იქნას აცილებული შემდგომი ძალადობის ყოველგვარი საფრთხე.

მრავალ ქვეყანაში, არა მხოლოდ ბავშვთან მოძალადე მშობლის ურთიერთობის, არამედ ოჯახური ძალადობის მსხვერპლ ბავშვთან სამართალამცავი ორგანოების, ფსიქოლოგთა და მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოების ურთიერთობის, ბავშვისათვის ჩვენების ჩამორთმევის, სასამართლო პროცესზე მისი მოწმედ გამოყვანისა და მთელი რიგი სხვა საკითხები სპეციალური კანონით ან ნორმებით რეგულირდება.

## საქართველოს კანონმდებლობა

ქართული კანონმდებლობის ანალიზი გვიჩვენებს, რომ ოჯახურ ძალადობასთან დაკავშირებულ დანაშაულთა უმეტესობა, თუ ისინი განსაკუთრებით მძიმე შედეგით არ სრულდება, მიეკუთვნება ნაკლებად მძიმე დანაშაულთა კატეგორიას, რომელთა ჩადენისთვისაც დამნაშავე ისჯება ჯარიმით, თავისუფლების შეზღუდვით ან ტუსაღობით რამდენიმე თვით ან თავისუფლების აღკვეთით არა უმეტეს ერთი წლისა. ამასთან, დამკვიდრებული სასამართლო პრაქტიკის ანალიზის შედეგად, ირკვევა, რომ აღნიშნულ დანაშაულთა უმეტესობის ჩადენაში დამნაშავე პირებს, ძირითადად, პირობითი სასჯელი ენიშნებათ.

ამავე დროს, ზემოაღნიშნულ დანაშაულთა უმეტესობა მიეკუთვნება კერძო ან კერძო-საჯარო ბრალდების დანაშაულებს, რაც იმას ნიშნავს, რომ მათ შესახებ სისხლის სამართლის საქმე აღიძვრება მხოლოდ დაზარალებულის საჩივრით. ამასთან, კერძო ბრალდების საქმეები შესაძლებელია შეწყდეს ბრალდებულთან დაზარალებულის შერიგებით.

კერძო-საჯარო ბრალდების საქმეები ბრალდებულისა და დაზარალებულის შერიგების გამო არ წყდება, მაგრამ კანონმდებელი აქაც უშვებს გამონაკლისს და ითვალისწინებს ასეთი საქმეების შერიგებით შეწყვეტის შესაძლებლობას, როცა საქმის შემდგომმა გამოძიებამ შეიძლება ზიანი მიაყენოს როგორც დაზარალებულის, ისე ბრალდებულის ინტერესებს. "დაზარალებულისა და ბრალდებულის ინტერესებისადმი ზიანის მიყენება" მეტად ბუნდოვანი ტერმინია, რაც საქმის შესაწყვეტად მისი გამოყენების ხელსაყრელ საშუალებას იძლევა. ეს გარემოებები, სხვა ფაქტორებთან ერთად, არსებით უარყოფით ზეგავლენას ახდენს საგამოძიებო ორგანოსა თუ სასამართლოში ოჯახურ ძალადობასთან დაკავშირებული საქმეების წარმოებაზე.

კანონმდებლის მიერ აღნიშნულ დანაშაულებზე სისხლის სამართლის საქმის აღძვრისათვის დაზარალებულის საჩივრის არსებობის აუცილებლობის დაწესება იწვევს იმას, რომ აღნიშნული საქმეების აღძვრა ან საერთოდ არ ხდება, ან აღნიშნული საქმეები აღძვრის შემდეგ იხურება დაზარალებულის მიერ საჩივრის უკან წაღების, ბრალდებულისა და დაზარალებულის ძშერიგების" შედეგად.

თუ გავითვალისწინებთ ოჯახური ძალადობის მსხვერპლის ფსიქოლოგიურ მდგომარეობას, მის შიშს, დამნაშავისადმი მისი სოლიდარობის სინდრომს, მისი უსაფრთხოების დაცვის მექანიზმების არარსებობას, ნათელი გახდება, რომ მსხვერპლთა უმეტესობა მრავალ ფაქტორთა ზეგავლენით სრულიადაც ვერ იქნება განწყობილი მოძალადის წინააღმდეგ საჩივლელად.

მსხვერპლის ინიციატივაზე დაყრდნობა ოჯახური ძალადობის დანაშაულებთან დაკავშირებით სისხლის სამართლის საქმის აღძვრისას კანონმდებლის შეცდომაა, რაც მრავალი ქვეყნის გამოცდილებით დადასტურდა.

ოჯახურ ძალადობასთან დაკავშირებული საქმეების წარმოებას საგამოძიებო ორგანოსა თუ სასამართლოში ხელს უშლის, აგრეთვე, ხშირ შემთხვევაში დანაშაულის შესახებ დაზარალებულისა და/ან მოწმეთა ჩვენებების უქონლობა. სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის თანახმად, დაზარალებული და მოწმე ჩვენების მიცემაზე უარის თქმისათვის პასუხს არ აგებენ, თუ ისინი ბრალდებულის ახლო ნათესავები არიან, ოჯახურ ძალადობასთან დაკავშირებული სამართალწარმოებისას, აქტიურ ხელისშემშლელ ფაქტორს წარმოადგენს. ჩვენების არმიცემის უფლების არსებობის გამო მოკვლევისა და გამოძიების ორგანოები და სასამართლო მუდმივად დგას დანაშაულის შესახებ მტკიცებულებათა არასაკმარისობის პრობლემის წინაშე.

ოჯახური ძალადობის საქმეთა გამოძიების პროცესში მნიშვნელოვანი დამაბრკოლებელი ფაქტორია, აგრეთვე, ოჯახური ძალადობის მსხვერპლთა და მოწმეთა უსაფრთხოების დაცვის მექანიზმის გაუმართაობა. ისეთ პირობებში, როცა ადამიანების პირადი უსაფრთხოება და ხელშეუხებლობა უზრუნველყოფილი არ არის, მათი მხრიდან აქტიურობის გამოჩენის მოლოდინი ვერც სამართალდამცავ ორგანოებს და ვერც საზოგადოებას ვერ ექნება.

საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული არ არის, აგრეთვე, ოჯახური ძალადობის მსხვერპლთათვის უფასო სამედიცინო, ფსიქოლოგიური და იურიდიული დახმარების სამართლებრივი საფუძვლები. სათანადო სამართლებრივი საფუძველი არ არსებობს ოჯახური ძალადობის მსხვერპლთა განთავსებისა და დახმარების დაწესებულებების – თავშესაფრების მოსაწყობად.

ოჯახური ძალადობის პრობლემასთან მიმრთებაში, ასევე, არაადეკვატურია საქართველოს სამოქალაქო კანონმდებლობა. სამოქალაქო და სამოქალაქო საპროცესო კოდექსები არ შეიცავს დებულებებს, რომლებიც ოჯახური ძალადობიდან გამომდინარე, მთელი რიგი საკითხების სამოქალაქო წესით გადაწყვეტას შესაძლებელს გახდიდა.

ყოველივე ზემოაღნიშნული ნათელს ხდის, რომ მოსაზრებები ოჯახური ძალადობის სფეროში საქართველოს კანონმდებლობის სრულყოფილების შესახებ, არასწორია. ამ მოსაზრებების ქვაკუთხედად არსებული არგუმენტი, რომ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის შესაბამისი მუხლების შინაარსი ოჯახში მომხდარი დანაშაულებს მთლიანად მოიცავს, კანონმდებლობის ეფექტურობის დამადასტურებელ საკმარის არგუმენტად ვერ გამოდგება. აუცილებელია, ძალადობის მსხვერპლის უფლებების დაცვის პოზიციიდან, ქართული კანონმდებლობის ძირეული რეფორმის გატარება, რათა იგი ოჯახური ძალადობის ფენომენის წინააღმდეგ ბრძოლის ეფექტურ საშუალებად იქცეს.

სტატია მომზადებულია აშშ-ს საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) და მერილენდის უნივერსიტეტის IRIS Centeri ის ფინანსური მხარდაჭერით (ხელშეკრულება N114-C-00-01-00136-00). სტატიაში გამოთქმული მოსაზრებები ეკუთვნით ავტორებს და შესაძლოა, არ ემთხვეოდეს USAID ის თვალსაზრისს.

გადამდები საუბარი ლიტერატურაზე



B2

"მის საქართველო" თეატრ "ნაბადში" აჭარულს სწავლობს



B3

"იაშვილი ბოლო წლების ყველაზე სახიფათო ფორვარდია"



B4

# ორი მსოფლიო პრემიერა ნოემბერში




მას შემდეგ, რაც ჰოლივუდმა ტროას თემა დიდ ბლოკბასტერად ჩამოფქვა, ალექსანდრე მაკედონელსაც მიადგა და ისიც ჩამოფქვა. განსხვავება მხოლოდ რეჟისორებშია - "ალექსანდრე დიდი" ოლივერ სტოუნმა გადაიღო.

მეორე გრანდიოზული მსოფლიო პრემიერა, რომელსაც ჰოლივუდი უახლოეს მომავალში გამართავს, "ბრიჯიტ ჯონსის დღიურია", უფრო სწორად, მისი მეორე ნაწილი სათაურით Edge of Reason.

B8

## „ნისანის" ევროპული სიახლეები



B6

## ახალი „სონატა" პარიზში აჟღერდა



## განახლებული „აუდი A4"




# ვარდისფერი და გრილი შემოდგომა-ზამთარი

ქალურობისა და სილამაზის შესანარჩუნებლად



B5





B2 რევიუ B3 რევიუ B4 სპორტი B5 სპორტი B6 ავტომობილი B7 სხვადასხვა B8 სხვადასხვა



# აფიშა

## თეატრები

**მიხეილ თუმანიშვილის სახელობის კინომსახიობთა თეატრი**
დავით კლდიაშვილი
"ბაკულას ღორები"
დამდგმელი რეჟისორი: მიხეილ თუმანიშვილი
დას: 19:00 სთ.

**თეატრალური სარდაფი რუსთაველზე**
ნინო ბასილია
"თაგვი"
რეჟისორი: ლევან წულაძე
დას: 20:00 სთ.

**თეატრალური სარდაფი ვაკეში**
პიერ ბომარშე
"ფიგაროს ქორწინება"
რეჟისორი: ლევან წულაძე
დას: 19:00 სთ.

**თავისუფალი თეატრი**
მოლიერი
"დონ ჟუანი"
რეჟისორი: ალექსი ჯაყელი
ფასი: 3 და 5 ლარი
დას: 19:00 სთ.

**ვერიკო ანჯაფარიძის სახელობის ერთი მსახიობის თეატრი**
"ლიფტში"
კითხულობს მალხაზ აბულაძე.
რეჟისორი: გიორგი სიხარულიძე
ფასი: 3 ლარი
დას: 18:00 სთ.

**ტრაგიკომედიის თეატრი**
"VENCEREMOS ანუ ჩვენ გავიმარჯვებთ"
ფასი: 5 ლარი
დას: 18:00 სთ.

**პანტომიმის თეატრი**
გურამ დოჩანაშვილი
"ფიროსმანი"
დადგმა: ამირან შალიკაშვილი-უმცროსი
დას: 19:00 სთ.

## კინოთეატრები

**ამირანი**
"ტერმინალი"
დას: 17:00; 19:30; 22:00 სთ.

"ქალი კატა"
დას: 13:00; 15:00 სთ.

## გამოფენები

**ქარვასლა**
"ყალბი ამბები"
(გამოფენა ქართულ-შვედური კულტურის ფესტივალის ფარგლებში)
გახსნა: 17:00 სთ.

**გოეთეს ინსტიტუტი**
"ცეკვის თეატრი დღეს - ცეკვის 30-წლიანი ისტორია გერმანიაში".

**TMS**
ფოტოგამოფენა "როგორ ვიცხოვროთ ერთად"

**ბაია გალერეა**
ნანა & ლალი
ნანა ჭურღულიას და ლალი ლომთაძის ნამუშევრების გამოფენა

**ძველი გალერეა**
დავით მელიქიშვილის ნამუშევრების გამოფენა

**ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმი**
"ძველი თბილისი სახვით ხელოვნებაში"

**თანამედროვე ხელოვნების გალერეა**
თბილისური შემოდგომა
(ფერწერა)

**ხელოვნების საერთაშორისო ცენტრი**
"უძველესი საქართველო ევროპისა და აზიის გზაჯვარედინზე"
გამოფენა-გაყიდვა

**ვერნისაჟი**
ვატი დავითაშვილის ნამუშევრების გამოფენა

**სურათების ეროვნული გალერეა**
დავით ჯაფარიძის ხსოვნისადმი მიძღვნილი მემორიალური გამოფენა
(ფერწერა, ქართული გობელენი, ბატიკა)

**ჰობი**
თანამედროვე ქართველ მხატვართა ნამუშევრების გამოფენა
(ფერწერა, გრაფიკა)

**ცირკი**
რუსეთის საცირკო პროგრამა. ნაჩვენები იქნება ხუთი კონტინენტის 89 სახეობის ცხოველი.
ფასი: 3-7 ლარი
ლოჟა: 15 ლარი
დას: 15:00 სთ.

**ლიტერატურული შეხვედრები**
**"კაფე გოეთე"**
ლიტერატურული საღამო
შეხვედრა ბასტიან ბიოტხერთან
(ავტორი წაიკითხავს საკუთარ ნაწარმოებებს)
დას: 17:00 სთ.

## კლუბები

**ნოა ნოა**
"ლაიტმოტიფი"
(საცეკვაო, პოპი, ჯაზ-როკი)
დას: 22:00 სთ.

*დაგეგმილი ღონისძიებების შესახებ შეგიძლიათ მოგვაწოდოთ ინფორმაცია ელექტრონულ მისამართზე: culture@24hours.ge*

# "ქარი კავკასიიდან" ისევ დაუბერავს

თეონა ჯაფარიძე

*5-იდან 15 ნოემბრამდე "არტ-ვილა გარიყულა" საერთაშორისო სიმპოზიუმსა და ვორკშოპს უმასპინძლებს. პროექტის სახელწოდებაა "ქარი კავკასიიდან" და ის ქართულ-რუსული კულტურული ურთიერთობების განვითარებისთვისაა შექმნილი.*



პროექტის ავტორები რუსეთთან ურთიერთობის ყველაზე დახვეწილ, საინტერესო და მრავალგზის აპრობირებულ მეთოდს გვთავაზობენ: - ეს რუს ინტელექტუალებთან ურთიერთობაა, სადაც ნდობის ფაქტორი ორივე მხრიდან გაცილებით უფრო დიდი, რეალური და გულწრფელია, ვიდრე, მაგალითად, კახეთში ხაშლამასა და მწვადებზე ნაქეიფარ რუსულ მასმედიაზე აწყობილი დროებით, ერთჯერადი მეგობრობა.

"ეს არ არის ჩვენი პრიორიტეტი" - განაცხადა ფონდ "ღია საზოგადოება საქართველოს" (სოროსის ფონდის) აღმასრულებელმა საბჭომ, მას შემდეგ რაც პროექტი წარმატებით გავიდა ამავე ფონდის კომისიიის წინაშე. "დარწმუნებული ვარ იგივე პროექტი ფონდის ნიუ იორკის ოფისისათვის რომ წარმედგვინა, აუცილებლად პრიორიტეტულობა მიენიჭებოდა სწორედ "რუსეთთან კულტურული ურთიერთობების გაუმჯობესების" გამო. შემიძლია კიდევ ერთი არგუმენტიც მომეყვანა: მაგალითად, დასავლეთში მხატვრისა და ფონდების ურთიერთობა გაცილებით გამარტივებულია. მხატვარს, რომელსაც რამდენიმე პროექტი ამ ფონდის დახმარებით წარმატებულად აქვს განხორციელებული, უკვე უფლება ეძლევა უპრობლემოდ გააკეთოს ნამუშევრები ისევ და ისევ ფონდის დახმარებით. ბოლო წუთებში "სოროსის" მხრიდან დაფინანსებაზე უარის გამო, პროექტიდან ბევრი ღონისძიება ამოვიღეთ, მაგრამ ის მაინც განხორციელდება" - ამბობს პროექტის დირექტორი, მხატვარი **ილიკო ზაუტაშვილი.**

რაც ყველაზე საოცარია, პროექტის ძირითადი დაფინანსება თავის თავზე რუსულმა მხარემ, თანაც ოფიციოზმა აიღო და იმ კატეგორიის მხატვრებისა და ხელოვნების კრიტიკოსების საქართველოში გამომგზავრებაზე იზრუნა, რომლებიც ცნობილი არიან თავიანთი ოპოზიციური განწყობით რუსეთის მთავრობის მიმართ და როგორც ილიკო ზაუტაშვილი ამბობს, - "ჩვენი თანამოაზრენი არიან პოლიტიკურად და ესთეტიკურადაც". გარკვეული თანხები პროექტისათვის საქართველოს კულტურის, სპორტისა და ძეგლთა დაცვის სამინისტრომაც გაიღო.

პროექტის მოკლე აღწერა კი ასეთია: "ქართულ-რუსული კულტურული ურთიერთობების წყვეტა ნეგატიურად აისახება ქვეყნებს შორის ურთიერთობის დიალოგზეც. **დღეს ორივე მხარეს უხდება ერთმანეთის ხელახალი აღმოჩენა დადებითი ნიშნით**. პროექტი მოიცავს სიმპოზიუმებს, შემოქმედებით პროცესს (ვორკშოპი), რომელსაც ქართველ მხატვრებთან ერთად მოსკოვიდან მოწვეული მხატვრები, ხელოვნებათმცოდნეები, გალერისტები და ფოტოგრაფები განახორციელებენ. პროექტის მონაწილეთა ნუსხა ასეთია: ლევან ჭოღოშვილი, თამუნა ათანელი, ნინა კატიოლი, (რუსეთი), ოლეგ ტიმჩენკო, გურამ წიბახშვილი, ნიკო ცეცხლაძე, ვლადიმირ სოლნიკოვი (რუსეთი), მურთაზ შველიძე, გაი არჩერი (აშშ), ჰანს ჰაინერ ბური (გერმანია), ევგენი ნესტოროვი (რუსეთი), ნატაშა ვორჩოლაკი (პოლონეთი). პროექტს საქართველოდან მხატვრები - **ყარამან ქუთათელაძე** და **ილიკო ზაუტაშვილი**, ხოლო რუსეთის მხრიდან ცნობილი ხელოვნებათმცოდნე - **ლეონიდ ბაჟანოვი** (რუსეთის თანამედროვე ხელოვნების ეროვნული ცენტრი) ხელმძღვანელობს.

და კიდევ ერთი საყურადღებო ფაქტი პროექტის კონცეფციისათვის: პროექტის სათაური უკავშირდება ანდრეი ბელის ნაწარმოებს "ქარი კავკასიიდან", რომელიც მწერალმა თავის მოგზაურობას საქართველოში და რუსული ინტელექტუალური ელიტის მიერ საქართველოსა და ქართული ფენომენის აღქმას დაუკავშირა.

პროექტის პარტნიორი ორგანიზაციები არიან: "თანამედროვე ხელოვნების მუზეუმი" (მოსკოვი), "შიდა ქართლის კულტურული მემკვიდრეობის აღორძინებისა და განვითარების ფონდი" და "არტ-ვილა გარიყულა".

# გადამდები საუბარი ლიტერატურაზე

## ლაშა თაბუკაშვილის სამაგიდო წიგნები

თამარ სუხიშვილი

"ჩემი სამაგიდო წიგნები" - ასე ჰქვია მწერალ ზაალ სამადაშვილის ლიტერატურული შეხვედრების ახალ ციკლს, რომელიც ამიერიდან "წიგნის სახლში" ყოველ ხუთშაბათს, საღამოს ხუთ საათზე გაიმართება. ახალი ხუთშაბათობები ძველი ("სარდაფისეული" და "წიგნის სახლისეული") ხუთშაბათობებისგან თემატურად განსხვავდება. როგორც შეხვედრების მასპინძელმა აღნიშნა, თემატური თავისუფლება შეზღუდული იქნება, თუმცა ეს შეზღუდვა, რა თქმა უნდა, პირობითია. შერჩეული თემა თავისთავად უკვე მრავლისმომცველია.

პირველი შეხვედრის სტუმარი ნუგზარ შატაიძე იყო, გუშინ კი ზაალ სამადაშვილმა თავისი მეგობარი, მწერალი ლაშა თაბუკაშვილი აუდიტორიას დაახლოებით ასეთნაირად წარუდგინა: ის არა მარტო საინტერესო ავტორია, არამედ ის ადამიანიც, რომელიც გადამდებად საუბრობს ლიტერატურაზე, რომელსაც შეუძლია თავისი საყვარელი ნაწარმოებიდან 7-8-ფურცლიანი ეპიზოდი წაიკითხოს ზეპირად და, უბრალოდ, კაცი, რომელსაც ლიტერატურა უყვარსო.

გუშინდელი დღე წიგნზე საუბრისათვის, მართლაც, ზედგამოჭრილი იყო, წვიმიანი და ოდნავ დეპრესიული. შეიძლება ნაწილობრივ ამიტომაც ამოტივტივდა მწერლის ლიტერატურულ მეხსიერებაში ესენინის, მაიაკოვსკისა თუ გალაკტიონის თვითმკვლელობის ფაქტები, სასოწარკვეთილებისა თუ ბედისწერასთან ბრძოლის მოტივები...



ლევან ხერხეულიძის ფოტო

ლაშა თაბუკაშვილის მსმენელებს ცოტა ხანში "წიგნის სახლში" შემთხვევით შემოსული მყიდველ-დამთვალიერებელიც შეუერთდა. მწერლის მოგონებებმა, ასოციაციებმა თუ ლიტერატურულმა პარალელებმა ისინიც ისე ჩაითრია, რომ გარს შემოეხვივნენ და შინ წასვლას აღარ ჩქარობდნენ.

ლექციას არ წაგიკითხავთ, ეს ჩემი გულისნადების გაზიარება იქნება, - გვითხრა შეხვედრის დაწყების წინ სტუმარმა და მწერალსა და მკითხველს შორის კონტაქტიც ბუნებრივად გაიბა.

ლაშა თაბუკაშვილი ბევრ რამეზე გვესაუბრა, მწერლისა და მკითხველის დამოკიდებულებაზე, იმ უხილავ კონტაქტზე, რომელიც რაღაცით აღსარებას ჰგავს, რომელზეც მწერალი არასოდეს ფიქრობს წერის დროს და რომელიც ავტორისთვისაც და მკითხველისთვისაც ძალიან მნიშვნელოვანია, თუ ერთს მაინც "გულზე მოხვდება და ეს ეყოფა გამოსარჩლებად". სულ რაღაც საათნახევარში მწერალმა არაერთი ლიტერატურული პარალელი გადაგვიშალა: მაგალითად, ლუსიენის დატირების ეპიზოდი ბალზაკის "კურტიზანთა სიღატაკე და ბრწყინვალებიდან" და ჰემინგუეის "მშვიდობით, იარაღოს" ფინალი (იმის საჩვენებლად, თუ როგორ შეიძლება აღწეროს მწერალმა ერთი და იგივე ფაქტი და თქვას ერთი და იგივე სათქმელი ვრცლად და მოკლედ). მერე ისიც გვიამბო, თუ როგორ წაიკითხა პირველად დოსტოევსკი და როგორი შთაბეჭდილება დატოვა მასზე "სამმა მუშკეტერმა" (ამ წიგნის სუნიც კი დამამახსოვრდაო), როგორ შემოვიდა მის ცხოვრებაში ცივი და ცინიკური სტენდალი, რომელსაც პროსპერ მერიმე "ცუდ სტილისტად" თვლიდა და ბევრი სხვაც.

სამაგიდო წიგნი მაინცდამაინც ის კი არაა, რომელიც მაგიდაზე გიდევს ან ძილის წინ კითხულობ, სამაგიდო წიგნი ისაა, რომელიც ამოგიტივტივდება გონებაში ყველაზე მძიმე ჟამს, - ამბობს ლაშა თაბუკაშვილი და იქვე დასძენს, - ხშირად ნაწარმოების კითხვის დროს ვერც კი ხვდები, რა გაჩუქა მწერალმა, და ამას წლების მერე აღმოაჩენ ხოლმე. როცა ვაჟას ვკითხულობდი, მეგონა, რომ ჩემი საყვარელი პერსონაჟები ალუდა ქეთელაური და ზვიადაური იყვნენ, მერე მივხვდი, რომ ჯოყოლა ყოფილა ("იტირე?! მადლი გიქნია, მე რა გამგე ვარ მაგისა?..")

დაბოლოს, მწერლის რჩევა: თუ დიდი ხანია არ წაგიკითხავთ, კიდევ ერთხელ უსათუოდ წაიკითხეთ "მობი დიკი" - "პირველ წაკითხვაზე ამ რომანში ბევრი რამ გამოვტოვე, თუნდაც ვეშაპის ანატომია, ჰერმან მელვილის ტრაქტატები. მაგრამ დგება ასაკი, როდესაც აღარ გამოტოვებ..."

თქვენი არ ვიცი და პირადად მე ახლავე გადმოვიღებ სტენდალსაც, ბალზაკსაც, მელვილსაც და წავიკითხავ, - მსმენელს მიუბრუნდა ზაალ სამადაშვილი. შინ რომ მივალ, მეც ასე მოვიქცევი. ბატონი ლაშა მართლაც რომ გადამდებად საუბრობს ლიტერატურაზე...

# ვიცხოვროთ ერთად!

ნია ნუცუბიძე

ბრიტანეთის საბჭო და "ბრითიშ პეტროლიუმი", სამიდან შვიდ ნოემბრამდე, გალერეა TMS-ში წარმოგიდგენთ ფოტოგამოფენას - "როგორ ვიცხოვროთ ერთად". თუმცა, ერთად ცხოვრებისთვის შეკითხვის დასმა არც არის საჭირო, უბრალოდ, მეგობრობას, ურთიერთგაგებას და სიყვარულს ეს თავისთავად მოაქვს. ალბათ, იგივე გრძნობები დაეუფლა ბრიტანელ ფოტოგრაფს ენ დოჰერთს, რომელიც რამდენიმე წლის წინ სომხეთსა და აზერბაიჯანს ესტუმრა და გაკვირვებული დარჩა ადგილობრივი ხალხის მშვენიერი გარეგნობით და ხასიათით. სამხრეთ კავკასიის სამივე ქვეყნის ბრიტანეთის საბჭოს ოფისებში წარმოიქმნა აზრი, რომ დოჰერტის ფოტოების გამოფენა მძლავრი საშუალება იქნებოდა ხალხისთვის ამ სამ ქვეყანას შორის არსებული მსგავსების და არა განსხვავების საჩვენებლად. 2003 წელს გამოფენა სახელწოდებით - "სამხრეთ კავკასია - მსგავსი ხასიათები" ნაჩვენები იქნა საქართველოში, სომხეთსა და აზერბაიჯანში.



ვახო ბესელიას ფოტო

ამ შემთხვევის წყალობით, ენ დოჰერთი საქართველოში ჩამოვიდა და ერთგვარი შემოქმედებითი ტრილოგიის დასასრულებლად სომხეთსა და აზერბაიჯანში გადაღებულ ფოტოებს ქართული ფოტოებიც დაუმატა.

ამ პროექტის განსახორციელებლად, თბილისში ექვსი ახალგაზრდა ფოტოგრაფი შეიკრიბა, ორ-ორი თითოეული ქვეყნიდან, რათა გამოფენისთვის მასალა შეეგროვებინათ. ფოტოგრაფების ჯგუფი თბილისში, მარნეულსა და სამხრეთ ოსეთში მუშაობდა. გალერეა TMS-ში წარმოდგენილ ლიზა ოსეპაშვილის, ირინა კურმაევას, სიტარა იბრაჰიმოვას, დავით ჰაკობიანის, ვაჰე გევორგიანისა და რაფაილ შაკიროვის ნამუშევრებს გამოფენის გახსნაზე საკმაოდ მრავალრიცხოვანი დამთვალიერებელი ჰყავდა, ძირითადად, დიპლომატიური კორპუსის წარმომადგენლების, ფოტოხელოვანების, და, საერთოდ, გამოფენების მოყვარულთა სახით.

ირინა კურმაევასთვის ასეთი მასშტაბის რეპორტაჟი პირველი გახლდათ - "ადრეც გადამიღია რეპორტაჟები, მაგრამ მთელი საქართველოს ფარგლებში ჩემთვის ახალი და ძალზედ საინტერესო იყო; დიდი სიამოვნებით მივიღებდი მონაწილეობას კვლავ მსგავს პროექტში", - გვიხსნის ფოტოხელოვანი.

საქართველოში ბრიტანეთის საბჭოს დირექტორის - ჯო ბაკოვსკის თქმით, მათი შემდგომი პროექტი უკვე თეატრს და კინოს მიეძღვნება.

მაშ, ნუღარ შეგვეპარება ერთმანეთში ეჭვი - როგორ ვიცხოვროთ ერთად?! უბრალოდ, მოდით, ვიცხოვროთ ერთად!

# ვარდისფერი და გრილი შემოდგომა-ზამთარი

## ქალურობისა და სილამაზის შესანარჩუნებლად

ვერა ნეფარიძე

*გუშინ საღამოს დიზაინერ ნანა შუკვანის მოდის რიგით მესამე თბილისურ ჩვენებაზე "ბიზნესცენტრში" ქართული მოდის გულშემატკივრები შეიკრიბნენ. "შემოდგომა-ზამთარი 2004-2005"-ში გამოყენებული ბევრი ფერის მიუხედავად, პოდიუმზე აპლოდისმენტებით მაინც მუქ კოსტიუმებს ხვდებოდნენ. თუმცა, ყველაფერს თბილისელების შავისა და ნაცრისფერისადმი ლტოლვას ვერ დავაბრალებთ - დიზაინერის ნამუშევრებიდან მუქი კოსტიუმები აშკარად უკეთესი იყო.*



*ბიზნესცენტრში გუშინ ნანა შუკვანის რიგით მესამე თბილისური ჩვენება გაიმართა.*

ჩვენების დაწყებამდე დარიგებული პრესრელიზით გავარკვიე, რომ დიზაინერს ასპარეზზე გამოსვლის ხუთწლიანი გამოცდილება ჰქონია. ვიდრე ქართული მოდის სივრცეში გამოჩნდებოდა, ნანა შუკვანი დიდხანს ცხოვრობდა ინგლისში; საკუთარი თვალით ჰქონია ნანახი ყველა ცნობილი დიზაინერის მოდის სახლი. წლების განმავლობაში ოფიციალურ სამსახურებში უმუშავია, მაგრამ თვითრეალიზაციისთვის საუკეთესო საშუალება მოდის სფერო აღმოჩნდა.

ნანა შუკვანს აქამდე თბილისში ორჯერ ჰქონდა ჩვენება. "შერატონ-მეტეხი პალასში" - "შემოდგომა-ზამთარი 2002-2003" და შარშან, ერთ-ერთი დისკოთეკის გახსნაზე - "გაზაფხული-ზაფხული 2003". დიზაინერი განსაკუთრებით არც ერთ სტილს ანიჭებს უპირატესობას და მისთვის ნებისმიერი სტილია მისაღები. შუკვანის გუშინდელი ჩვენების თემა ელეგანტური ქალი იყო. კოლექციაში დიზაინერი კლასიკურ სტილზე, საღამოს კაბებზე იყო აქცენტირებული. ამ ჩვენებისთვის ნანა შუკვანის ატელიეში სამი თვის განმავლობაში სამოცი კოსტიუმი შეიკერა; აქედან ოცი საღამოს კაბაა. დიზაინერმა გამოიყენა თითქმის ყველა ქსოვილი: შალი, აბრეშუმი, ტვიდი, შიფონი და სხვა კლასიკური ფაქტურები. ჩვენების დაწყებამდე ვიცოდით, რომ დიზაინერმა ამ კოლექციის დამზადებისას ბუნებაში არსებული ყველა ფერი გამოიყენა. კოსტიუმებთან ერთად კი, ნანა შუკვანმა ჩანთები, ქუდები და ხელთათმანებიც შესთავაზა თბილისურ პუბლიკას.

"შევუნარჩუნო ქალებს სილამაზე და ქალურობა", - ამ დევიზით ქმნიდა თურმე დიზაინერი კოლექციას, რომელიც ერთსაათიანი ჩვენების განმავლობაში ქართული პოდიუმის ცნობილმა და ახალმა სახეებმა წარმოადგინეს. ჩვენებაში სააგენტოების - "იმიჯ ცენტრისა" და "ნატალის" მოდელები მონაწილეობდნენ. მათ შორის იყვნენ: შარშანდელი და წლევანდელი "მის საქართველოები" - ირინა ონაშვილი და სალომე ჩიკვილაძე.

ჩვენების დაწყებისთანავე ბევრი იფიქრებდა ჩემსავით, რომ კოლექციის რაღაც ნაწილი მაინც არ იყო გათვლილი თბილისური შემოდგომა-ზამთრისთვის. ჩვენების განმავლობაში ეს მოსაზრება სულ უფრო მეტ დამაჯერებლობას იძენდა. კოლექციაში აშკარად სჭარბობდა ვარდისფერი (იყო ვარდებიც) და შავთეთრი. მუქი კოსტიუმებისადმი მაყურებლის სიმპათია აშკარა იყო, თუმცა ამას მხოლოდ თბილისელების გემოვნებას ვერ დააბრალებდი. დიზაინერის ნამუშევრებიდან მუქი, კლასიკური სტილის კოსტიუმები აშკარად უკეთესი იყო. რამდენიმე პალტო ნამდვილად იმსახურებდა მაყურებლის სიმპათიას, ისევე როგორც "ნატალის" პროფესიონალი მოდელები; ახალბედებიდან უდავოდ კარგად გამოვიდა ირინა ონაშვილი. ვერ აღვფრთოვანდით ვერც სალომე ტყაბლაძის ფეხსაცმლით, მუსიკაც, ალბათ სჯობდა უკეთესი გამოეყენებინათ. დასკვნის სახით, უნდა ვთქვა, რომ გუშინ "ბიზნესცენტრში" უკეთეს მოდას ვნახავდი.

# "მის საქართველო" თეატრ "ნაბადში" აჭარულს სწავლობს

7 ნოემბრიდან ჩინეთი კიდევ ერთხელ გახდება მსოფლიოს ულამაზესი გოგონების მასპინძელი. როგორც ცნობილია, ამჯერად ჩვენს ქვეყანას "მის საქართველო 2004" სალომე ჩიკვილაძე წარადგენს. ნებისმიერი სილამაზის კონკურსის აუცილებელი ნაწილია ტალანტების კონკურსი, რისთვისაც სალომე თითქმის ერთი კვირაა ემზადება. მისი ქორეოგრაფიულად განათლება კომპანია "იმიჯ ცენტრის" არჩევანით ფოლკლორის სტილიზებულ თეატრ "ნაბადის" სცენაზე ხდება. თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელი და "სუხიშვილების" სოლისტი ნინო ტურაბელიძე მას "აჭარულს" ასწავლის.



ვახო ბასილიას ფოტო

შეგახსენებთ, რომ შარშანდელ "მის მსოფლიოზე" ტალანტების კონკურსში, სწორედ ქართველმა ლამაზმანმა ირინა ონაშვილმა გაიმარჯვა, რომელმაც ჟიური და დამსწრე საზოგადოება "თბილისოს" შესრულებით მოხიბლა. ამიტომ ტალანტების კონკურსს საქართველოსთვის წელსაც დიდი მნიშვნელობა ენიჭება. როგორც ნინო ტურაბელიძე ამბობს, "აჭარული" იმ თვალსაზრისით შეირჩა, რომ ეს ცეკვა სალომესთვის გამზადებულ კოსტიუმს ყველაზე მეტად მოუხდა. უკვე მზა კაბას "აჭარულისთვის" საჭირო ყაბალახი და ქამარი დაემატება და მეტ-ნაკლებად მიუახლოვდება ტრადიციულ ქართულ სამოსს.

სალომე ჩიკვილაძე ქართულ ცეკვაზე ბავშობაში ცოტა ხნით დადიოდა, ამიტომ ნინო ტურაბელიძემ მასთან მუშაობა თავიდან დაიწყო. სალომეს პლასტიკისა და თითოეული მოძრაობის დახვეწა სჭირდება, თუმცა ნინო იმედოვნებს, რომ "მის მსოფლიოზე" იგი საუკეთესოდ წარმოაჩენს თავის საცეკვაო შესაძლებლობებს.

ნინო ტურაბელიძე: "სალომე ჩვენს თეატრში ერთი კვირის წინ მოვიდა. მოგეხსენებათ, ასეთ მცირე დროში შეუძლებელია ნებისმიერი ქართული ცეკვის პროფესიონალურ დონეზე შესწავლა, თუმცა ელემენტარული მოძრაობების დახვეწა და დამუშავება მაინც უნდა მოვასწროთ. ყველანარად ვცდილობთ, რომ ტალანტების კონკურსზე საქართველო საუკეთესოდ წარმოვაჩინოთ. ცეკვის გარდა სალომეს სცენის კომპლექსის მოხსნაშიც ვეხმარები. ვფიქრობ, შედეგი დადებითი იქნება."




ნინია კაკაბაძის სვეტი

# ყვითელი კრიმინალები



არასდროს მეგონა, ოდესმე სახალხოდ ყვითელ პრესაზე სერიოზულად დაფიქრება და მასზე საუბარი თუ მომიხდებოდა. მაგრამ, ახლა მივხვდი, რომ თურმე ქვეყანაში არსებულ ყველა მეტად თუ ნაკლებად პოპულარულ მოვლენას თვალი უნდა ვადევნოთ. როგორც აღმოჩნდა (პირადად მე ასე ვფიქრობდი), ბოლო დროს მომრავლებული ჟურნალები არც ისე უწყინარნი არიან. ვგულისხმობ იმას, რაზეც დიდი ხანია, საუბრობენ (ნაწილობრივ მეც ვეთანხმებოდი ამ მოსაზრებას) - ეს ზემოხსენებული ჟურნალები მის მომხმარებელს გარკვეულწილად ზომბირებას უკეთებენ და ყალბ, გამოგონილ სამყაროში აიძულებენ ჩახედვას. გამოგონილი რეალობა, ოდიოზური პიროვნებები - მათი ე.წ. სამყარო და შიდა "დვიჟენიები" ამ სამყაროში. ეს ჟურნალები ძირითადად ცხოვრების გალამაზებას ცდილობენ, მხოლოდ მახინჯი ფორმით გადმოგვცემენ იმას, რაც, საბოლოო ჯამში, კიდევ ერთ და ბევრ უზნეობას წარმოქმნის. რეალური არც იქ წამოყენებული "პრობლემებია", არც "ვარსკვლავების" ცხოვრება და არც ინტერვიუები შეესაბამება ნამდვილ ტექსტს. როგორც წესი, ამ ჟურნალების ავტორები არიან როგორც ჟურნალისტები, ასევე რესპონდენტები და მთავარი გმირები.

ცოტა ხნის წინ კიდევ ერთ და უკვე ნამდვილ ხიფათს წავაწყდი. უცაბედად ჩემს თვალსაწიერში ყვითელი პრესის ერთ-ერთი ტიპური ჟურნალი შემოიჭრა. ჟურნალი გვთავაზობს ექსკლუზიურ ინტერვიუს პიროვნებასთან, რომელიც "არც შოუბიზნესში ტრიალებს და არც სცენის თუ ტელეეკრანის პოპულარული სახეა, თუმცა მისი პირადი ცხოვრება, რატომღაც, ყურადღების ცენტრში დიდი ხანია მოექცა". რატომ მოექცა ყურადღების ცენტრში რესპონდენტის ცხოვრება, ჟურნალისტს ვერ გაურკვევია. მისი რესპონდენტი დაახლოებით ათი ადამიანის მკვლელობაშია ეჭვმიტანილი, არც ერთი მათგანის შემთხვევაში ციხეში არ ჩაუსვამთ და ამ ფაქტმა მის უდანაშაულობაში დააჯერა დამნაშავეც და დანაშაულის თანამონაწილეებიც. დღეს კი ეს პიროვნება ექსკლუზიურ ინტერვიუში აცხადებს, რომ არ იცის, რისთვის იხდის სასჯელს, რომ მას არაკაცურად მოექცნენ.

ჟურნალისტი აშკარად მოხიბლულია თავისი რესპონდენტით. თუმცა, არც იმას გამოვრიცხავ, რომ ეს ტექსტი რესპონდენტის გარეშეა შედგენილი. ვინაიდან ზედმეტად "დალაგებულად" იკითხება (რისი შესაძლებლობაც რესპონდენტს არ უნდა ჰქონდეს). აქედან გამომდინარე, სრულიად რეალურად ჩნდება ეჭვი, რომ ზემოხსენებული ჟურნალები ძირითადად დაკვეთით და, ალბათ, საკმაოდ სოლიდური ანაზღაურებითაც მუშაობენ. თუმცა, ჩვენს ქვეყანაში, სამწუხაროდ, არც ის არის გამორიცხული, რომ ჟურნალისტს თავად გასჩენოდა იდეა, გაეკეთებინა ინტერვიუ ეჭვმიტანილ და, ამავე დროს, პოპულარულ კრიმინალთან. ქართული საზოგადოების დიდი ნაწილი ცნობიერად თუ გაუცნობიერებულად, და ეს განსაკუთრებით უკანასკნელი ათწლეულის მანძილზე შეიმჩნევა, ილტვის კრიმინალური სამყაროსაკენ და გარკვეულ მოწიწებასაც გამოხატავს მის მიმართ.

თუკი აქამდე ვფიქრობდი, რომ ყვითელი პრესა ყურადღებად არ ღირდა, დღეს სერიოზულად დავფიქრდი ერთ საკითხზე - მას, ჩვენდა სამწუხაროდ, მოსახლეობის უდიდესი ნაწილი კითხულობს. და ვინ არის დღეს მოსახლეობისთვის, მაგალითად, ზემოხსენებული გმირი - არსენა მარაბდელი, დათა თუთაშხია თუ ვინ? ამ ჟურნალ-გაზეთების მეშვეობით საქართველოში კიდევ ერთი მახინჯი ტრადიცია იმყარებს ფესვს - დამნაშავეების გმირებად ქცევა, მათი ქმედებების ვაჟკაცობის ფარგლებში მოქცევა და ზოგადად კრიმინალების იდეალიზირება. როგორც, მაგალითად, სულხან მოლაშვილის შემთხვევაში მოხდა, როცა ხელისუფლების "ენერგიული ქმედებების" ხელშეწყობით, ის "ჩვენი დროის გმირად" შევრაცხეთ.

ძალიან მწყდება გული, რომ ამ ყვითელი პრესის სხვადასხვა გამოშვებებს სისტემატურად თვალს ვერ ვადევნებ, ვინაიდან, ვინ იცის, კიდევ რამდენი "საინტერესო" ინტერვიუ თუ სტატია იბეჭდება. რაც უკვე "სიყვითლე" არ არის, ეს არის ამორალური, უზნეო, ბოროტი საქციელი და ჩემთვის დღევანდელ დღეს ეს ზემოხსენებული ყვითელი ჟურნალები, არანაკლებ დამნაშავეები არიან, ვიდრე თუნდაც ნამდვილი კრიმინალები.

თუკი აქამდე საქართველოში ყველაზე დიდი პრობლემა დაუსჯელობის სინდრომი იყო და ეს პატარა ცვლილებებით ჯერ კიდევ არსებობს, ახლა კიდევ უფრო საშიშ ტენდენციასთან გვაქვს საქმე, ვინაიდან მედია, და, ამ შემთხვევაში, ყველაზე აქტიურად ზემოხსენებული პრესა კრიმინალების იდეალიზირებაზე, მათ გარეგნულ კათარზისზე ზრუნავს, რომელიც მხოლოდ საზოგადოებაზე მოქმედებს, საზოგადოებაზე, რომელიც რამდენიმე ხანში, თუკი ყველაფერი ასე გაგრძელდა, თავად შექმნის ახლა დამნაშავეებს და შემდეგ მათი სახელის პოპულარიზაციაზე იზრუნებს.

ყოველი ჩვენთაგანის უდიდესი შეცდომაა, რომ აქამდე დიდ მნიშვნელობას არ ანიჭებს იმას, რასაც სინამდვილეში რაიმე კონკრეტული მოვლენა იმსახურებს. თუმცა, აქამდე პირადად მე, მეგონა, რომ ყვითელი პრესა მხოლოდ იმას წერდა, მაგ. დათო გომართელის საყვარელი ვინ არის, "ქუჩის ბიჭები" რომელ მაღაზიაში იმოსებიან ან რამდენი წყვილი ფეხსაცმელი აქვს ვერიკო ტურაშვილს. სინამდვილეში კი საქმე სულ სხვაგვარად აღმოჩნდა, ალბათ, დიდი ხანია, ისინი ახალ, მახინჯ საზოგადოებრივ ცნობიერებას აყალიბებენ.

ხელისუფლებაში თუ კონკრეტულად პარლამენტში, პრესასთან და მედიასთან დაკავშირებით, იმ საკითხებით არიან დაკავებულნი, ამა თუ იმ ტელეარხის საინფორმაციოს "შეფი" ვინ უნდა იყოს და ვინ არის ნაკლებად საშიში მათთვის, ანუ ხელისუფლებისათვის. საზოგადოების ის ფენა, რომლის აზრი მოსახლეობისთვის მეტ-ნაკლებად გასათვალისწინებელია, ამ გამოცემებს სრული იგნორირებით ეკიდება და ამ დროს ამ ჟურნალების საშუალებით საზოგადოებრივი ცნობიერების დეგრადირების საშიშროება დადგა. მით უმეტეს, რომ საინფორმაციო გამოშვებებს მოსახლეობა აღარ ანიჭებს ისეთ მნიშვნელობას, აღარ არის ისეთი აქტუალური, ყოველ შემთხვევაში, ამ ეტაპზე (იმედია, მალე ისევ გახდება). ამ ჟურნალ-გაზეთებს კი მოსახლეობის უმეტესი ნაწილი ყოველდღიურად ეცნობა.

ფეხბურთი

# "ნიუკასლის" მასტერკლასი "დინამოს"

სანდრო ნავერიანი

უეფას თასის ჯგუფური ეტაპის მეორე წრე

**"ნიუკასლ იუნაიტედი" - "დინამო თბილისი" 2:0**

***მთავარი მსაჯი:*** *ესპენ ბერნსტენი (ნორვეგია)*
***"ნიუკასლი":*** *გივენი, ელიოტი (ბრამბლი), ო`ბრაიენი, ჯენასი, შირერი (მილნერი), ბელამი, კლუივერტი, ჰიუზი, ბოიერი (ამბროზი), რობერი, ბერნარდი.*
***"დინამო":*** *მამალაძე, კანდელაკი, სალუქვაძე, შაშიაშვილი, ალადაშვილი (ახალაია), ნემსაძე, კაშია (სილაგაძე), კვირკველია, მელქაძე (განჩაროვი), კაკალაძე, კანკავა.*
***გოლები:*** *შირერი (38), ბელამი (56)*
***გაფრთხილება:*** *შაშიაშვილი, კანკავა.*

გუშინ "სენტ ჯეიმს პარკზე" არ იყო "დინამოს" დღე. ისე, მართალი რომ გითხრათ, "დინამოს" დღეები ძალიან იშვიათია, მაგრამ ერთადერთი, რაც შეიძლება "დინამოელ" ფეხბურთელებს აქტივში ჩავუწეროთ-თავდადებაა. ის, რომ თბილისის "დინამო" "ნიუკასლს" დაუპირისპირდა, უკვე ბევრზე მეტყველებს. თბილისის "დინამომ" წააგო გუნდთან, რომელიც კვირაში ერთხელ მსოფლიოს ერთ-ერთ უძლიერეს ლიგაში თამაშობს და მათ დიდ ნაწილს წარმატებით ასრულებს. თბილისის "დინამომ" წააგო გუნდთან, რომელშიც თამაშობენ ალან შირერი, პატრიკ კლუივერტი, კრეიგ ბელამი-მსოფლიო დონის ვარსკვლავები. მიუხედავად იმისა, რომ ძალიან გვეწყინა თბილისელების მარცხი, მინდა აღვნიშნო, ეს შეხვედრა კიდევ ერთი გაკვეთილი იყო, გაკვეთილი, რომელიც აუცილებლად წაადგება ქართველ ფეხბურთელებს. ისე, ვინმემ შეიძლება მითხრას, არ გვეყოფა ამდენი გაკვეთილებიო? ფრანგულიო, ინგლისურიო... და ახლა კიდევ პორტუგალიურიც, რომ ჩაგვიტარონ, მერე ნახეო, მაგრამ დამიჯერეთ, რომ არ შეიძლება ისეთ გუნდს, როგორიც თბილისის "დინამოა", მოსთხოვო ის, რისი გაკეთებაც ძალიან რთულია.



ახლა კი კონკრეტულ შეხვედრაზე: მატჩი ბრიტანელთა უპირატესობით წარიმართა, რაშიც არავის ეპარებოდა ეჭვი. პირველი, მეტნაკლებად სახიფათო მომენტი დინამოელთა კართან პატრიკ კლუივერტმა შექმნა, თუმცა მისი დარტყმული მცველს მოხვდა, რის შემდეგაც ბურთს მამალაძე დაეუფლა. ერთ ეპიზოდში, როდესაც პატრიკ კლუივერტი მეკარე მამალაძესთან პირისპირ გადიოდა, შაშიაშვილმა, უმაღლესი კლასის მცველს რომ შეეფერება ისე,ვარდნაში აართვა ბურთი ჰოლანდიელ ფორვარდს და "დინამოს" კარი გადაარჩინა. პირველი ტაიმის მეორე ნახევარში დინამოელებმა თამაში გამოასწორეს-ბურთს უფრო დიდხანს ფლობდნენ, ვიდრე მანამდე, რამაც მათ რამოდენიმე შეტევის განხორციელების საშუალება მისცა. რამდენიმე, შეიძლება ითქვას, ულიმღამო შეტევის შემდეგ ბრიტანელებმა გოლიც გაგვიტანეს: შეი გივენმა თავისი საჯარიმოდან გრძელი გადაცემა გააკეთა, რის შემდეგაც ბურთი კრეიგ ბელამის მიუვიდა, მან "დინამოს" საჯარიმოსთან მყოფი კლუივერტი მოძებნა, რომელმაც მის მარჯვნივ მდგომი ალან შირერი დასარტყმელ პოზიციაზე გაიყვანა, შირერმა კი შეტევა დააგვირგვინა 1-0. პირველი ტაიმის დარჩენილ დროში არაფერი საინტერესო აღარ მომხდარა. თუმცა, აღსანიშნავია დინამოელთა თავდაჯერებული თამაში, რაც იმაში აისახებოდა, რომ ბევრ დარტყმებს ასრულებდნენ.

მეორე ტაიმის სცენარი თითქმის ანალოგიური იყო პირველისა. ბრიტანელები უტევდნენ, "დინამო" კი პერიოდულად გადადიოდა მეტოქის ნახევარზე და არც თუ ისე სახიფათოდ უტევდა. მეორე გოლი კი კუთხურის ჩამოწოდების შემდეგ გავიდა. მამალაძემ მუშტებით, უხეიროდ მოიგერია ბურთი და იქვე მეკარის საჯარიმოში მდგომმა გიორგი ნემსაძემ თავით პირდაპირ კრეიგ ბელამის დაასვა ფეხზე, რომელმაც ყუმბარისებური დარტყმით მამალაძის კარი მეორედ აიღო. შეიძლება ითქვას ბრიტანელებს ერთი ბურთი ვაჩუქეთ, ისევე როგორც "სოშოს".

საბოლოო ჯამში, ვერ ვიტყვი, რომ ქართველებმა ცუდად ითამაშეს, უბრალოდ, ფაქტია, რომ მეტი არ შეუძლიათ, ამის გამოსასწორებლად კი, პირველ რიგში, გამოცდილების მიღებაა საჭირო და ისეთ გუნდებთან თამაში, როგორიც "ნიუკასლია". შემდეგ შეხვედრას თბილისის "დინამო" თბილისში პორტუგალიურ "სპორტინგთან" გამართავს. ვუსურვებთ წარმატებას, რომელიც არა მგონია, არ სჭირდებოდეს.

# "იაშვილი ბოლო წლების ყველაზე სახიფათო ფორვარდია"

**ინტერვიუ ფოლკერ ფინკესთან**

*უკანასკნელ წლებში "ფრაიბურგი" ყველაზე "ქართული" ევროპული კლუბია. სხვადასხვა წლებში აქ კობიაშვილი, კიკნაძე და ზამთარაძე თამაშობდნენ, ალექსანდრე იაშვილი და ლევან ცქიტიშვილი კი დღემდე ამ კლუბის ერთგულები რჩებიან, თანაც, უკვე დიდი ხანია, რაც ამ გუნდის წამყვან ფეხბურთელებად იქცნენ. რა გასაკვირია, რომ "ფრაიბურგის" მიმართ მუდამ დიდი ინტერესი იყო საქართველოში. სამწუხაროდ, ბუნდესლიგის წლევანდელი სეზონი "ფრაიბურგისთვის" უიღბლოდ წარიმართა. გუნდი მე-17 ადგილზეა და უმაღლესი ლიგიდან გავარდნა ემუქრება. გულშემატკივრები იმდენად გამწარდნენ, რომ 14 წლის განმავლობაში "ფრაიბურგის" ერთგული მწვრთნელის ფოლკერ ფინკეს თანამდებობიდან გადადგომას მოითხოვენ. თავად მწვრთნელი კი ოპტიმისტურად არის განწყობილი.*
*გთავაზობთ ინტერვიუს, რომელიც ფინკემ ჟურნალ Kicker-ს მისცა და რომელშიც ის, "ფრაიბურგის" პრობლემებთან ერთად, ალექსანდრე იაშვილზეც საუბრობს.*

**- ჰერ ფინკე, თქვენ უკვე მე-14 წელიწადია "ფრაიბურგის" მწვრთნელი ხართ. გუნდი უმაღლეს ლიგაში დაამკვიდრეთ. გულს არ გტკენთ საკუთარ სტადიონზე გულშემატკივრებისგან "ფინკე, წადი"-ს მოსმენა?**

- ეს შეძახილები საერთოდ არ გამიგონია. ამის შესახებ მატჩის შემდეგ მითხრეს.

**- რა გავლენას ახდენს თქვენზე ეს შეძახილები? აპირებთ, რომ გულშემატკივრები საკუთარ შესაძლებლობებში დაარწმუნოთ თუ ფიქრობთ, რომ პრობლემები არ გჭირდებათ და უმჯობესია გუნდიდან წახვიდეთ?**

- ასეთი ფიქრები ნამდვილად არ მაწუხებს, არც ერთი და არც მეორე.

**- ბუნდესლიგის 11 ტურის შემდეგ "ფრაიბურგი" მე-17 ადგილზეა. რამდენად საგანგაშოა ეს სიტუაცია?**

- ეჭვგარეშეა, რომ მდგომარეობა საკმაოდ სერიოზულია. ასეთ სიტუაციას თავისი მიზეზები აქვს, რომელთაც ანალიზი სჭირდება.

**- რა მიზეზებია?**

- ჩვენი პირადი პრობლემები და ის ფაქტი, რომ ზოგიერთი ჩვენი ფეხბურთელი წინა სეზონთან შედარებით ბევრად უფრო ცუდ ფორმაშია.

**- თქვენ კულიბალის და იაშვილს გულისხმობთ?**

- თქვენ იცით ჩემი ძველი ტრადიციის შესახებ - კონკრეტულ გვარებს საჯაროდ არასოდეს ვასახელებ. "შტუტგარტის" წინააღმდეგ ორივემ ძლიერად ითამაშა. იაშვილს ამ სეზონში ტრავმა ჰქონდა, კულიბალი კი ანტიბიოტიკებს სვამდა. მათი ფორმის აღდგენა მხოლოდ დროის ამბავია.

**- ბოლო დროს ხშირად იმეორებთ, რომ ტრავმირებული ფეხბურთელების სრულფასოვნად შეცვლის საშუალება არ გაქვთ. "ფრაიბურგის" კადრი ამდენად სუსტია?**

- საქმე ის არის, თუ რამდენი ფეხბურთელი გვაკლია ერთდროულად. თუ ტრავმირებულთა რიცხვი შვიდირვა ფეხბურთელია, მაშინ ჩვენს სათადარიგო მოთამაშეებს უჭირთ, რომ ბუნდესლიგის მოთხოვნებს უპასუხონ.

**- იმიტომ რომ მათ ეს დონე არა აქვთ?**

- უტოპია იქნებოდა იმის ფიქრი, რომ ჩვენნაირი პატარა კლუბი ასეთი დიდი დანაკლისის კომპენსირებას შეძლებს. როგორ უნდა შევძლოთ ეს? ამდენი ჩამოყალიბებული ფეხბურთელი ნამდვილად არ გვყავს.



*ფინკეს იაშვილის და სხვა წამყვანი ფეხბურთელების იმედი აქვს.*

**- თუ ასეთ გასაჭირში ხართ, მაშინ რატომ ზის თქვენი ყველაზე სახიფათო თავდამსხმელი სათადარიგოთა სკამზე?**

- რას გულისხმობთ? იაშვილი ხომ თამაშობს. უკანასკნელად არცთუ ისე კარგ ფორმაში იყო, თუმცა, ბოლო წლებში ის ჩვენი ყველაზე სახიფათო ფორვარდია.

**- მე რეგის დორნს ვგულისხმობდი...**

- ზედმიწევნით ზუსტად ვიცი, თუ რა შეუძლია რეგის დორნს და რა - არა. ისიც ვიცი, თუ როდის შეუძლია მას გუნდისთვის სარგებლის მოტანა.

**- წარუმატებლობის მთავარ მიზეზად ტრავმირებულთა პრობლემას ასახელებთ. მაგრამ არც მანამდე გქონდათ საქმე კარგად.**

- ვიყოთ რეალისტები. ერთი მოგებით მეტი რომ გვქონოდა, ახლა ისეთ მდგომარეობაში ვიქნებოდით, რომელიც სავსებით დაგვაკმაყოფილებდა და არც ეს ინტერვიუ იქნებოდა საჭირო. ჩვენ მძიმე პერიოდი გვიდგას, მაგრამ ყველაფერი არც ისე ცუდადაა.

**- მაშინ სხვაგვარად გკითხავთ: მიმდინარე სეზონის შედეგებით კმაყოფილი ხართ?**

- ცხადია, შედეგი არადამაკმაყოფილებელია. მაგრამ მსგავსი პრობლემებით ყველას გაუჭირდებოდა. ახლა პირველი ფეხბურთელები გვიბრუნდებიან და ჩვენც ამოვალთ ფსკერიდან.

**- წინ გელით მატჩები სტუმრად ლევერკუზენში, დორტმუნდში, კაიზერსლაუტერნში და გელზენკირხენში, შინ კი "ბილეფელდს" და "ვერდერს" ხვდებით. ასეთი გრაფიკი კარგს არაფერს მოასწავებს.**

- ეს სულაც არ არის აუცილებელი. გამოცდილება გვიჩვენებს, რომ მძიმე კალენდარს არცთუ ისე გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს. დორტმუნდსა და კაიზერსლაუტერნში ადრეც მოგვიგია. ახლა მთავარია, რომ შიში არ დაგვეუფლოს.

**- ცოტა ხნის წინათ განაცხადეთ, რომ ახლანდელ სიტუაციაში ვერავის ვერაფრის გარანტიას ვერ მისცემდით. რას გულისხმობდით?**

- ჩვენ პატარა კლუბი ვართ, რომელსაც იმის პრეტენზია არა აქვს, რომ ყოველ წელიწადს ბუნდესლიგაში ითამაშოს. იყო წლები, როდესაც ჩვენ ზემოთ ვიყავით, ან პირიქით - სიძნელეებს განვიცდიდით. ფეხბურთი სწორედ იმიტომ არის მილიონობით ადამიანისთვის მიმზიდველი, რომ წარმატების გარანტია არც ფინანსურად ძლიერ კლუბებს აქვთ.

**- ნერვებს არ გიშლით ის, რომ გამუდმებით უმაღლეს ლიგაში ადგილის შენარჩუნებისთვის გიწევთ ბრძოლა?**

- არა. გააჩნია, ვისთვის რა არის მნიშვნელოვანი. ჩემთვის არასოდეს ყოფილა პრიორიტეტი სულ მაღლა, შორს და ჩქარა სიარული.

**- ნუთუ ამდენი წლის განმავლობაში არასოდეს გქონიათ ტიტულის მოპოვების სურვილი?**

- თქვენ ხომ იცით ამ კითხვაზე ჩემი პასუხი. მე მუდამ ამ ამოცანას ვანიჭებდი უპირატესობას, მიუხედავად იმისა, რომ ბევრჯერ შემეძლო სხვა გუნდში წასვლა. საკუთარ თავს ამ კლუბთან ვაიგივებ და არასოდეს მიმაჩნდა, რომ "ფრაიბურგის" ბუნდესლიგაში შენარჩუნება უინტერესო ამოცანაა.

**- საერთოდ კი შეგიძლიათ, რომ "ფრაიბურგი" ფოლკერ ფინკეს გარეშე წარმოიდგინოთ?**

- კითხვა არასწორადაა დასმული. ჩვენ გამუდმებით ვმუშაობთ იმაზე, რომ, მკაცრი კონკურენციის მიუხედავად, "ფრაიბურგი" ფინანსურად ჯანსაღი, კარგად გამართული კლუბი იყოს, რომელიც მასში ამჟამად მოღვაწე ადამიანების გარეშეც შეძლებს პროფესიონალურ ფეხბურთში დამკვიდრებას.

**- კიდევ რამდენ წელიწადს აპირებთ აქ მუშაობას?**

- ამას ნამდვილად ვერ გეტყვით.

# განაჩენი გამოტანილია

ნინო ტიკარაძე

*გუშინ ინგლისის ფეხბურთის ასოციაციის დისციპლინარულმა კომიტეტმა წერტილი დაუსვა ლონდონის "ჩელსის" აწ უკვე ყოფილი ფორვარდის ადრიან მუტუს საქმესთან დაკავშირებულ გაურკვევლობას და ფეხბურთელს საბოლოო განაჩენი გამოუტანა - შვიდთვიანი დისკვალიფიკაცია მისცა და 20,000 გირვანქა სტერლიგის გადახდა დააკისრა...*

მოგეხსენებათ, ადრიან მუტუს ირგვლივ მას შემდეგ ატყდა აჟიოტაჟი, რაც ფეხბურთელმა ნარკოტიკების მიღება საჯაროდ აღიარა. ბუნებრივია, ამ საქმეს ინგლისის ფეხბურთის ასოციაციამ მოკიდა ხელი და საბოლოო განაჩენის გამოტანის ვადაც დანიშნა. როგორც ცნობილია, აკრძალული პრეპარატების მოხმარებისთვის ფეხბურთელს ექვსი თვიდან ორ წლამდე დიკვალიფიკაციას აძლევენ. ბუნებრივია, ყველას აინტერესებდა, თუ რა სახის სასჯელს მიიღებდა ადრიან მუტუ, რომელსაც ამ სკანდალის გამო ფეხბურთის სამყაროში საკმაოდ ბევრი ადამიანი დაუპირისპირდა.

ლონდონის "ჩელსიმ" მას სამუდამოდ აქცია ზურგი. ფეხბურთელთან დაკავშირებული კონტრაქტი დახია და ისიც განაცხადა, რომ მუტუ მაშინ უკვე ნარკომანი იყო, რაც 2003 წლის აგვისტოში "ჩელსიმ" იგი საკმაოდ სოლიდურ თანხად შეიძინა. ფეხბურთელმა კლუბის ბრალდება ორი კვირის წინ, ინგლისის ფეხბურთის ასოციაციის მიერ გამართულ პირველ მოსმენაზე უარყო და განაცხადა, რომ ნარკოტიკები მხოლოდ რამდენჯერმე მიიღო და მისი რეგულარული მოხმარებელი არ ყოფილა. სხვათა შორის, "ჩელსის" მუტუს მიმართ წაყენებული ბრალდება ბრიტანეთის უამრავმა ცნობილმა ჟურნალ-გაზეთმაც აიტაცა და რამდენჯერმე გაიმეორა კიდეც. მუტუს ადვოკატების განცხადებით, ფეხბურთელს შეუძლია, ცილისმწამებლებს სასამართლოშიც უჩივლოს.

"ჩელსი" კი თავს დაზარალებულად მიიჩნევს და ფეხბურთელისგან 10 მილიონი გირვანქა სტერლინგის ოდენობით კომპენსაციას მოითხოვს. "ჩელსის" ხელმძღვანელობის განცხადებით, მუტუს უპასუხისმგებლობის გამო კლუბმა მნიშვნელოვანი ზარალი განიცადა, ამიტომ ფეხბურთელს მანამ არ მისცემენ სხვა გუნდში გადასვლის უფლებას, სანამ ფორვარდი მის მოთხოვნას არ დააკმაყოფილებს.

რუმინელ ფეხბურთელს სკანდალის დასაწყისიდან დღემდე მხარს უჭერს პროფესიონალ ფეხბურთელთა ასოციაციის პრეზიდენტი ტეილორი, რომელმაც გუშინ "ჩელსი" ინგლისის ფეხბურთის ასოციაციის წესებისა და ადამიანის უფლებების დარღვევაში დაადანაშაულა. "ჩელსი" არა მარტო ფეხბურთელის კარიერის, არამედ მისი, როგორც ადამიანის განადგურებას ცდილობს," - განაცხადა გორდონ ტეილორმა.

ვარაუდობდნენ, რომ რეპუტაციაშელახულ ფეხბურთელს ინგლისის ფეხბურთის ასოციაცია რვათვიან დისკვალიფიკაციას მისცემდა. ამას თავისი მიზეზები ჰქონდა. პირველი და მთავარი ის იყო, რომ 25 წლის ფეხბურთელმა, რომელმაც საჯაროდ აღიარა დანაშაული და ბოდიშიც მოიხადა, რეაბილიტაციის კურსის ჩატარება უკვე დაიწყო. გარდა ამისა, მან განაცხადა, რომ არავითარ შემთხვევაში არ გაასაჩივრებდა ფეხბურთის ასოციაციის გადაწყვეტილებას და უსიტყვოდ დაემორჩილებოდა მას.



*მუტუ გრძელვადიან დისკვალიფიკაციას გადაურჩა.*

"მუტუ "ჩელსის" ყველა გულშემატკივარს ბოდიშს უხდის. ჩვენი კლიენტი გულწრფელად ნანობს იმას, რომ აკძალულ პრეპარატებს მოიხმარდა. მას მიაჩნია, რომ ძალიან ცუდად მოიქცა, მაგრამ მხედველობაში უნდა მივიღოთ ის ფაქტიც, რომ იმ დროს, როცა ის ნარკოტიკებს იღებდა, სერიოზული პირადი პრობლემები ჰქონდა," - განაცხადეს მუტუს ადვოკატებმა.

მოკლედ, როგორც ხედავთ, ყველაფერმა ამან დიდი გავლენა მოახდინა ინგლისის ფეხბურთის ასოციაციის დისციპლინარული კომიტეტის წევრებზე. მას შვიდთვიანი დისკვალიფიკაცია მისცეს და 20,000 გირვანქა სტერლინგის გადახდა დააკისრეს.

სხვათა შორის, ერთი წლის წინათ "ჩელსის" ყოფილ მეკარეს, მუტუს მსგავსად, კოკაინის მოხმარების გამო ინგლისის ფეხბურთის ასოციაციის დისციპლინარული კომიტეტის წინაშე წარდგომა მოუხდა. ასოციაციამ მას ცხრათვიანი დისკვალიფიკაცია მისცა. მუტუსგან განსხვავებით, ბოსნიჩმა არც სინანული გამოთქვა თავისი საქციელის გამო, არც საჯაროდ მოიხადა ბოდიში და ასოციაციის გადაწყვეტილებაც გაასაჩივრა, მაგრამ სასჯელის ზომის შემსუბუქებას მაინც ვერ მიაღწია.

მოკლედ, შეცდომა ყველას მოსდის. ასე დაემართა რუმინელ ადრიან მუტუსაც. ოჯახური პრობლემების გამო დეპრესიაში ჩავარდნილმა ფეხბურთელმა ნარკოტიკებში იპოვა შვება და მისი რეგულარული მომხმარებელი გახდა. საბედნიეროდ, მალევე მიხვდა, რომ ამით საკუთარი თავი და კარიერა დადო სასწორზე...

რაგბი

# სამხრეთელები სამხრეთში, ჩრდილოელები დასავლეთში

პაატა თოთაძე

სამხრეთ ამერიკაში მყოფი საქართველოს მორაგბეთა ნაკრები ხვალ თავის მეორე მატჩს გამართავს. ბორჯღალოსანთა მეტოქე საკონტინენტთაშორისო თასზე, რომელსაც ლათინებმა "კოპა" უწოდეს, ჩილეს ნაკრები იქნება.




ტურნირის პირველ მატჩში ქართველები ურუგვაის "ლოს ტეროსს" შეხვდნენ და 7:17 დამარცხდნენ. ურუგვაისთან მსოფლიო თასზეც დავმარცხდით. იმისგან განსხვავებით, ქართველებს ახლა მოგების შანსი ჰქონიათ, მაგრამ არგენტინელი მსაჯის მასელო ტოსკანოს "წყალობით" შრომა წყალში ჩაეყარათ. ეტყობა, ლათინმა არბიტრმა მშვენივრად იცოდა ჩვენი გუნდის სუსტი და ძლიერი მხარეები - რამდენი ბურთიც მოვიგეთ აუტიდან და მოლით შევუტიეთ, იმდენჯერ დაგვაჯარიმა. არადა, ბორჯღალოსნები სწორედ მძლავრი შერკინებით გამოირჩევიან და ამგვარი მდგომარეობებიდან ლელოც არაერთი გაუტანიათ. გარდა იმისა, რომ ლელოს არ გვადებინებდა, მსაჯი მეტოქისადმი უსაზღვრო სიმპათიით იმ მხრივაც გამოირჩა, რომ მათ უხეშობის საშუალებას აძლევდა და ყოველმხრივ ეხმარებოდა ლელოს გატანაში. ამ ფაქტორების გათვალისწინებით, ურუგვაიში მასპინძლების დამარცხება, ფაქტობრივად, შეუძლებელი გახდა. მსაჯის ამგვარ ქმედებას მოყვა დიდი ჩხუბიც, რომელიც მასპინძლებმა კი წამოიწყეს, მაგრამ საბოლოოდ თავადვე დაზარალდნენ, რადგან ქართველებს კარგა გემრიელად უცემიათ რამდენიმე "ტეროსი". საქმე იქამდეც კი მისულა, რომ ამის მერე მომხდარი რამდენიმე წაკინკლავებისას თავადვე აწყნარებდნენ ქართველ მორაგბეებს. მიუხედავად ამისა, ჩვენი ბიჭების არაერთი მარტივი შეცდომა რომ არა, ანგარიში, შესაძლოა, სხვაგვარიც ყოფილიყო. კიდევ ერთი ცუდი რამ, რაც ამ მატჩში მოხდა, მამუკა გორგოძის ტრავმაა. ამის გამო მას, შესაძლოა, ჩილესთან მატჩი გაუცდეს, თუმცა, "ტრავმა სერიოზული არაა და ქართველი მორკინალი რუსეთთან მატჩისთვისაც მზად იქნებაო", - ჩილედან შემოთვალეს.

ამ სამხრეთულ ქვეყანას ბორჯღალოსნები გუშინწინ ეწვივნენ. ჩვენი არ იყოს, ჩილელებიც პირველ მატჩში დამარცხდნენ - "კონდორესი" პორტუგალიის ნაკრებთან დამარცხდა 9:28. ამრიგად, თასს შაბათს ურუგვაი და პორტუგალია გაითამაშებენ. ჩვენები კი, პირველ რიგში, გამოცდილების მისაღებად და რუსეთთან მატჩისთვის მოსამზადებლად გამოიყენებენ ამ მატჩს. ქართველები მასპინძლებს საკმაოდ კარგ სასტუმროში დაუბინავებიათ. ეგაა მხოლოდ, რომ ჩილეს რაგბის კავშირის ბაზაზე ვარჯიშობენ და წყალს მხოლოდ ვარჯიშზე აძლევენ.

ქართველთა მიმართ ინტერესი ჩილეს მედიასაც გამოუხატავს და გუშინ რამდენიმე ჟურნალისტი ქართველთა ვარჯიშს დაესწრო, მერე კი ნაკრების მწვრთნელს დავით ჩავლეიშვილს სახელდახელო ინტერვიუ ჩამოართვა. მწვრთნელის თქმით, ბორჯღალოსანთა დამარცხების უმთავრესი მიზეზი მათ მიერ დაშვებული ელემენტარული შეცდომები იყო. მორკინალები დიდად აქო და აღნიშნა, რომ ჩილელებსაც მაგრად მიაწვებიან. არც ის დავიწყებია, რომ საქართველოს ნაკრები სამხრეთს ფრანგი ლეგიონერების გარეშე ეწვია, გუნდში ახალგაზრდები არიან და შეთამაშება აკლიათო. მატჩზე დასწრების მსურველებს 4 000 პესოს გადახდა მოუწევთ, რაც ჩვენებური 12 ლარის ტოლია. სტადიონი ისეთ ადგილას ყოფილა და იმგვარად ყოფილა მოწყობილი (უფრო სწორად, მოუწყობელი), რომ მატჩის ნახვა ღობის გადაღმიდანაც შეიძლება, მით უმეტეს, რომ ამ შემთხვევაში გულშემატკივარი 4 000 პესოს დაზოგავს. მსაჯი კი ურუგვაელი ედუარდო ბლენხო იქნება.

ქართველები სამხრეთში, რუსები კი დასავლეთში ემზადებიან მომავალი დაპირისპირებისთვის. "დათვები" ხვალ მიემგზავრებიან საფრანგეთში, სადაც ცხრა დღეს დაყოფენ. ამ ხნის განმავლობაში რუსეთის ნაკრები ორ მატჩს გამართავს პირველლიგელ "ბორდოსთან". როგორც ჩანს, ნაკრებში არსებული პრობლემები ნელ-ნელა გვარდება და "დამნაშავე" ამაში საქართველოს ნაკრებია.

ნაკრების ახალი მწვრთნელი იგორ მირონოვი თანამდებობაზე დანიშვნისთანავე შეეხო დისციპლინის პრობლემას. ამ პრობლემამ კი ძალიან მალე იჩინა თავი - რამდენიმე მოთამაშემ უარი თქვა ნაკრებში თამაშზე. ზოგმა ტრავმა მოიმიზეზა, ზოგმაც ახალ მწვრთელთან მუშაობა იუარა. აქ საქმეში ჩაერთო "დათვების" ყოფილი მწვრთნელი ალექსანდრ პერვუხინი და მირონოვს დახმარება აღუთქვა, თუმცა, თავად მირონოვმა შორს დაიჭირა თავი - წესი წესია, მოთამაშე ვალდებულია, ითამაშოს, ვინც არ უნდა იყოს მწვრთნელი. თუ მას ეს არ სურს, შეუძლია ნაკრებიდან მიბრძანდესო. მწვრთნელის მკაცრმა პოზიციამ თავისი ქნა, თანაც, მირონოვი დიპლომატიც აღმოჩნდა - საქართველო ამდენი ხნის დაუმარცხებელია და მთავარი ამოცანა სწორედ მისი დამარცხებააო. მერე კი ვილაპარაკოთ ყველაფერზე და პრობლემებიც გადავჭრათო. ერთი სიტყვით, რუსები ნაკრებში თამაშზე ყაბულს არიან და ქართველთა დამარცხების იმედიც აქვთ.

რა და როგორ შეიცვლება რუსეთის ნაკრებში, ამას 20 ნოემბერს ვიხილავთ მოედანზე. მანამდე კი ცნობილი გახდა, რომ მირონოვი რამდენიმე მოთამაშეს ამპლუის შეცვლას უპირებს. ჯერჯერობით რუს ჟურნალისტებს გვარები არ დაუკონკრეტებიათ, მხოლოდ მწვრთნელის სიტყვები მოჰყავთ ამის დასტურად: ძველ გუნდში რამდენიმე მორაგბე მისთვის შეუფერებელ ადგილას თამაშობდა და ამის შეცვლას ვაპირებო. ასე რომ, 20 ნოემბერს ბორჯღალოსნებს საგრძნობლად სახეცვლილ რუსეთის ნაკრებთან მოუწევთ შეჭიდება.

მოკლედ

## სერენა უილიამსმა გამოსავალი იპოვა

ერთ დროს უძლიერესი ამერიკელი ჩოგბურთელი სერენა უილიამსი კურნიკოვას კვალს დაადგა. ამ ბოლო დროს ის რეჟიმიდან ამოვარდა, რის გამოც მისი რეიტინგი საგრძნობლად დაეცა. იმისთვის, რომ საზოგადოების ყურადღების მიღმა არ დარჩენილიყო, სერენა, კურნიკოვას მსგავსად, თავყრილობებზე უცნაურად ჩაცმული მიდის და ასევე უცნაურად იქცევა. ერთხანს მსოფლიოს ყოფილი პირველი ჩოგანი კორტებზე ამორძალივით ჩაცმული გამოდიოდა, ბოლო დროს კი იგი წვეულებებზე საკმაოდ შილიფად ჩაცმული ჩნდება.

ჰოლივუდის ცნობილმა მსახიობმა პირს ბროსნანმა სერენა დაპატიჟა თავისი ფილმის "მზის ჩასვლის შემდეგ" პრეზენტაციაზე, რომელზეც ჩოგბურთელი ნახევრად მკერდმოშიშვლებული გამოცხადდა.

## "ინტერის" მთავარი მწვრთნელი დასაჯეს

იტალიური კლუბის "ინტერის" მთავარ მწვრთნელს რობერტო მანჩინის სერია A-ში ორი მატჩის გამოტოვება და ჯარიმის სახით, 2005 ევროს გადახდა მოუწევს. საქმე ის გახლავთ, რომ იტალიის ჩემპიონატის მეცხრე ტურში "ინტერსა" და "ლაციოს" მატჩის შემდეგ მან უდიერად მოიხსენია შეხვედრის არბიტრი მატეო ტრეფოლონი და მას ტენდენციურობაში დასდო ბრალი. მწვრთნელმა ისიც კი თქვა, რომ იტალიის ჩემპიონატში ტრეფოლონის გარდა, სხვა ბევრი მსაჯის სიმპათიები აშკარად "იუვენტუსისა" და "მილანისკენ" იხრება.

## ვან დერ გოუ ფეხბურთიდან არ მიდის

წლების განმავლობაში "მანჩესტერ იუნაიტედის" სათადარიგო მეკარე რაიმონდ ვან დერ გოუ კარიერის დასრულებას არ აპირებს. 41 წლის მეკარეს სურს, ჰოლანდიური გუნდის "აპელდორნის" შემადგენლობაში კიდევ ორი სეზონი ითამაშოს.

"სამჯერ წავედი ფეხბურთიდან, მაგრამ სამჯერვე უკან დავბრუნდი. იმიტომ რომ არც მაშინ შემძლო და არც ახლა შემიძლია ფეხბურთის გარეშე ცხოვრება. ძალიან დიდ სიამოვნებას ვიღებ თითოეული თამაშიდან. ახლა "აპელდორნის" კარს ვიცავ. იმედი მაქვს, კიდევ ორ წელიწადს არ მომიწევს ფეხბურთიდან წასვლა," - განაცხადა ინგლისის სამგზის ჩემპიონმა რაიმონდ ვან დერ გოუმ.

1996 წელს, ჰოლანდიის ჩემპიონატში, "გოუ ეჰედ იგლზისა" და "ვიტესის" შემადგენლობაში სამასზე მეტი მატჩის ჩატარების შემდეგ, მეკარემ ფეხბურთიდან წასვლა გადაწყვიტა, მაგრამ მას შემდეგ გადაიფიქრა, რაც "მანჩესტერ იუნაიტედის" მთავარმა მწვრთნელმა თავის გუნდში მიიპატიჟა. გოუმ ეს წინადადება მიიღო. იგი რამდენიმე წელიწადს იყო ამ ინგლისური კლუბის სათადარიგო მეკარე.

2002 წელს 39 წლის ჰოლანდიელმა კვლავ ფეხბურთიდან წასვლა დააპირა. ამჯერად გადაწყვეტილება "ვესტ ჰემმა" შეაცვლევინა. ერთი წლის წინათ კი მან უკვე მესამედ დააპირა კარიერის დასრულება, მაგრამ მცირე შესვენებებით იგი თითქმის ნახევარ წელიწადს მაინც გამოდიოდა სათამაშოდ. 2004 წლის ზაფხულში ვან დერ გოუმ კონტრაქტი გააფორმა "აპელდორნთან", რომლის კარსაც დღემდე იცავს.

*მოამზადა ნინო ტიკარაძემ*

ფორმულა 1

# კოკპიტიდან მაიამის მცხუნვარე მზემდე

კარის გაჯახუნებაც ამას ჰქვია. მთელი სეზონის განმავლობაში პირველობისთვის ძალ-ღონეს არ იშურებდა, მაგრამ მხოლოდ დასკვნით, ბრაზილიურ ეტაპზე მიაღწია მიზანს. მართალია, მალაიზიისა და სან მარინოს "დიდ პრიზებზე" ძალზე ახლოს გამარჯვებასთან, მაგრამ "ფერარის" უბადლო მესაჭემ, აწ უკვე მსოფლიოს შვიდგზის ჩემპიონმა მიხაელ შუმახერმა ამდენჯერვე გზა გადაუღობა. ჯერ მეორეზე გაამწესა, მერე კი - მესამეზე, ოღონდ მეორე შემთხვევაში მას დაეხმარა ბარელი ჯენოსონ ბატონი, რომელიც სან მარინოში გერმანელსა და მას შორის ჩადგა. ბოლოს, როგორც იქნა, სეზონის პირველ გამარჯვებასაც გამოჰკრა ხელი. საუბარია ყოფილ "უილიამსელზე", კოლუმბიელ ხუან-პაბლო მონტოიაზე, რომელმაც 2004 წლის სეზონის დაწყებამდე მოაწერა ხელი კონტრაქტს "მაკლარენ-მერსედესთან". სამეფო რბოლების ბოლო ეტაპზე გამარჯვებამ, რა თქმა უნდა, ძალზე გაახარა "უილიამსის" საჯინიბო, მაგრამ არანაკლებ გახარებული ჩანდნენ მაკლარენელები, ვინც კოლუმბიელზე გააკეთა არჩევანი.



*ახალი სეზონის დაწყებამდე მონტოია კონისთან ერთად მაიამიზე დასვენებას აპირებს.*

**- იმედგაცრუებული სეზონის შემდეგ ფინალური რბოლის მოგება სასიამოვნო სიურპრიზი უნდა ყოფილიყო...**

- ბოლომდე ვერ დაგეთანხმებით. ბრაზილიაში მთელი უიკ-ენდის განმავლობაში კონკურენტუნარიანებად გამოვიყურებოდით. გუნდში მიღებულმა რამდენიმე შესანიშნავმა გადაწყვეტილებამ უდიდესი როლი ითამაშა ჩვენს შედეგზე, რამაც ბოლოს გამარჯვებამდე მიმიყვანა.

**- როგორ გგონია, "BMW-უილიამსმა" შეძლო მოკლე "ცხვირით" გამორჩეულ FW26-ის პირველ ვერსიაზე რეაგირება?**

- მთელი წლის განმავლობაში მასზე ძალზე ბევრს ვმუშაობდით. ეტყობა, ამის შედეგი, ბოლოს და ბოლოს, ბრაზილიაში მოვიმკეთ.

**- ყველა მრბოლს უნდა, რომ თითოეულ რბოლაში გამარჯვებისთვის იბრძოლოს. ხომ არ გაგაკვირვათ იმან, რომ მიხაელ შუმახერმა უპრობლემოდ მოიგო მეშვიდე საჩემპიონო ტიტული?**

- მაინცდამაინც არა. მას ძლიერი მანქანა ჰყავს. გუნდიც მასზეა აგებული. მაგრამ, როგორც ახლახან ვნახეთ, არც შეცდომებია მისთვის უცხო.

**- "BMW-უილიამსი" დატოვე. რას ელი 2005 წელს "მაკლარენ-მერსედესში"?**

- ახლა ის მიხარია, რომ ერთხანს ჩემს მეუღლესთან, კონისთან ერთად მაიამიზე დავისვენებ. მხოლოდ ამის მერე ვიფიქრებ ახალ გამოწვევაზე.

**- ბრაზილიაში კიმი რაიკონენთან ორთაბრძოლამ დაამტკიცა, რომ გამოწვევა, მართლაც, გექნება. დარწმუნებული ხარ, რომ შენთვის სადებიუტო წელს თქვენს შორის ღირსეული კონკურენცია გაიმართება "ვერცხლისფერ ისრებში"?**

- მრბოლებს შორის მეტოქეობა კარგი რამაა. სან-პაულოში რაიკონენმა ყველას დაანახა, რომ ძლიერი მეტოქე იქნება. მაგრამ იქ მე გავიმარჯვე.

**- შესაძლოა თუ არა, რომ 2005 წელს "მაკლარენმა" მთავარი ბოლიდისთვის ბრძოლის საშუალება მოგცეს?**

- დარწმუნებული ვარ, ახალ სეზონში გუნდი ყველაფერს გააკეთებს იმისთვის, რომ ძლიერი მანქანა შემომთავაზოს.

**- გჯერა, რომ ამ საკითხში "მაკლარენში" განსხვავებული ვითარება იქნება, ვიდრე ეს "უილიამსში" იყო?**

- ამაზე პასუხის მისაღებად მომავალ წლამდე უნდა დავიცადო.

**- გაისად მამა გახდები. ალბათ, არა მარტო შვილის შეძენას აღნიშნავ, არამედ ჩემპიონატში გამარჯვებასაც...**

- ყოველ სეზონს იმ ფიქრით ვხვდები, რომ ჩემპიონატში გამარჯვება შესაძლებელია. გამონაკლისი არც მომავალი სეზონი იქნება.

TV-სპორტი

### პარასკევი. 5 ნოემბერი

**НТВ+ФУТБОЛ**
06:00 NBA TV. სამწვრთნელო ბანაკი: "NEW ORLEANS HORNETS". მე-3 ნაწილი
06:30 NBA TV. "DENVER NUGGETS" - "MINNESOTA TIMBERWOLVES". პირდაპირი ტრანსლაცია
09:00 09:00-დან 12:00-მდე შესვენება
12:00 თავისუფალი დარტყმა
12:15 საუიკენდო მატჩების ანონსი
12:20 ჩემპიონთა ლიგა. "დეპორტივო" - "ლივერპული".
12:20 ჩემპიონთა ლიგა. "არსენალი" - "პანათინაიკოსი"
14:10 ჩემპიონთა ლიგა. "დეპორტივო" - "ლივერპული"
16:00 თავისუფალი დარტყმა
16:15 "FUTBOL MUNDIAL"
16:40 ჩემპიონთა ლიგა. მატჩების მიმოხილვა
18:40 თავისუფალი დარტყმა
18:55 მინიფეხბურთი. რუსეთის ჩემპიონატი. "სპარტაკი" - "დინამო". პირდაპირი ტრანსლაცია
20:20 "ექსპერტიზა"
20:50 სახვალიო ტელეპროგრამა
21:00 ბრაზილიის ჩემპიონატი. მატჩების მიმოხილვა
21:30 ჩემპიონთა ლიგა. "ბავარია" - "იუვენტუსი". შესვენებისას (22:20) - თავისუფალი დარტყმა
23:40 "ექსპერტიზა"
00:10 იტალიის ჩემპიონატი. მატჩების მიმოხილვა
01:05 ინგლისის ჩემპიონატი. მატჩების მიმოხილვა
02:00 საფრანგეთის ჩემპიონატი. მატჩების მიმოხილვა
03:00 NBA TV. "PHILADELPHIA 76ERS" - "PHOENIX SUNS". პირდაპირი ტრანსლაცია
05:30 NBA TV - NBA-ს ლეგენდები: ალენ აივერსონი

**НТВ+СПОРТ**
08:30 ფიგურული სრიალი. დიდი პრიზი "NHK TROPHY". პირდაპირი ტრანსლაცია იაპონიიდან. შესვენებისას (09:30) - ჰარმონიის ფორმულა
10:15, 12:15, 16:00, 19:00, 21:00 პრესცენტრი
10:30 ფიგურული სრიალი. დიდი პრიზი "NHK TROPHY". ქალები. მოკლე პროგრამა. პირდაპირი ტრანსლაცია იაპონიიდან
12:00 "ჰარმონიის ფორმულა"
14:30 ჩოგბურთი. "Masters Series"
16:15 "ჰოკეი-პლუს"
16:30 "მოტოვებული კვირა"
17:15 ATP-ს საჩოგბურთო მიმოხილვა
17:40 NBA-ს საკალათბურთო მიმოხილვა
18:05 ტაილანდური კრივი
19:15 "სპორტული გლობუსი". "Trans World Sport" წარმოგიდგენთ
19:45 "ფარი და ბურთი" - ტელეჟურნალი
20:30 "ნოკაუტი" - ტელეჟურნალი
21:15 სახვალიო ტელეპროგრამა
21:25 ფიგურული სრიალი. დიდი პრიზი "NHK TROPHY"
22:25 "ჰოკეი-პლუს"
22:55 ფიგურული სრიალი. დიდი პრიზი "NHK TROPHY". წყვილები. მხატვრული პროგრამა. ქალები. მოკლე პროგრამა. შესვენებისას (00:35) - ახალი ამბები

**EUROSPORT**
10:30 მულტისპორტი
11:00 ფეხბურთი. უეფას თასი. ჯგუფური ეტაპი
12:30 ფეხბურთი. უეფას ჩემპიონთა ლიგა. კვირის მატჩი
14:00 ფეხბურთი. უეფას ჩემპიონთა ლიგა
15:00 ფეხბურთი. უეფას ჩემპიონთა ლიგა
16:00 ფეხბურთი. უეფას ჩემპიონთა ლიგა
17:00 ფეხბურთი. უეფას ჩემპიონთა ლიგა
18:00 ფეხბურთი. უეფას თასი
19:00 ჩოგბურთი. WTA ტურნირი აშშ-ში. მეოთხედფინალები. პირდაპირი ტრანსლაცია
22:00 ფეხბურთი. ევროპის 24 საუკეთესო კლუბი
22:30 ფეხბურთი. უეფას ჩემპიონთა ლიგა გამოსასვლელ დღეებში
23:30 ფეხბურთი. უეფას ჩემპიონთა ლიგა გამოსასვლელ დღეებში
00:30 ექსტრემალური სპორტი. ახალგაზრდული ზონა
01:00 ახალი ამბები
01:15 ექსტრემალური სპორტი. LG აქტიური სპორტი
02:15 მხედრული ორთაბრძოლები. მებრძოლთა კლუბი
02:45 ფეხბურთი. ევროპის 24 საუკეთესო კლუბი
03:15 ახალი ამბები



# განახლებული "აუდი A4" - "გოლფის" კლასი ლუქსური აღჭურვილობით

საავტომობილო ბაზარზე უაღრესად გამწვავებული კონკურენციის პირობებში, როცა ისეთი კომპანიებიც კი, როგორებიც არიან "მერსედეს-ბენცი", "ბეემვე" და "იაგუარი", ადრე მხოლოდ მაღალი კლასის ავტომობილების წარმოებით რომ იყვნენ დაკავებულნი, ახლა კი დაბალ კლასებშიც შინაურდებიან, დიდი მნიშვნელობა ენიჭება ამათუიმ კომპანიის მიერ სამოდელო რიგის დროულ განახლება-მოდერნიზებას.

პარალელურად, თანამედროვე, კომპიუტერიზებული ტექნოლოგიების მეშვეობით, შესაძლებელი ხდება სრულიად ახალი ავტომობილის სამ-სამწელიწადნახევარში შემუშავება და წარმოებაში გაშვება. სწორედ ამიტომაა, რომ ადრე თუ რომელიმე მოდელის სიცოცხლის ხანგრძლივობა რვა წლამდე გრძელდებოდა, ახლა იგივე მაჩვენებელი მაქსიმუმ ხუთ წლამდე შემცირდა.

ბუნებრივია, კომპანიები, პირველ რიგში, ამ ფაქტორს ითვალისწინებენ და ყველანაირად ცდილობენ, მყიდველს სამ წელზე მეტი ხნით არ მოაბეზრონ თავი ერთი და იგივე მოდელით. უფრო მეტიც, მათ ამგვარად მოქცევას გაყიდვების დინამიკაც კარნახობს - ახალი მოდელის ბაზარზე გამოსვლიდან დაახლოებით ნახევარი წლის შემდეგ თუ გაყიდვების მოცულობა პიკს აღწევს, სამი წლის შემდეგ დაცემა იწყება და თუ დროზე არ მოხდა შეცვლა, წარმოება წამგებიანი გახდება.

ამხელა შესავალი იმიტომ გავაკეთეთ, რომ განგვემარტა, თუ რაში დასჭირდა გერმანულ კომპანია "აუდის" თავის პოპულარულ მოდელ A4-ის განახლება, რომელიც დღევანდელი სახით სულ სამი წლის წინ გამოჩნდა ბაზარზე.

"აუდიმ" ახალი A4-ის ფოტოები და მწირი ტექნიკური ინფორმაცია ჯერ კიდევ ზაფხულის ბოლოს გაამხილა, პარიზის ავტოსალონზე კი მედიას პირველად წარუდგინა თავისი სიახლე, რომელსაც წინამორბედისგან, პირველ რიგში, გარეგნობა, მოდერნიზებული დაკიდების სისტემა და ოთხი ახალი ძრავა განასხვავებს.



ახალი A4 ლუქსის კლასის ავტომობილებსაც არ დაუდებს ტოლს.

ავტომობილის დიზაინი შესრულებულია კომპანიის ახალ საფირმო სტილში, რის გამოც იგი რაღაცით მოგვაგონებს როგორც სპორტულ "აუდი A3 სპორტბეკს", ასევე ბიზნეს კლასის A6-სა და ლუქსის კლასის ფლაგმან A8-საც, რომელთაგან ახალმა A4-მა გადაიღო რადიატორის ორიგინალური გაფორმება, მაგრამ მათგან სათავო მაშუქების მოყვანილობით განსხვავდება. ცვლილებაა ავტომობილის უკანა ნაწილის დიზაინშიც, სადაც ახალია ბამპერი, საბარგულის სახურავის ოდნავ სხვანაირი მოყვანილობა და სრულიად ახალი უკანა სტოპ და გაბარიტული მაშუქები, რომლებიც ორივე მხარეს ორ ნაწილადაა გაყოფილი. ასევე, შეიცვალა ძარის გვერდითი პანელები - ცვლილება განიცადა თვლების თაღებმა და ძარის გვერდითმა ამონატვიფრებმა.

მნიშვნელოვნად განახლდა ავტომობილის საკიდარი. აქ შეიცვალა არა მხოლოდ სისტემის გეომეტრია, არამედ ამორტიზატორები და ზამბარები და მათი მახასიათებლებიც. დაკიდების სისტემის ზოგიერთი ელემენტი გადმოტანილ იქნა უფრო მაღალი კლასის მოდელ A6-დან და A4-ის სპორტულ მოდიფიკაცია S4-დან. ცვლილებათა მთავარი დანიშნულება ახალი A4-ის კომფორტულობის გაუმჯობესება იყო.

ახალი A4-ის მყიდველს ძრავების მხრივ, არნახულად დიდი არჩევანი ექნება - ამ ავტომობილისთვის სულ ათი ძრავის გამოყენებაა გათვალისწინებული, რომელთა სიმძლავრეც 102-დან (საბაზო ვერსია) 344 ცხენის ძალამდე მერყეობს. ამ აგრეგატებიდან ყველაზე მძლავრია 3.5-ლიტრიანი V8, რომელიც სპორტული S4-თვისაა განკუთვნილი. დიზელის ძრავების გამაში ორი ახალი აგრეგატია - ორლიტრიანი "ატმოსფერული" ძრავი 140 ცხენის ძალით და სამლიტრიანი ტურბოდიზელი (V6 კონფიგურაციის) 204 ცხენის ძალით.

განახლებული A4 არის ან წინა წამყვანთვლიანი, ან ოთხივე წამყვანთვლიანი (სრულამძრავიანი) ცნობილი, როგორც "კვატრო". ძრავთან შეწყვილდება ხუთ ან ექვსსაფეხურიანი გადაცემათა კოლოფები. წინა წამყვანთვლიანი მოდიფიკაციებისთვის, ასევე, ხელმისაწვდომი იქნება ვარიატორი "მულტიტრონიკი". სამაგიეროდ, "კვატრო" მოდიფიკაციები აღიჭურვება ნახევრადავტომატური "ტიპტრონიკით", რომელიც სპორტულ ყაიდაზე იქნება დაპროგრამებული.

სიახლეებია ავტომობილის ინტერიერშიც. კერძოდ, შეიცვალა A4-ის მძღოლის სამუშაო ადგილი, სადაც მძღოლისკენ ოდნავ შემობრუნდა მაჩვენებლების დაფის ცენტრალური ნაწილი (რაც ადრე მხოლოდ კონკურენტი "ბეემვეს" მოდელებისთვის იყო დამახასიათებელი), რაც, პირველ რიგში, მძღოლისთვის საქმის გასაადვილებლადაა გაკეთებული და ერთგვარი კოკპიტის ასოციაციებს წარმოშობს. თითქმის უცვლელი დარჩა ავტომობილის საბარგულის მოცულობა - სედანში თუ ის 460 ლიტრია, უნივერსალისა 1188 ლიტრს აღწევს.

"აუდი" მყიდველს შესთავაზებს დამატებითი მოწყობილობების დიდ არჩევანს, რომელთა დანიშნულებაც, პირველ რიგში, მძღოლისა და მგზავრების კომფორტის გაუმჯობესებაა. ამ მოწყობილობებში შედის "აქტიური" (საჭის მოძრაობის მიმართულებით ანათებენ) ქსენონის ფარები, აქტიურივე საკისრეები (პასიური უსაფრთხოების ელემენტი), კლიმატ-კონტროლის გაყოფილი სისტემა (სალონის წინა და უკანა ნაწილებისთვის) და სხვა. უსაფრთხოებას უზრნველყოფენ ორსაფეხურიანი ფრონტალური პნევმო-ბალიშები, წინა სავარძლებისთვის გვერდითა ბალიშები, უკანებისთვის კი გასაბერი ფარდები.

როგორც უკვე ითქვა, ტოპ-მოდელი (S4) აღიჭურვება მხოლოდ V8 კონფიგურაციის ბენზინის ძრავით, რომლის სიმძლავრეც 344 ცხენის ძალა, მაბრუნი მომენტი კი 410 ნ.მ-ია. ტრადიციულად, S4 მხოლოდ "კვატრო" ტრანსმისიით აღიჭურვება. სამაგიეროდ, ამჯერად ეს ვერსია ორი ტიპის ძარას - სედანისა და უნივერსალისას მიიღებს. რაც შეეხება გადაცემათა კოლოფს, აქ შესაძლებელია (მძღოლის სურვილისამებრ) როგორც მექანიკური (ხელით გადართვის), ასევე ავტომატური კოლოფის გამოყენება. მექანიკური კოლოფით S4 ადგილიდან 100 კმ/სთ-ს აკრეფას სულ 5.6 წამს ანდომებს, 200 კმ/სთ სიჩქარეს კი 20.6 წამში აღწევს. ავტომობილის მაქსიმალური სიჩქარე (გერმანიაში) 250 კმ/სთ-ითაა შეზღუდული.

ტოპ-ვერსიას საბაზოსგან გარეგნულად განასხვავებს რადიატორის უფრო მსხვილუჯრედებიანი ბადე, ქსენონის მაშუქები, დიდი ზომის ბამპერი, უფრო დიდი ზომის ჰაერის ამღებები, 20 მილიმეტრით დადაბლებული საკიდარი, ალუმინის კორპუსში ჩასმული სარკეები და ოთხი დიდრონი, ოვალური გამოსაბოლქვი მილი. გარდა ამისა, ტოპ-ვერსიას აქვს უფრო კომფორტული დაკიდების სისტემა, რომელიც სურვილის შემთხვევაში, სპორტულ რეჟიმშიც იმუშავებს, გაძლიერებული სამუხრუჭე სისტემა, 18-დუიმიანი საბურავები, რომლებზეც ჩაცმულია 235/40 ზომის საბურავები, საბარგულის გასწვრივ განლაგებული სპოილერი და, რაღა თქმა უნდა, მოდელის განმასხვავებელი ნიშანი - S4.

"აუდიმ" ახალ სედან A4-ზე (სალონი) შეკვეთების მიღება პარიზშივე, ავტოსალონის დღეებში დაიწყო, 2005 წლის პირველივე დღეებიდან კი ინგოლშტადტური კომპანიის დილერები დაიწყებენ შეკვეთების მიღებას უნივერსალებსა (ავანტი) და ტოპ-ვერსია S4-ზე (კვატრო).

# "ნისანის" ევროპული სიახლეები

იაპონურმა ავტოკომპანია "ნისანმა", რომელმაც უკვე ერთ წელზე მეტია, თავი დააღწია გამაპარტახებელ კრიზისს, პარიზის ავტოსალონზე რამდენიმე სიახლე წარადგინა, რომელთაგან სამი უგზოობის ავტომობილია, ერთი სპორტული როდსტერი და ერთიც წინასაწარმოო პროტოტიპი.

დავიწყოთ უგზოობის ავტომობილებით. მათგან ყველაზე საინტერესოა "ნისან პატფინდერი", რომელიც ევროპულ ბაზარზე დებიუტანტია, თუმცა იაპონიასა და ამერიკაში უკვე დიდი ხანია, პოპულარობით სარგებლობს. ეს ავტომობილი კომპანიის სამოდელო რიგში მოდელ "ნისან X-ტრეილზე" ერთი საფეხურით მაღლა დგას. მისი დიზაინი რაღაცით წააგავს კონცეპტუალურ "დიუნჰოკს", რომელიც პირველად 2003 წელს იყო ნაჩვენები. სამაგიეროდ, სრულამძრავიანი სისტემა ავტომობილმა "X-ტრეილისგან" მიიღო.

პირველ ხანებში, ევროპელი მყიდველისთვის განკუთვნილი "პატფინდერი" აღიჭურვება მხოლოდ ოთხცილინდრიანი, 2.5-ლიტრიანი ტურბოდიზელით, რომლის სიმძლავრე 170 ცხენის ძალაა. გერმანიაში ამ ავტომობილის საბაზო ღირებულება 30 ათასი ევრო იქნება, მისი გაყიდვები კი 2005 წლის გაზაფხულიდან დაიწყება.

მეორე ევროპელი დებიუტანტია უგზოობის მოდელი "ნისან მურანო", რომელიც კარგა ხანია, იყიდება აშშ-ის ბაზარზე, მაგრამ ევროპაში მეტწილად ეგრეთ წოდებული რუხი დილერების საშუალებით, ან სპეციალური შეკვეთებით ხვდებოდა. პარიზის ავტოსალონზე "ნისანელები" ირწმუნებოდნენ, რომ ამერიკული ვარიანტისგან ევროპულ "მურანოს" 1600-მდე ახალი ნაწილი განასხვავებს.



"ნისან 350Z როუდსტერი"



"ნისან ტოუნი"

მთავარი კი ისაა, რომ "პატფინდერის" მსგავსად, თავიდან ევროპაში "მურანოს" ერთი მოდიფიკაცია გაიყიდება, რომელიც აღჭურვილი იქნება 3.5 ლიტრი მუშა მოცულობის მქონე V6 აგრეგატით, რომლის სიმძლავრეც 235 ცხენის ძალას აღწევს. ძრავთან შეწყვილებულია ვარიატორი, საბაზო აღჭურვილობაში კი იმ დამხმარე სისტემების ჩამონათვალს შეხვდებით, რომლებსაც კონკურენტები მყიდველს დამატებითი ოპციის სახით სთავაზობენ და ბუნებრივია, მათში შესაბამის, სოლიდურ საზღაურსაც ღებულობენ.

მოკლედ, ევროპელი დებიუტანტის ღირებულება დაახლოებით 43 ათასი ევრო იქნება, მისი გაყიდვები კი მომავალი წლის დასაწყისიდანვე დაიწყება.

მესამე უგზოობის ავტომობილია ჩვენში კარგად ცნობილი "ნისან პატრული", რომელმაც მორიგი განახლება გაიარა და კომპანიის ახალი საფირმო სტილის შესაბამისი დიზაინი მიიღო. განახლებულია ინტერიერიც. რაც შეეხება მთავარ აგრეგატს, ევროპული ბაზრისთვის განკუთვნილი "პატრული" აღჭურვილია სამლიტრიანი ტურბოდიზელით, რომლის სიმძლავრე სულ 160 ცხენის ძალაა, სამაგიეროდ, მაბრუნი მომენტი 380 ნ.მ-ს აღწევს. ამ ავტომობილზე კომპანიის დილერებს უკვე დაწყებული აქვთ შეკვეთების მიღება.

რაც შეეხება როდსტერს, ეს არის ამერიკაში პოპულარული ავტომობილი "ნისან 350Z როუდსტერი". კუპეს მსგავსად, ისიც 3.5-ლიტრიანი V8-ით აღიჭურვება, რომლის სიმძლავრე 380 ცხენის ძალას, მაბრუნი მომენტი კი 363 ნ.მ-ს აღწევს. რაოდენ გასაკვირიც უნდა იყოს, კუპესგან განსხვავებით, როდსტერის ძარა უფრო ხისტი გამოვიდა. ამასთან, კონსტრუქტორებმა შეცვალეს დაკიდების სისტემის გეომეტრია და როგორც ირწმუნებიან, ამის წყალობით, ის კუპეზე უფრო მანევრული და ტემპერამენტიანი გამოვიდა.

ევროპაში ეს ავტომობილი 45 ათასი ევრო ეღირება, მაგრამ "ნისანის" წარმომადგენლები აცხადებენ, რომ სოლიდური ფასის მიუხედავად, ამ ახალ ავტომობილზე უკვე რიგები დგას - წინასწარი შეკვეთის განთავსებიდან, მყიდველი სასურველ ავტომობილს მხოლოდ ხუთი თვის შემდეგ მიიღებს.

დაბოლოს, კომპაქტური ერთმოცულობიანი ავტომობილის კონცეპტუალური პროტოტიპი სახელად "ნისან ტოუნი", რომლის გაყიდვების დაწყებაც 2006 წლის იანვრიდანაა დაგეგმილი. მისი წარმოება ინგლისის ქალაქ სანდერლენდის ქარხანას დაევალება, სერიული ავტომობილი კი პარიზში წარდგენილი პროტოტიპის იდენტური იქნება.

ამ კომპაქტვენის საფუძვლად აღებულია "რენო მოდუსის" პლატფორმა (ნისანის აქციების საკონტროლო პაკეტი, დაახოებით 44 პროცენტი, ფრანგულ კონცერნს ეკუთვნის), რაც საგრძნობლად აიაფებს ავტომობილს. საერთო პლატფორმის მიუხედავად, "ტოუნი" გაბარიტებით საგრძნობლად აღემატება "მოდუსს", რომლის წარმოება უკვე დაწყებულია რუმინეთში და მალე რუსეთშიც დაიწყება. იაპონური კომპანიის სამოდელო გამაში იგი მოდელ "ალმერა ტინოზე" ერთი საფეხურით მაღლა დაიკავებს ადგილს.

ავტომობილის დიზაინში გამოირჩევა მისი ძარის წინა ნაწილი, რომელიც "მურანოს" სტილშია შესრულებული. ყურადღებას იმსახურებს, ასევე, "ტოუნის" უკანა საყრდენების საკმაოდ უცნაური და ერთობ რთული მოყვანილობა, ასევე ვერტიკალური უკანა მაშუქები, რომელიც ავტომობილის სახურავზეც კი გადადის. უცნაურია "ტოუნის" სახურავიც, რომელსაც ორივე კიდეზე შუშის ორი ზოლი გაჰყვება. თუმცა, სერიული ავტომობილის სახურავში შუშის ელემენტები არ იქნება შეტანილი.

ჯერჯერობით, არაფერია ცნობილი იმის შესახებ, თუ რა აგრეგატებია განკუთვნილი ამ სიმპათიური კომპაქტვენისთვის. სავარაუდოდ, იგი იმავე აგრეგატებს მიიღებს, რომლებიც "ალმერასა" და "მიკრას" ამუშავებენ.

"ნისანი" ყოველწლიურად 100 ათასი ცალი "ტოუნის" წარმოებას გეგმავს. სხვათა შორის, სანდერლენდის ქარხანა ევროპაში ყველაზე მძლავრია - იქ წლიურად 500 ათასი ცალი ავტომობილის წარმოებაა შესაძლებელი. თუმცა, ეს სიმძლავრე შარშან მხოლოდ ნაწილობრივ იყო გამოყენებული - იქ სულ 330 ათასი ცალი "მიკრა", "პრიმერა" და "ალმერა" დამზადდა.

# "ჰიუნდაის" ახალი "სონატა" პარიზში აჟღერდა

კორეულ ავტოგიგანტ "ჰიუნდაის" მტკიცედ აქვს გადაწყვეტილი, უახლოეს ექვს წელიწადში, მსოფლიოს უდიდეს ავტოკომპანიათა მოწინავე ხუთეულში შევიდეს. ამ მიმართულებით პირველი ნაბიჯი კორეელებმა პარიზის ავტოსალონზე გადადგეს, სადაც პირველად წარმოადგინეს მეექვსე თაობის სედანი "სონატა".

ამ ავტომობილის შექმნაზე კონსტრუქტორები და ტექნოლოგები თითქმის ოთხი წლის განმავლობაში მუშაობდნენ და შედეგად, წინა თაობის "სონატა" ძირფესვიანად განახლდა. ახალ სედანში ახალია პლატფორმა, ძრავებიც, ტრანსმისიაც და დაკიდების სისტემაც. გარდა ამისა, ავტომობილმა უფრო ევროპული გამომეტყველება მიიღო და, რაღა თქმა უნდა, გაბარიტებშიც გაიზარდა. მისი სიგრძეა 4800 მილიმეტრი (გაიზარდა 55 მილიმეტრით), სიგანე - 1830 მმ (+10 მმ), სიმაღლე კი - 1475 მმ (+55 მმ). 30 მილიმეტრით გაიზარდა თვლებს შორის ბაზა, რომელიც ახლა 2730 მმ-ს შეადგენს. შედეგად, მნიშვნელოვნად გაიზარდა სალონის მოცულობა, რომლის დიზაინშიც მდიდრულობისკენ მიდრეკილება იგრძნობა.

ავტომობილის დიზაინი შესრულებულია "ჰიუნდაის" ახალ საფირმო სტილში, რომელიც აშკარად გაევროპელებულია და რომელშიც თვალში საცემია ისეთ კონკურენტებთან მსგავსება, როგორებიცაა "აუდისა" და "ოპელის" შესაბამისი კლასის ავტომობილები. სხვათა შორის, ეს გარემოება აეროდინამიკურობისათვის გაღებული ხარკია. ეს ის ფაქტორია, რომელიც მნიშვნელოვნად ზღუდავს დიზაინერებს და რომლის წყალობითაც, თანამედროვე ავტომობილები ხშირად ერთმანეთსაც ემგვანებიან.



"ჰიუნდაი" ახალ "სონატაზე" დიდ იმედებს ამყარებს.

გაყიდვების დაწყებიდან პირველ ხანებში, ახალი "სონატასთვის" განკუთვნილი იქნება მხოლოდ ორი, ბენზინზე მომუშავე ძრავი (2 და 2.4-ლიტრიანი), რომელთა სიმძლავრე 144 და 166 ცხენის ძალაა. მოგვიანებით ძრავების გამას დაემატება 3.3 ლიტრი მუშა მოცულობის მქონე, 230 ცხენისძალიანი V6, 2006 წლიდან კი 2.2-ლიტრიანი ტურბოდიზელიც.

"ჰიუნდაი" მომავალ წელს 300 ათასი ცალი ახალი "სონატას" რეალიზებას გეგმავს, რომელთაგან თითქმის მესამედი კორეული ბაზრისთვისაა განკუთვნილი. ამ ავტომობილით კორეელები აშშ-ის ბაზარზე ფეხის მყარად მოკიდებას აპირებენ და იმედოვნებენ, რომ ჩრდილოამერიკულ ბაზარზე "სონატა" მალე შეავიწროებს ისეთ პოპულარულ ავტომობილს, როგორიცაა "ტოიოტა კამრი".

ჯერჯერობით, არ სახელდება ევროპისთვის განკუთვნილი "სონატას" ფასი, თუმცა ვარაუდობენ, რომ "ძველ კონტინენტზე" იგი წინამორბედთან შედარებით, ათი პროცენტით ძვირი ეღირება. კორეაში უკვე დაწყებულია ამ ავტომობილის გაყიდვები და იქ მისი ფასი (საბაზო მოდელისა) 14 200 აშშ დოლარს შეადგენს. ამაზე თითქმის 7 ათასით ძვირი იქნება მოდელის ტოპ-ვერსია, რომელიც აღიჭურვება 2.4-ლიტრიანი ძრავით და რომლის სალონიც ტყავით იქნება გაწყობილი.

კორეულმა კომპანიამ პარიზში ახალ "სონატასთან" ერთად წარადგინა კონცეპტუალური მოდელი HCD-8, რომელიც სპეციალისტთა ვარაუდით, წარმოადგენს "სონატას" მომავალ კუპე-ვერსიას. სავარაუდოდ, ამ ავტომობილის დებიუტი მომავალ წელს, ჟენევის ავტოსალონზე შედგება.

## ორშაბათი 8.11

### რუსთავი - 2

**08.11 07.30** დილა მშვიდობისა **08.00** "ტელეღიპუცები" **10.00** სერიალი "ეკლები და ვარდები" **11.00** ღამის შოუ **12.00, 15.00, 18.00, 21.00, 01.40** კურიერი **12.20** სერიალი "შეყვარებული ქალები" **13.30** სერიალი "წმინდა ინგლისური მკვლელობები" **15.25** სერიალი "ბევერლი ჰილზი" **16.30** სერიალი "ეკლები და ვარდები" **17.25** პერეკროსტიკი **18.20** "რობოტი და რობოტუნა" **18.55** სერიალი "ბევერლი ჰილზი" **19.40** პატრული **19.50** სერიალი "შეყვარებული ქალები" **22.00** თამაში "ყველაზე ჭკვიანი" **23.00** დოკ. ფილმი "კენედის მკვლელობა" (ბი-ბი-სი) **00.00** მხ. ფილმი "ამერიკელი სამურაი" (12) (დევიდ ბრედლი) **02.00** პატრული

### პირველი არხი

**07.30** ალიონი **09.40** სერიალი "გადაადგილების საშუალებები" **10.00** "იმღერე რამე" **10.30** მხ. ფილმი "ძახილი" (გ) **12.00, 15.00, 20.00, 23.00** მოამბე **12.15** სერიალი "ცხელი ზაფხული" **13.00** კონცერტი -"ფორტე" **14.00** მოამბე ოსურ ენაზე **14.25** იცხოვრეთ იოდდეფიციტის გარეშე **15.20** "ფორტუნა" **16.00** მოამბე ინგლისურ ენაზე **16.05** სერიალი "ხუმრობა იქით იყოს" **16.30** ფრაგმენტები სურათისთვის **17.00** სერიალი "გადაადგილების საშუალებები" **17.25** ჩემი მშვენიერი ლედი **18.00** ვესტნიკი **18.20** სერიალი "თავგადასავლები კარიბის ზღვაზე" **19.00** "იმღერე რამე" **19.40** ბასტი-ბუბუ **20.00, 23.00** მოამბე **21.05** სერიალი "ცხელი ზაფხული" **22.00** ღამის მატარებელი **00.00** მხ. ფილმი "მშვენიერი ხანა" (გ)

### კავკასია

**11.00** ვარსკვლავები გვამცნობენ **13.00** საბავშვო პროგრამა "ინკოგნიტო" **14.00** ინდ. მხ. ფილმი "ძვირფასი რაჯა" (გ) **17.00, 19.00, 20.30, 00.00** საინფორმაციო პროგრამა "დღეს" **17.20** სერიალი "მილედი" **19.20** სპექტრი **21.00** ქართული მუსიკა **22.30** "საქმე და ეკონომიკა" **23.00, 00.30** ქართული მუსიკა

### მზე

**08.30** მუსიკა მზეზე **09.00** ტელეჟურნალი "სცენა" **09.30** "გეპატიჟებათ ბარტ ვულფი" **10.00** სერიალი "სინიორ ვიანელო" **10.30** სერიალი "პატარა დიდი ბობი" **11.00, 13.00, 14.00, 16.00** საინფ. გამოშვება "მზერა" **11.10** სერიალი "ჩენტო ვეტრინე" **12.05** ერთი ჟურნალისტის მზერა. თ. ჩიხლაძე. **13.05** სერიალი "პოლიციელი ქალები" **14.15** არჩევანის ზღვარზე **15.10** შემეცნებითი პროგრამა "ტაიმსლოტი" **16.05** სერიალი "მარია ემილია" **17.00, 20.00** საინფ. გამოშვება "მზერა" **17.20** სერიალი "პოლიციელი ქალები" **18.20** "გეპატიჟებათ ბარტ ვულფი" **18.50** სერიალი "ჩენტო ვეტრინე" **20.45** სერიალი "სინიორ ვიანელო" **21.15** სერიალი "პატარა დიდი ბობი" **21.45** კრიმინ. დრამა "სთშ: დანაშაულის ადგილი ლას ვეგასი" **22.45** "არჩევანის ზღვარზე" **23.45** მხ. ფილმი "არამზადა" (15) (როს კემპლი)

### მეორე არხი

**19.00** საბ. სერიალი "გადაადგილების საშუალებები" **19.25** სერიალი "კარიბის გული" **20.15** "იმღერე რამე" **20.45** ბასტი-ბუბუ **21.00** ფრაგმენტები სურათისთვის **22.35** მხ. ფილმი "ხაფანგი თანამდებობის სახით" (გ)

### (ლოგო)

**18.00** მინისერიალი "ადვოკატთა ბიურო" 1-ლი ს. **19.05** დოკ. ფილმი **20.05** კონცერტი **22.00** მხ. ფილმი "უსახლკარო" (გ) 1-ლი ს.

### იმედი

**08.11 07.00** სერიალი "უკიდურესი ზღვარი" **07.30** დოკ. სერიალი "ყველაზე ექსტრემალური" **08.00, 09.00, 10.00, 11.00, 13.00, 14.00** ქრონიკა **08.05** "იმედის" დილა **09.20** "დუბლიორი" **10.05** სერიალი "ტყუპები" **11.15** დროება **12.40, 16.25, 02.30** ტვ-მარკეტი **13.15** მხ. ფილმი "მარგინალი" (გ) (ბელმონდო) **15.00, 16.00, 17.00, 18.00, 19.00, 22.00, 02.20** ქრონიკა **15.20** სერიალი "ოცნების სანაპირო" **16.40** დოკ. სერიალი "საუკუნის გამოჩენილი ქალბატონები" **17.25** ვაკაჭი-ნიუსი **18.05** სერიალი "ტყუპები" **19.55** სერიალი "ოცნების სანაპირო" **20.55** სერიალი "ყავა და ლუდი" **22.50** სერიალი "კექსი დიდ ქალაქში" 1-ლი ს. **23.10** საქმე ტ **23.40** "არჩევანი თქვენ" **00.55** სპ. პროგრამა "გოლი" **01.25** სერიალი "ნეშ ბრიჯესი" **03.00** იმედის მელოდიები

### აჭარა

